www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 15 ივნისი, 2002 წელი. №13 | ფასი 50 თეთრი

## გარიგება კონვერტებში ჩატანებული იმედების შესასრულებლად

სოფიკო ბუკია

**"არა, ბატონო! რატომ არ მოვიდა სააკაშვილი? სანამ თქვენი ლიდერი პირადად არ გამოცხადდება, ჩვენს ლიდერს ვერ შეგახვედრებთ, მოლაპარაკებები არ შედგება,"** - მოკლედ მოუჭრა ლეიბორისტმა ზურაბ ჟვანიამ შრომის პარტიის ოფისში შეკრებილ "ნაციონალებს". **"გვაგდებთ კაცო? ჩვენთან რომ მოსულიყავით, ასე კი არ მოგექცეოდით,"** - გაბრაზდა კობა დავითაშვილი. გაგდებით "ნაციონალური მოძრაობის" მრავალრიცხოვანი დელეგაცია არ გაუგდიათ, პირიქით, გულთბილადაც მიიპატიჟეს: **"მობრძანდით, ბატონო, დაბრძანდით. ვილაპარაკოთ ფეხბურთზე, ყავა მიირთვით, მაგრამ სანამ ბატონი სააკაშვილი არ მოვა, მოლაპარაკებებს ვერ დავიწყებთ",** - თავის პოზიციებს არ თმობდნენ "ლეიბორისტები" - **"ჩვენ რა, ხალხი არა ვართ?"** - გაუკვირდა ერთ-ერთ "ნაციონალს". "ლეიბორისტების" ოფისში თითქმის მთელმა "ნაციონალურმა" სპექტრმა მოიყარა თავი: კობა დავითაშვილი, დავით ბერძენიშვილი, ზვიად ძიძიგური, ბესო ჯუღელი... მაგრამ ნათელაშვილმა სააკაშვილი მოითხოვა და სტუმრებთან დარბაზში ჩასვლაზე უარი განაცხადა.

გაგრძელება A3 გვერდზე




*შალვა ნათელაშვილი და მიხეილ სააკაშვილი - შეთანხმება შედგა.*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

## შოუ უნდა გაგრძელდეს

### პარტიებს ახალი ალიანსის არ სჯერათ

თამარ მჭედლიშვილი

*შალვა ნათელაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის მოსალოდნელ დამოყვრებას პოლიტიკური სპექტრი საკმაოდ დაბნეული შეხვდა. წინასწარი მოლაპარაკებები, რომლებიც ბარიერგადალახულთა შორის მიმდინარეობდა, შეჩერდა. ახლა მთელი ყურადღება გამარჯვებულთა საბოლოო შეთანხმებისაკენ არის მიმართული.*

ჯერჯერობით, საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე უარის თქმას არ აპირებენ არც "ახალი მემარჯვენეები" და არც "მრეწველები". თუმცა, მათი ოპტიმიზმი აშკარად განელდა.

ამის მიუხედავად, პოლიტელიტა არ გამორიცხავს, რომ ორთა კავშირი, შესაძლოა, საკმაოდ მყიფე აღმოჩნდეს და თბილისის საკრებულოს პირველსავე სხდომაზე დაიშალოს. აქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ ასეთი მოულოდნელი დაზავება მხოლოდ სააკაშვილისა და ნათელაშვილის ნება-სურვილი არ ყოფილა. რამდენიმე პოლიტიკოსი საკმაოდ ნათლად მიანიშნებს, რომ ამ მოვლენებში დიდი წვლილი მიუძღვის სახელმწიფო მინისტრსა და ქალაქის მერს შორის დაძაბულ ურთიერთობებს. მოარული ვერსიის თანახმად, რომელსაც ყველაზე მეტად "ტრადიციონალისტები" ემხრობიან, სააკაშვილიცა და ნათელაშვილიც, პარალელურად, ვანო ზოდელავასთან მართავდნენ კონსულტაციებს.

გაგრძელება A3 გვერდზე


რუსეთის პრემიერმა გვერდი აუარა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონას A4

აშშ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან გამოვიდა A5

ჭორბენაძეს პარლამენტში პასუხს მოსთხოვენ A6

თბილისის მოსახლეობა გაზის საფასურს ორმაგად იხდის A6

პოლიციელის პური ძვირად ფასობს A7

შევარდნაძეს და ალიევს ნარკომაფიის ხელშეწყობა დააბრალეს A7

ვაზიანის საქმე გაიხსნა A7

ინგლისელები პენალტებისთვის ემზადებიან B4

რომანი მათთვის, ვისაც კითხვა არ უყვარს B6


### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | ☼ |
| ქუთაისი | 28 | ☼ |
| ბათუმი | 24 | ☼ |
| სოხუმი | 25 | ☼ |
| ფოთი | 25 | ☼ |
| თელავი | 26 | ☼ |
| ზუგდიდი | 27 | ☼ |
| გორი | 24 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2200 |
| ევრო | 2.0943 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2690 |
| რუბლი | 0.0706 |

## „მანდატის გაუქმებით ნუ გაუწევთ შევარდნაძეს სამსახურს!"

### რატომ აფრთხილებს რუსეთის პარლამენტის ექსპერტი საქართველოს ოპოზიციას?

რუსუდან ნიკურაძე
*საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვში*

*ამ ინტერვიუში მკითხველი უთუოდ გადააწყდება მრავალ საკამათო თუ გამაღიზიანებელ დებულებასა და გამონათქვამს, რადგან რესპონდენტი – ალექსეი ვაშჩენკო – ახმოვანებს რუსეთის ყველაზე რეაქციული ფრთის თვალსაზრისსა და პოზიციას. მაგრამ, ამასთანავე, იგი არაერთ საყურადღებო ინფორმაციასაც გვაწვდის და ეხება საქართველოსთვის ყველაზე მტკივნეულ თემებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს ინტერვიუ საკმაოდ სერიოზულ მასალას წარმოადგენს განსჯისათვის.*

რუსეთის პარლამენტში 12 წელია აქტიურად მოღვაწეობს გეოპოლიტიკის კომისიის კავკასიისა და შორი და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომლის მდივანთან ინტერვიუს დღეს ვთავაზობთ "24საათის" მკითხველს.

რუსეთის პარლამენტის ხსენებული კომისიის მდივანს **ალექსეი ვაშჩენკოს** საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მეგობარს ნამდვილად ვერ დაარქმევ, რადგანაც, თუ სათათბიროში მის მიერ ორგანიზებული პრესკონფერენციების სულისკვეთებას გავიხსენებთ, დავრწმუნდებით ,რომ ამ კაცს საქართველოზე ფიქრი მოსვენებას ნამდვილად არ აძლევს.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომაა საქართველოსადმი ზოგიერთი რუსი პარლამენტარის პოზიცია ასე გამწვავებული, გვპასუხობს, რომ **"პრობლემა პირადად ედუარდ შევარდნაძის პერსონაში და მის პოლიტიკურ კურსშია, თორემ ნორმალური ქართველების საწინააღმდეგო რუსეთს არაფერი აქვს".**

ჩვენი თანამოსაუბრე 90-იან წლებში სადეპუტატო ჯგუფ "სოიუზის" წევრი და დეპუტატ სერგეი ბაბურინის თანაშემწე იყო (ამჟამად დეპუტატ ვიქტორ ალქსნისის თანაშემწეა), ხოლო 1992-93 წლებში, ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირების პერიოდში, სამხედრო ინსტრუქტორის სახით, სეპარატისტების ბანაკში ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ПРОРВЕМСЯ!

### მიხაილ კაზაკოვი: კულტურა არ შეიძლება „ერთისისხლიანი" იყოს

B5




ბესო გულაშვილის ფოტო

## თბილისის მოსახლეობა გაზის საფასურს ორმაგად იხდის

გიორგი კალანდაძე

*ყოველ ორ-სამ თვეში ერთხელ, მოსახლეობისათვის გაზის შეწყვეტას "თბილგაზი" ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობით ხსნის და ამისათვის პასუხისმგებლობას ისევ და ისევ რიგით გადამხდელებს აკისრებს. თუმცა, ანტიკორუფციულ ბიუროში სხვაგვარად ამოხსნეს გაზის 50-70-პროცენტიანი დანაკარგის ამოცანა. მათი აზრით, თბილისს, რეალურად, გაცილებით ნაკლები გაზი მიეწოდება მიმწოდებლებისგან, ვიდრე ეს ოფიციალურადაა დაფიქსირებული.*

**"საკონტროლო აღრიცხვის სისტემის არარსებობის გამო, ფაქტობრივად, შეუძლებელია დადგინდეს, რეალურად რა ოდენობის ბუნებრივი აირი მიეწოდა "თბილგაზის" მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ფილიალებს. შეუძლებელია, გაიმიჯნოს აირის დატაცება და ტექნიკური დანაკარგები",** - ეს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში მომზადდა.

გაგრძელება A6 გვერდზე

## „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა"

### რამდენად გრძელვადიანია ამერიკის ინტერესები საქართველოში

ზაზა წულაძე

*მას შემდეგ, რაც თანამედროვე ქართული არმიის ჩამოყალიბების პირველი ორი მცდელობა (ჯერ ექს-პრეზიდენტ გამსახურდიას დროს, შიშველ ენთუზიაზმზე დაფუძნებული, შემდეგ კი, ექს-თავდაცვის მინისტრ ნადიბაიძის ზეობის პერიოდში, რუსეთის დახმარებით) სრული კრახით დასრულდა, საქართველოს ხელისუფლება არ მალავს, რომ მობილური და კარგად გაწვრთნილი სამხედრო ნაწილების შექმნის მესამე ცდაზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს. ამჯერად, ეს პროცესი, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის სახით, ამერიკის შეერთებული შტატების ტექნიკური და მატერიალური დახმარებით მიმდინარეობს.*

გაგრძელება A8 გვერდზე


A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 რუსეთი | A5 უცხოეთი | A6 ეკონომიკა | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B1 ფეხბურთი | B2 ფეხბურთი | B3 ფეხბურთი | B4 ტოტალიზატორი | B5 სტილი | B6 კულტურა | B7 კულტურა | B8 სხვადასხვა

# ნათელაშვილმა პარლამენტისკენ გაისროლა

## დეპუტატებს კი თეთრი დროშები უკვე მზადა აქვთ

გიორგი ასანიძვილი

*2 ივნისის არჩევნებში მიღწეული წარმატების შემდეგ, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ ძალის მოზღვავება იგრძნო და გავლენის გავრცელება დედაქალაქიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით მოინდომა. შალვა ნათელაშვილი პარლამენტის შტურმზე გადადის და საკანონმდებლო ორგანოსგან, არც მეტი, არც ნაკლები, საკონსტიტუციო დონის ცვლილებების მიღებას ითხოვს.*

*მინისტრთა კაბინეტის შემოღება, ორპალატიანი პარლამენტი, დეპუტატთა რაოდენობის 235-დან 120-მდე შემცირება - ასეთია ლეიბორისტული პარტიის ლიდერის ულტიმატუმი.*

პრინციპში, შალვა ნათელაშვილის მოთხოვნებში ახალი და განსაკუთრებული არაფერია. ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დონეზე აქამდეც არაერთხელ გაჟღერებულა, მაგრამ დღევანდელი გაურკვევლობის პირობებში, ლეიბორისტების თავკაცის ინიციატივას სხვა დატვირთვა აქვს – არავინ იცის, ხვალ რა სიმაღლეზე ავა ორი ივნისის არჩევნებში გამარჯვებული და საერთოდ, რა მიმართულებით განვითარდება მოვლენები ქვეყანაში.

ამდენად, ბუნებრივია, რომ ნათელაშვილის მოთხოვნების მწვავე კრიტიკისგან პარლამენტში თავს იკავებენ და მის წინააღმდეგ მკვეთრად გალაშქრებას ერიდებიან. მეტიც: თითქმის ყველა გავლენიანი ძალა ხმამაღლა აცხადებს, რომ მისთვის ეს მოთხოვნები, მეტ-ნაკლებად, მისაღებია.

შალვა ნათელაშვილს განსაკუთრებულ დითირამბებს ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" წევრები უძღვნიან.

**"როდესაც მიხეილ სააკაშვილს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი შესთავაზა, ამით შალვა ჩემს თვალში ძალიან ამაღლდა. მალადეც! მის ადგილზე, სხვა ამას არ იზამდა**", - აღტაცებით საუბრობს რევაზ ყიფიანი, რომელსაც მხოლოდ იმაზე სწყდება გული, რომ ის, რასაც ახლა ნათელაშვილი ითხოვს, თავის დროზე მისი თანაგუნდელებისგან მოდიოდა, რაც დღეს აღარავის ახსოვს. დანარჩენში კი სრული თანხვედრაა: ორპალატიანი პარლამენტი? კი ბატონო! პარლამენტართა რაოდენობა უნდა შემცირდეს? ყიფიანი ამაზეც თანახმაა. თანაც, ოპტიმალურ რიცხვსაც ასახელებს – არა უმეტეს, 150 კაცი. რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტს, "მოქალაქეებს", თურმე, მისი ხელმძღვანელის კანდიდატურა შერჩეულიც კი ჰყოლიათ.

**"სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე მეტად ძლიერი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა და, ამდენად, შესაძლებელია, მინისტრთა კაბინეტის მოდელზე გადასვლა დავაჩქაროთ**", - ფორსირებული ნაბიჯებით სიარულს რევაზ ყიფიანი ნათელაშვილზე მეტად ითხოვს.

ძნელი სათქმელია, "მრეწველებსაც" თუ ჰყავთ თავისი კანდიდატურა ჯერ არ არსებული პრემიერის პოსტზე და ისინიც, "მოქალაქეების" მსგავსად, რამდენად უსადაგებენ ამ თანამდებობას რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას, მაგრამ ერთის თქმა ნამდვილად შეიძლება: ლეიბორისტთა ლიდერის მოთხოვნები "მრეწველებისთვისაც" მთლიანად მისაღებია. თუმცა, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ტყემალაძეც, ისევე, როგორც რევაზ ყიფიანი, ხაზს უსვამს, რომ ნათელაშვილის წინადადებები მთლად ნოვაცია არ არის. "**ამ საკითხებზე ჩვენც ანალოგიური შეხედულებები გაგვაჩნია და ისინი, საკანონმდებლო ინიციატივის სახით, უკვე წარდგენილი გვაქვს პარლამენტში**", - აღნიშნავს ტყემალაძე.

ორპალატიანი პარლამენტის მოდელი სოციალისტებისთვისაც მთლიანად მისაღებია, თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ფრაქციის წარმომადგენელი ზაქარია ქუცნაშვილი ამტკიცებს, დღევანდელ სინამდვილეში მაჟორიტარ და პარტიული სიებით არჩეულ პარლამენტართა შორის ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს.

**"მაჟორიტარი დეპუტატი ორიენტირებულია თავისი რაიონის ინტერესებზე, მთლიანად არის გადართული ამომრჩეველთა პრობლემების მოგვარებაზე, მაშინ, როდესაც პარტიული სიებით გასულ პარლამენტარებს ეს საკითხები ნაკლებად აინტერესებთ", -** შენიშნავს ქუცნაშვილი, რომელიც ამ მოსაზრებას საკუთარი ფრაქციის მაგალითით ასაბუთებს: **"ჩვენი მაჟორიტარები იძულებულნი არიან ხოლმე, უვარგის ბიუჯეტს მისცენ ხმა, რადგან ამ დროს საქმე მათი რაიონებისთვის ტრანსფერების გამოყოფასაც ეხება".**

თუ ამ საკითხში სოციალისტები ლეიბორიტებს მთლიანად ეთანხმებიან (რაც, თავისთავად, მოულოდნელობაა), სამაგიეროდ, ვახტანგ რჩეულიშვილის თანაგუნდელები დეპუტატთა რაოდენობის მკვეთრი შემცირების წინააღმდეგ ილაშქრებენ და აცხადებენ, რომ ამ შემთხვევაში პარლამენტის ქმედითუნარიანობა მკვეთრად შემცირდება, რადგან კომიტეტების წევრთა რიცხვი 3-5-ს ვეღარ გადააჭარბებს. გარდა ამისა, ისინი ასახელებენ კიდევ ერთ მიზეზს, რომლის გამოც დეპუტატთა დიდი "სეკვესტრი" მიუღებლად მიაჩნიათ.

**"დღეს საქართველოში ადგილი აქვს საპარლამენტო მანდატების კომერციალიზაციას: ვინაიდან პარტიები სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდებიან, პოლიტიკურ ორგანიზაციათა ლიდერები იძულებულნი არიან, სიებში შეიყვანონ შეძლებული ხალხი, რაც ბევრ განათლებულ და პატიოსან ადამიანს პარლამენტისკენ მიმავალ გზას უკეტავს. თუ დეპუტატთა რაოდენობა შემცირდება, მაშინ ასეთ ხალხს საკანონმდებლო ორგანოში შეღწევა უფრო გაუჭირდება**", - დასძენს ზაქარია ქუცნაშვილი.

რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტთან დაკავშირებულ ნათელაშვილისეულ დაჟინებას, ამაზე კომენტარისგან სოციალისტები თავს იკავებენ, რადგან მათი პოზიცია იმაზე იქნება დამოკიდებული, პოსტშევარდნაძისეულ ეპოქაში რომელ მოდელს აირჩევს ქვეყანა – საპარლამენტოს თუ საპრეზიდენტოს.

მეტად ფრთხილად უდგება ლეიბორისტულ წამოწყებას "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე. "**არ შეიძლება, ერთ დღეს პარლამენტი შეიკრიბოს და ყველა ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრას ერთბაშად შეეცადოს. კონსტიტუციაში ცვლილებების გაუთავებლად შეტანა, საქართველოს ისედაც მყიფე სახელმწიფოებრიობას, ამორფულ მდგომარეობამდე მიიყვანს**", - აცხადებს ჩიხრაძე და იქვე აზუსტებს, რომ ძირეული საკონსტიტუციო ცვლილებები მხოლოდ ყველა პოლიტიკური ძალისა და მთელი საზოგადოების სრული თანხმობის პირობებში უნდა განხორციელდეს. თუმცა, "ახლების" წარმომადგენელი იმასაც დასძენს, რომ მისი ფრაქცია იწონებს ორპალატიანი პარლამენტის შექმნის იდეას და თანახმაა, მისი ამოქმედების მექანიზმებზე მუშაობა ახლავე დაიწყოს, ოღონდ, პრობლემის მოგვარება ამჟამინდელი მაჟორიტარი დეპუტატების მეორე პალატაში მექანიკური გადასროლით არ უნდა მოხდეს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პარლამენტის მიმართულებით შალვა ნათელაშვილის გასროლას ნამდვილად არ მოჰყვა ის ეფექტი, როგორიც, ალბათ, თავად სურდა. ნათელაშვილის სტიქია ხმაურიანი და წინააღმდეგობრივი გარემოა. მხოლოდ ასეთ პირობებში გრძნობს ის თავს ისე, როგორც თევზი წყალში. ასე რომ, პარლამენტიდან თეთრი დროშების გადმოფენას, მას იქიდან საბრძოლო ყიჟინის გაგონება ერჩივნა.

# უზენაესი სასამართლოს სხდომა ტაშისკვრისა და გინების თანხლებით



ბესო გულაშვილის ფოტო

ვერიკო თევზაძე

*ბოლნისის არჩევნებთან დაკავშირებით, გუშინდელი პროცესი მეტისმეტად ემოციური იყო. სააქციო საზოგადოება "მადნეულის" გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ლობჟანიძემ, რომელიც მოსარჩელე ზურაბ ჯაფარიძეს გვერდს უმშვენებდა, სასამართლოზე მესამე მხარის წარმომადგენელს ლადო სანიკიძეს შეაგინა. "შენ ერთი ტყვია გჭირდება!"- უმტკიცებდა ცესკოს წევრი შალვა ბულაშვილი სანიკიძეს. თავად მოსარჩელეს, ბოლნისის ყოფილ გამგებელს ნერვებმა უმტყუნა, ტრიბუნასთან გასული ჯაფარიძე სასამართლოს თავმჯდომარეს გაეჭიმა, ჯაფარიძე კეთილისმყოფელებმა იძულებით დასვეს სკამზე. ყოველივე ამას ერთვოდა დარბაზის ღრიანცელი. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ბესო კობერიძე ამ უწესრიგობას ოლიმპიური სიმშვიდით უყურებდა. მან, მხოლოდ პროცესის დასრულებისას, უწყინარი სახით შენიშვნა მისცა დარბაზს, რომელიც ხან "ბრავოს" იძახდა, ხან ილანძღებოდა და კუნთებს ისინჯავდა.*

დამკვირვებლები მოწმეებად დაკითხვისას აცხადებდნენ, რომ არჩევნების დროს მათი უფლებები შეილახა. "**ერთ ადგილას დაგვსვეს და განძრევის უფლება არ მოგვცეს. გადაადგილების საშუალება მხოლოდ ჯაფარიძის წარმომადგენელს ჰქონდა. თუ შეგვეწინააღმდეგებიან, აქედან კინწისკვრით გავყრი, ამათ ვინ კითხავს რამეს, ამათ, იცით, რას ვუზამ!- იძახდა ჩვენზე ზურაბ ჯაფარიძე",-** განაცხადა მოწმე ელგა ფოლადიშვილმა.

ბოლნისის ადგილობრივი ტელევიზიის ჟურნალისტმა თამუნა ხოფერიამ სასამართლოს მოუთხრო, როგორ შეეხო ხელით ბოლნისის ყოფილი გამგებლის ზურაბ ჯაფარიძის ძმა, მერაბ ჯაფარიძე(მოსარჩელე ჯაფარიძე ჟურნალისტს წამოუხტა - ნაიარევი რატომ არ გაქვსო).

ერთ-ერთმა ბოლნისელმა ჟურნალისტმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ **"თავის დროზე, ზურაბ ჯაფარიძემ ადგილობრივი ტელევიზია ვიდეოკამერით დაასაჩუქრა. ადგილობრივი არჩევნების წინა დღეს მან კამერა წაიღო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯაფარიძის დამოკიდებულება ტელევიზიისადმი მას შემდეგ შეიცვალა, როცა ტელევიზიის ხელმძღვანელი გიზო კორტავა დეპუტატობის კანდიდატი გახდა".**

მოწმეებმა განაცხადეს, რომ ზურაბ ჯაფარიძე, პოლიციასთან ერთად, ამომრჩეველზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა: **"ჯაფარიძე უბნის კომისიის თავმჯდომარესთან ერთად 15 წუთის განმავლობაში ჩაიკეტა ოთახში, სადაც ჯერ გამოუყენებელი ბიულეტენები ინახებოდა. მათ რაღაცაზე მოითათბირეს"...** ერთ-ერთი მოწმის - მალხაზ ვეშაპიძის ჩვენებით, პირველ საარჩევნო უბანში ხმის მიმცემ კაბინას წარმოადგენდა საკლასო ოთახი, სადაც 30-მდე მოსწავლე ეტევა. ვეშაპიძის თქმით, ამ "კაბინაში", ერთდროულად, დაახლოებით, 12-13 კაცი იდგა ხმის მისაცემად.

ცსკოს იურისტს ელზა გულიაშვილს მთელი პროცესის განმავლობაში ეპისტოლარული ურთიერთობა ჰქონდა მოსარჩელე მხარესთან. ისინი პასტაზე დამაგრებული წერილების საშუალებით ამარაგებდნენ ერთმანეთს ინფორმაციით.

ჯერ კიდევ განაჩენის გამოტანამდე ბოროტმა ხმებმა გაავრცელეს ცნობა ზურაბ ჯაფარის უზენაეს სასამართლოსთან სავაჭრო გარიგების შესახებ. თითქოსდა, ჯაფარიძემ სარჩელის გაუქმებაში ნახევარი მილიონი დოლარი გადაიხადა. ანალოგიური შინაარსის შეკითხვით მიმართა "24-მა საათმა" ზურაბ ჯაფარიძეს. **"ეს მორიგი პროვოკაციაა", -** ამგვარი პასუხი მივიღეთ მისგან.

რამდენიმე წუთის შემდეგ სასამართლო კოლეგიამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ქალაქ ბოლნისში არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ ბათილად სცნო და მოსარჩელე მხარის მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: "გამარჯვებულთა" შორის მილოცვებს ცსკოს წარმომადგენელი ელზა გულიაშვილიც იღებდა.

# აფხაზეთის ანექსია რუსული პასპორტებით

ეკა ბაქალუა

რუსების მიერ შემოთავაზებული ორმაგი მოქალაქეობის მიღების წინადადება აფხაზებმა დიდი ენთუზიაზმით აიტაცეს. სოხუმში მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ანრი ჯერგენიამ პრესკონფერენცია გამართა. მან განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში აფხაზეთში "საყოველთაო პასპორტიზაცია" დაიწყება.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული კანონი "რუსეთის მოქალაქეობის შესახებ" "მოქალაქეობის გარეშე" დარჩენილმა აფხაზებმა მასობრივად მიიღეს. **"ჩვენ გვექნება საკუთარი პასპორტები შიდა სარგებლობისათვის და, ამავდროულად, ვიქნებით როგორც აფხაზეთის, ისე რუსეთის მოქალაქეები. მით უმეტეს, აფხაზეთში მოქმედი კანონი ითვალისწინებს ორმაგ მოქალაქეობას,"**- განაცხადა ანრი ჯერგენიამ.

აფხაზურ მასმედიაში სოხუმის მთავრობის წარმომადგენლები შემდეგ პოზიციას აფიქსირებენ: **"პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ და რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლებმა არაერთხელ გამოხატეს სურვილი რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების გამყარებისა, რასაც აფხაზეთის პარლამენტმაც დაუჭირა მხარი. ამიტომ, აფხაზების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღება საფუძვლად დაედება რუსეთსა და აფხაზეთს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას."**

რუს ჟურნალისტებთან საუბარში ჯერგენიამ განაცხადა: " **რუსეთის მოქალაქეობის მიღება თითოეულის პირად საქმეს წარმოადგენს, ეს პროცესი არ აისახება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტზე".**

ასე დაიწყო რუსეთმა აფხაზეთის საზღვარზე სავიზო რეჟიმის გამარტივება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტის თავმჯდომარის კახა სიხარულიძის სიტყვებით: "**ეს არის აშკარა ანექსიის მცდელობა. რუსეთის მხრიდან წამოსული წინადადებები აგულიანებს სეპარატისტებს. მაღალ დონეზე კეთილი განცხადებები ისმის, საქმით კი სხვას აკეთებენ".**

# დევნილები კმაყოფილები ყოფილან

## აფხაზეთს ექიმები იბრუნებენ

თამარ მაისურაძე

**"აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში მალე ექიმებიც ჩაერთვებიან,"** - განაცხადა გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ, - **"ჩვენმა ხელისუფლებამ ლტოლვილებისთვის რაც უნდა გააკეთოს, საკმარისი მაინც არ იქნება. ლტოლვილები მაშინ იქნებიან ბედნიერები, როდესაც თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდებიან. მიუხედავად ამისა,ერთი შემიძლია თამამად ვთქვა - შეხვედრების დროს ისინი კმაყოფილებას მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მისამართით გამოთქვამენ."**

ცნობილი ფაქტია - დევნილების დიდი ნაწილი მძიმე ყოფით პირობებში ცხოვრობს. სანიტარული მდგომარეობა მათში სხვადასხვა ინფექციებისა თუ ეპიდემიების გავრცელების დიდ საშიშროებას ქმნის. ამ და სხვა საკითხებზე საუბრობდა გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეკრებილი საზოგადოება.

მინისტრის, ამირან გამყრელიძის თქმით, **"ლტოლვილებში გავრცელებულია ყველა ის დაავადება რაც ზოგადად საქართველოს მოსახლეობაშია, მაგრამ აღსანიშნავია შობადობის მკვეთრი კლება. დევნილებში ძალზე არის გავრცელებული გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, განსაკუთრებით მაღალია ნევროლოგიური დაავადებების მაჩვენებელი."** რაც შეეხება სოციალურ დახმარებებს, გამყრელიძის თქმით, სახელმწიფო კომპანიის სამედიცინო დაზღვევის პოლისებით დაახლოებით 180 ათასი დევნილია დაზღვეული. ეს მათ დამატებითი სამედიცინო მომსახურების საშუალებას აძლევს. მოქმედებს, ასევე, ცალკე პროგრამა სამეგრელო-ზემოსვანეთში განსახლებული დახლოებით 100 ათასზე მეტი დევნილისათვის. ამას ემატება თავად აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ჯანმრთელობის სამინისტროს სტრუქტურების მომსახურებაც. ექიმთან მისვლა, გასინჯვა, დანიშნულების მიღება დევნილებისთვის უფასოა. ისინი სარგებლობენ ყველა იმ შეღავათით, რაც სახელმწიფო პროგრამებით საქართველოს მოსახლეობისთვის არის განკუთვნილი.

**"მოგეხსენებათ, ქვეყანას პენსიონერების დავალიანება 100 მილიონამდე აქვს. აქედან, დევნილების მხოლოდ 3 მილიონი იყო. ამ თანხის ნახევარი წელს უკვე დავფარეთ. სექტემბრამდე დევნილთა დავალიანების ბოლომდე დაფარვას ვვარაუდობთ. საოჯახო დახმარების სისტემაში წელს პირველად იქნა გათვალისწინებული დევნილი მოსახლეობა. თანდთანობით ვცდილობთ მათ სოციალური შეღავათები გავუზარდოთ,"** - აცხადებს ამირან გამყრელიძე.

რამდენიმე ახალი პროგრამის პრეზენტაციის შემდეგ, სამინისტროს წარმომადგენლებმა აფხაზ მედიკოსებთან ერთად შემუშავებულ, გალის სამედიცინო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტზეც ისაუბრეს, მას კარგი გაგრძელება უსურვეს და სახალხო დიპლომატიის ყველაზე კარგი გამოსავალი უწოდეს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# ბარიგება კონვერტებში ჩატანებული იმედების შესასრულებლად

პირველი გვერდიდან

## ბარიგება კონვერტებში ჩატანებული იმედების შესასრულებლად

სოფიკო ბუკია

**"არა, ბატონო! რატომ არ მოვიდა სააკაშვილი? სანამ თქვენი ლიდერი პირადად არ გამოცხადდება, ჩვენს ლიდერს ვერ შეგახვედრებთ, მოლაპარაკებები არ შედგება,"** - მოკლედ მოუჭრა ლეიბორისტმა ზურაბ ჟვანიამ შრომის პარტიის ოფისში შეკრებილ "ნაციონალებს". **"გვაგდებთ კაცო? ჩვენთან რომ მოსულიყავით, ასე კი არ მოგექცეოდით,"** - გაბრაზდა კობა დავითაშვილი. გაგდებით "ნაციონალური მოძრაობის" მრავალრიცხოვანი დელეგაცია არ გაუგდიათ, პირიქით, გულთბილადაც მიიპატიჟეს: **"მობრძანდით, ბატონო, დაბრძანდით. ვილაპარაკოთ ფეხბურთზე, ყავა მიირთვით, მაგრამ სანამ ბატონი სააკაშვილი არ მოვა, მოლაპარაკებებს ვერ დავიწყებთ"**, - თავის პოზიციებს არ თმობდნენ "ლეიბორისტები" - **"ჩვენ რა, ხალხი არა ვართ?"** - გაუკვირდა ერთ-ერთ "ნაციონალს". "ლეიბორისტების" ოფისში თითქმის მთელმა "ნაციონალურმა" სპექტრმა მოიყარა თავი: კობა დავითაშვილი, დავით ბერძენიშვილი, ზვიად ძიძიგური, ბესო ჯუღელი... მაგრამ ნათელაშვილმა სააკაშვილი მოითხოვა და სტუმრებთან დარბაზში ჩასვლაზე უარი განაცხადა.

ბოლოს "ლეიბორისტების" მოთხოვნამ გაჭრა. სააკაშვილი "ლეიბორისტების" ოფისში სტუმრობაზე ტელეფონით კობა დავითაშვილმა დაითანხმა. სანამ ის მოვიდოდა (იქნებ მეტროთი წამოვიდა), მისმა თანაგუნდელებმა მოძმე "ლეიბორისტებთან" ყავის დალევაც მოასწრეს და ბოლო საფეხბურთო მატჩიც გაარჩიეს...

ბოლოს დღის გმირიც გამოცხადდა. "ლეიბორისტების" შეფთან ნახევარსაათიანი კონსულტაციის შემდეგ, სააკაშვილი და მისი ახალი პოლიტიკური პარტნიორი ჟურნალისტების წინაშე ერთად წარდგნენ.

**"ყველაფერი გარკვეულია. შეთანხმება მიღწეულია. ჩვენ დიდი პასუხისმგებლობით ვთანხმდებით ბატონ შალვას ძალზე კონსტრუქციულ შემოთავაზებას. მე პირადად მზად ვარ, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა დავიკავო. უნდა შევქმნათ დედაქალაქის მრავალპარტიული, კოალიციური მთავრობა. გასაყოფი რა გვაქვს, ამომრჩეველიც ერთი კატეგორიის გვყავს და ჩვენგან მხოლოდ საქმის კეთებას ელის,"** - საზეიმო იერით აცხადებს სააკაშვილი.

**"დიახ, გასაყოფი მართლაც არაფერი გვაქვს. ჩვენ არ ჩამოვყალიბდებით ალიანსად, ეს არ იქნება არც ბლოკი და არც ალიანსი. ეს არის თემატური თანამშრომლობის ფორმატი, სადაც მთლიანად გათვალისწინებული იქნება ამომრჩევლის ინტერესები. არ გვინდა, გავაწბილოთ ის იმედი, რომელიც ათასობით ამომრჩეველმა კონვერტს ჩაატანა,"** - არანაკლებ საზეიმოდ პასუხობს ნათელაშვილი.

პოლიტიკოსები ამ იდილიაში ქართული რეალობისთვის უპრეცედენტო მოვლენას ხედავენ: **"პირველად ხდება, რომ ორი ქართული ძალა სწავლობს ერთმანეთთან კონსტრუქციულ ურთიერთობას, ერთმანეთისთვის დათმობას..."** - უხარია სააკაშვილს. **"ჩვენი ურთიერთობა ჯანსაღი თანამშრომლობის მოდელი იქნება..."** - იზიარებს მის სიხარულს ნათელაშვილი. ორივე ძალა ქალაქის მმართველობაში დიდ გარდაქმნებს გეგმავს. თუ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ნათელაშვილს სურს, ლეიბორისტული გარდაქმნების ქარტეხილი თბილისის ამჟამინდელ მერსაც უსათუოდ შეეხება და, შესაძლოა, ისეთი სიძლიერითაც, რომ მერობის სკამზე წონასწორობა ვერ შეინარჩუნოს. შალვა ნათელაშვილი ვანო ზოდელავას "ქალაქის ობიექტების გარდა, ლეიბორისტი დეპუტატების პრივატიზებას" ვერ პატიობს. ამ ეპიზოდს "ლეიბორისტები" პარტიის ლაქად მიიჩნევენ და მასზე საუბარს გაურბიან, თუმცა, ახალ საკრებულოში დეპუტატების დაკარგვის შესაძლებლობას კატეგორიულად უარყოფენ.

გუშინ "ნაციონალების" ლიდერმა გუშინწინდელი ღამეც გაიხსენა: საკუთარი დაცვის თანამშრომლების მისამართით ნასროლი



იმედების ყუთი

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

# საქართველო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის

ეკატერინე ბახუტაშვილი

გაეროს განვითარების პროგრამის 2001 წლის გლობალური ჰუმანური ანგარიშის მიხედვით საქართველომ 70-ე ადგილიგან 76-ზე გადაინაცვლა. შერატონ მეტეხი პალასში შეხვედრა-დისკუსია გაიმართა, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გამოქვეყნებული "ჰუმანური განვითარების ანგარიში – საქართველო 2001-02 წწ"-ს მიეძღვნა.

ანგარიშის ძირითადი თემა სიღარიბეა. ქვეყნის რეიტინგის დადგენა ხდება ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიც არის სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლების დონე და რეალური შემოსავალი. გლობალური ჰუმანური განვითარების ანგარიშის მიხედვით 2001 წლის სიის თავში ნორვეგიაა. ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის საუკეთესო მდგომარეობა აქვს ესტონეთს. იგი 44-ე ადგილზეა. ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის წინ დგას სომხეთი. მას 72-ე ადგილი უკავია. აზერბაიჯანი კი საქართველოს მოსდევს. ანგარიშის კვლევები დაფუძნებულია შინამეურნეობის გამოკითხვაზე, რამდენიმე ფოკუს-ჯგუფთან მუშაობის შედეგებზე და ადგილობრივი და საერთაშორისო ირგანიზაციების მიერ მოწოდებულ მასალებზე.

ანგარიშის მიხედვით, უმუშევრობამ საქართველოს ქალაქებში 26 პროცენტს მიაღწია, ხოლო თბილისში 30 პროცენტს და 40 პროცენტს შორის მერყეობს წელიწადის დროების მიხედვით. სოფლად უმუშევრობის მაჩვენებელი ხელოვნურად დაწეულია და 6 პროცენტს შეადგენს. რაც იმით არის განპირობებული, რომ სოფლად 1 ჰექტარი მიწის მფლობელი დასაქმებულად ითვლება. ეროვნული ჰუმანური განვითარების ანგარიშის მიხედვით, ღარიბთა ოჯახების მთლიანი ხარჯების დაახლოებით 0,5-0,6 პროცენტი განათლებაზეა გაწეული. ჯანმრთელობის დაცვის ანალიზმა უჩვენა, რომ სიღარიბის ზღვრის მიღმა მყოფი მოსახლეობის მხოლოდ 24 პროცენტს და სიღარიბის ზღვრის მიღმა მცხოვრებთა 15,6 პროცენტს შეუძლია მისცეს თავს მკურნალობის უფლება.

# შოუ უნდა გაგრძელდეს

პირველი გვერდიდან

## შოუ უნდა გაგრძელდეს

### პარტიებს ახალი ალიანსის არ სჯერათ

თამარ მჭედლიშვილი

და მაინც, პოლიტიკოსთა ნაწილი შეფასებებში საკმაოდ ფრთხილი აღმოჩნდა.

ზურაბ ტყემალაძე – ფრაქცია "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს":

**"მინდა გითხრათ, რომ თბილისის მოსახლეობამ ორივე პარტიას გამოუცხადა ნდობა. კი ბატონო, აიღონ პასუხისმგებლობა თბილისის წინაშე, ამაში არანაირ პრობლემას არ ვხედავ. პირიქით – უფრო სწორიც იქნება, თუკი ამ ორმა მძლავრმა ძალამ შექმნა უმრავლესობა და ერთად იღვაწა თბილისის საკეთილდღეოდ. ამის მიუხედავად, თბილისის საკრებულოს პოსტზე ჩვენ ჩვენი კანდიდატურა გვყავს და, თუკი უმრავლესობა დაუჭერს მხარს ბადრი შოშიტაიშვილს, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ამას. ნებისმიერ შემთხვევაში, საკრებულოს უმრავლესობასთან აუცილებლად ვითანამშრომლებთ იმ საკითხებში, რომელიც ქვეყნისა და ქალაქის ინტერესებს წაადგება. ისე კი, უმრავლესობა თუ თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეთანხმდება, ჩვენი კანდიდატურის წამოყენებას აზრი აღარ ექნება.**

**დარწმუნებული ვარ, რომ ბადრი შოშიტაიშვილი ღირსეული კანდიდატურაა. იგი სწორედ ის პიროვნებაა, რომელმაც ძალიან კარგად იცის თბილისის პრობლემები და მათ მოგვარებას ომის პირობებშიც ახერხებდა. რაც შეეხება ქალაქის მერს, ვანო ზოდელავა თანახმაა, ითანამშრომლოს ყველასთან, ვინც მის "ტყავს არ დახევს". მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ "ლეიბორისტებისა" და "ნაციონალების" დაახლოებაში ძალიან დიდი წვლილი ვანო ზოდელავას მიუძღვის."**

ირაკლი მინდელი - ფრაქცია "სოციალისტი":

**"არა მგონია, მათი გაერთიანება შედგეს. ეს, უბრალოდ, საარჩევნო ხმაურის გაგრძელებაა. ნათელაშვილი ამბობს, რომ მზად არის, თბილისზე პასუხისმგებლობა მიხეილ სააკაშვილს უწილადოს. შეიძლება, ეს ნათელაშვილის მხრიდან ლოგიკურიც იყოს, რადგან პასუხისმგებლობა მართლაც დიდია. ვერ გეტყვით, რომ ან ერთ, ან მეორე ძალას ვინმე მართავდეს. ეს არის პოლიტიკური შოუ, რომელიც გრძელდება. ეს ნორმალურიცაა, რადგან მიმდინარე წელი მთლიანად ჩაივლის არა ქალაქისათვის საქმის კეთებაში, არამედ ხმაურით და დაპირისპირებით იმავე ქალაქის მერთან, ხელისუფლებასთან. ისინი საკრებულოს ტრიბუნას მთლიანად გამოიყენებენ სააგიტაციოდ. საკრებულო ძალიან პოლიტიზებული იქნება. ჩემი აზრით, აჯობებდა, რომ მისი თავმჯდომარე სამეურნეო მუშაკი ყოფილიყო. საკრებულო არ უნდა გახდეს მეორე პარლამენტი."**

ალექსანდრე შალამბერიძე - ფრაქცია "ტრადიციონალისტი":

**"ვფიქრობ, რომ "ესერებისა" და "ანარქისტების" გაერთიანება სავსებით შესაძლებელია. ნორმალური პოლიტიკური ცხოვრებისათვის ერთნაირი ორიენტაციის ძალთა გაერთიანება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ პოლიტიკაში წინასწარ არავინ იცის, რას მოიმოქმედებს ხელისუფლებაში მოსული ადამიანი. საიდუმლო არ არის, რომ დღეს პოლიტიკაში არსებობენ "ჟორჟენაძისტები" და "ზოდელავისტები" და დაპირისპირება ამ ორ ფიგურას შორის იმდენად დიდია, რომ საზოგადოებამ ამის შესახებ შესანიშნავად იცის. ამდენად, პოლიტიკურ ბრძოლაში ეს ძალებიც მოქმედებენ. ვფიქრობ, "ლეიბორისტებისა" და "ნაციონალების" შეკვრა ამ ძალების ბიძგითაც არის გამოწვეული. რაც შეეხება "ახლებს", საწყენია, რომ ისინი დღესაც ეპოტინებიან თავმჯდომარის პოსტს. ისინი ვერაფერს შეძლებენ."**

ზეზვა ლულუნიშვილი - ფრაქცია "თანადგომა":

**"ვფიქრობ, რომ ეს გაუთავებელი დავა პასუხისმგებლობის აღების თაობაზე, უნდა დასრულდეს. ამის შესახებ ორივე პარტიამ არჩევნების დაწყებამდე გამოაცხადა. ახლა კი მიდის ამ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობა. მე სხვანაირ შეფასებას ამ პროცესებს ვერ ვაძლევ. ძალიან ადვილია პოლიტიკური დაპირებების გაცემა, მაგრამ ძალზე ძნელი – საქმის კეთება, თუნდაც ასფალტის დაგება ან ლიფტის შეკეთება, სათამაშო მოედნების მოწყობა და ამისთვის თბილისის მწირ ბიუჯეტში თანხების გამოძებნა. რასაც მე დღეს ვხედავ, ეს არის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. მე ამ ყველაფერს "პინგ-პონგის თამაშს" ვეძახი.**

გიგი წერეთელი – პარლამენტის ვიცე-სპიკერი:

**"ბუნებრივია, რომ ასეთი პროცესები მიმდინარეობს. საკრებულოში გასულ არც ერთ ძალას არა აქვს უმრავლესობა და ისინი ეძებენ ერთმანეთთან მისასვლელ გზებს. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მთავარია, რა შედეგს მოიტანს ეს ალიანსი, რომლის შესაძლებლობა დღემდე ნაკლებად წარმომედგინა. თუმცა, როგორც ხშირად ამბობენ, პოლიტიკაში ყველაფერი ხდება. თუ "ლეიბორისტები" და "ნაციონალები" გამოძებნიან საერთო ინტერესებს, შეიძლება, გაერთიანდნენ კიდეც. ორივე პარტიის ლიდერი საკმაოდ გავლენიანი ფიგურაა და ისინი თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას. მათ ახლა სხვა პარტიები ნაკლებად სჭირდებათ. თუმცა, ისიც ცხადია, რომ მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების გარანტიას ვერავინ ვერავის მისცემს. ასეთი პრეცედენტები ბევრჯერ ყოფილა – კარგად დაწყებული საქმე ძალზე სავალალოდ დასრულებულა".**

# რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გართულებას ელიან

ზურაბ ხაჭაპურიძე

რუსული სპეცსამსახურების მიერ გავრცელებული ინფორმაციით,რუსეთ-საქართველოს ჩეჩნეთის მონაკვეთზე უახლოეს მომავალში საკმაოდ სერიოზული გართულებებია მოსალოდნელი. თუ რუსებს დავუჯერებთ, საქართველოში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების გამოჩენით შეშფოთებული ჩეჩენი და მათი არაბი თანამებრძოლები რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადალახვას და ჩეჩნეთში გადასვლას აპირებენ. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ამ ინფორმაციას არც უარყოფენ და არც ადასტურებენ. სამაგიეროდ, ჯერ-ჯერობით დაუდგენელი შეიარაღებული ჯგუფის ჩრდილოეთის მიმართულებით გადაადგილება ქართველმა მწყემსებმა დააფიქსირეს.როგორც ისინი ამტკიცებენ, შეიარაღებულ ადამიანთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ამჟამად ბორბალოს მთის მიდამოებში იმყოფება და პირიქითა ხევსურეთში გადასასვლელად ემზადება.სხვათა შორის, იმ ფაქტს, რომ ჩეჩენი მებრძოლების საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა პანკისის ხეობა დატოვა, ადგილობრივი ქისტებიც ადასტურებენ. ბოლო დღეებში პანკისში რამოდენიმე, ე.წ. სკოლაც დაიხურა, სადაც არაბები, სავარაუდოდ, ვაჰაბიტები, ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიური აღზრდა-განათლებით იყვნენ დაკავებულნი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, პანკისის ხეობა დატოვა რუსლან გილაევმაც.რუსული მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ასლან მასხადოვმა გილაევი ჩეჩნეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფრონტის სარდლად დანიშნა. თუმცა, ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო მასხადოვის პირადმა წარმომადგენელმა,აჰმედ ზაკაევმა, რომელიც ამჟამად თურქეთში იმყოფება.

ასეა თუ ისე ,ფაქტია,რომ ჩეჩენი მებრძოლები ნელ-ნელა მართლაც ტოვებენ პანკისს. ეტყობა, ისინი იქ ისე კომფორტულად და უსაფრთხოდ ველარ გრძნობენ თავს, როგორც აქამდე. გარკვეული დისკომფორტი ჩეჩენ მებრძოლებს, როგორც ჩანს, საქართველოს უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის განცხადებამაც შეუქმნა ,როცა მან პანკისის ხეობაში რუსეთის, ამერიკის და საქართველოს მიერ ერთობლივი სპეცოპერაციის ჩატარება არ გამორიცხა. ამასობაში კი რუსი მესაზღვრეები რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის საგულდაგულოდ გამაგრებას შეუდგნენ. რუსეთის სასაზღვრო სამსახურის უფროსის, გენერალ ტოცკის განცხადებით, მის უწყებას ჩეჩნეთის სასაზღვრო მონაკვეთზე მესაზღვრეთა კონტინგენტის 1500 კაცით გაზრდა აქვს განზრახული. გაიზრდება ასევე საგუშაგოთა რაოდენობაც, ხოლო განსაკუთრებით საშიში მიმართულებები დაინაღმება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ ძალოვან უწყებებს წელს ძალზედ ცხელი ზაფხული ექნებათ.



საქართველოს საზღვარი ბორბალოს მთასთან

# თელავში ადგილობრივი ხელისუფლება ჩამოყალიბდა

დავით თუშიშვილი

14 ივნისს თელავში გაიმართა ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომა, რომელზეც ცნეს ქალაქ თელავის გამგებლის, ვასილ დავითაშვილისა და ცხრამანდატიანი საკრებულოს უფლებამოსილება. თელავის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე, ექვსი ხმით ორის წინააღმდეგ, აირჩიეს ერთადერთი დასახელებული კანდიდატი, მოქკავშირის წევრი გელა კირვალიძე. ამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ტრადიციონალისტთა კავშირის წევრმა ნუგზარ ჩიკვაიძემ. მან განაცხადა, რომ იგი პიროვნულად დიდ პატივს სცემს გელა კირვალიძეს, მაგრამ იმ პარტიის წევრს, რომელმაც დააქცია საქართველო, ხმას ვერ მისცემს.

გელა კირვალიძემ თავის მხრივ განაცხადა, რომ, მოქალაქეთა კავშირის გარშემო წარმოშობილი სირთულეებისა და აჟიოტაჟის გამო, იგი ამჟამად უზნეობად მიიჩნევს პარტიის მიტოვებას.

სხდომის დამთავრებისთანავე ტრადიციული კითხვით მივმართეთ რიგით თელაველებს: როგორ გგონიათ, შეძლებს ახლად არჩეული საკრებულო რაიმეს შეცვლას თელაველთა ყოფა-ცხოვრებაში?

**მარიკა ხუციშვილი** (დიასახლისი): **"ცხრა კი არა, ცხრაჯერ ცხრა კაცი ვერ შეცვლის ვერაფერს, სანამ წყალი სათავიდან არ დაიწმინდება".**

**ვაჟა ოთარაშვილი** (უმუშევარი): **"ახალი საკრებულოს წევრთაგან უმეტესობა კარგი ადამიანია, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, დიდი უფლებები არ გააჩნიათ და გული დამწყდება, თუკი ისინი გაიზიარებენ "მეხუთე ბორბლის" ხვედრს".**

**ლია ჯველაური** (გამყიდველი): **"დიდი იმედი მაქვს, რომ თელაველთათვის რაღაც სასიკეთოდ შეიცვლება".**

# „მანდატის გაუქმებით ნუ გაუწევთ შევარდნაძეს სამსახურს!"

## რატომ აფრთხილებს რუსეთის პარლამენტის ექსპერტი საქართველოს ოპოზიციას?

პირველი გვერდიდან

**- კონკრეტულად რა ფუნქციები ეკისრება რუსეთის პარლამენტის ამ სამუშაო ჯგუფს და ვინ არიან მისი წევრები?**

- მისი წევრები არიან სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლები, მოწვეული სამხედრო ექსპერტები, კავკასიის რეგიონის, ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთმცოდნე მაღალკვალიფიციური ანალიტიკოსები, რომლებიც, ძირითადად, მოვლენების პროგნოზირებას ახდენენ. სამუშაო ჯგუფის ფუნქციაა, საკანონმდებლო მუშაობაში პარლამენტს მიაწოდოს ყველა საჭირო რეკომენდაცია ცხელი წერტილებიდან. ჩვენი შესწავლის საგანია აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბაღი , ცენტრალური აზია, ასევე, აღმოსავლეთის ქვეყნების მნიშვნელოვანი რეგიონები. დღემდე დუმაში გატანილი ბევრი კანონი უშუალოდ ჩვენს რეკომენდაციებს ეყრდნობა. კომისია თანამშრომლობს რუსეთში ამ ქვეყნების საელჩოებთანაც.

**- 14 ივნისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგება დაიწყეს...**

- რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან, სპეციალურად ამ მისიით, ოცი დიპლომატი ჩაფრინდა სოხუმში, რათა ადგილზე განიხილონ აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების მექანიზმი და ეს პროცედურა აამუშაონ. საქმე სერიოზულად მიდის იქითკენ, რომ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დარჩენის თაობაზე სახალხო რეფერენდუმი ჩატარდეს.

**- გამოდის, რომ რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყება ხელს უწყობს აფხაზეთის საქართველოსგან საბოლოო მოწყვეტას?**

- ხელს უწყობს და ყველანაირად ეხმარება. უფრო მეტიც, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ, საქართველოს მხრიდან აფხაზეთში რეალურად მოსალოდნელი შეიარაღებული კონფლიქტის განახლების შემთხვევაში, რუსეთმა აამოქმედოს საკუთარი მოქალაქეების დაცვის კონსტიტუციით გათვალისწინებული მექანიზმი.

**- პარლამენტარი დიმიტრი როგოზინი ამტკიცებს, რომ "საქართველო სერიოზულად ემზადება ომისათვის, რაშიც საქართველოს ხელისუფლება მოხერხებულად იყენებს პანკისის ხეობაში საერთაშორისო ტერორისტთა არსებულ პრობლემას". ქართული წყაროები კი ასაბუთებენ, რომ, ბოლო დღეებში, რუსეთიდან აფხაზეთში, პასპორტებთან ერთად, შეიარაღების დიდძალი პარტიაც შევიდა...**

- იარაღის მიწოდებაზე ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. რაც შეეხება ომის სამზადისს, საქართველოს არმია დღეს არაბრძოლისუნარიანია, მაგრამ, გალის მოვლენების მსგავსი, ხანმოკლე შეზღუდული ოპერაციის ჩატარება მოსალოდნელია, რაც შეიძლება, ფართემასშტაბიან ომში გადაიზარდოს. აქ ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ "თეთრი ლეგიონი" და "ტყის ძმები", რომლებიც დასავლეთის ქვეყნებში მომზადებულ საკუთარ კონტინგენტს ეყრდნობიან. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სერიოზული ომის წარმოება არ შეუძლია. საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, დღეს საშინელი სიტუაციაა. რუსეთში ორი მილიონი კაცი მსახურობს შსს სტრუქტურაში და მილიონი - არმიაში. არ ყოფილა რუსეთის იმპერიის არსებობისა და საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე მომენტი, რომ არმიაში რიცხობრივად ამაზე ნაკლები ხალხი ყოფილიყო. საქართველოში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შტატების გაბერვით, დღეს დამნაშავეობა იზრდება, რადგანაც კრიმინალი და შსს ერთმანეთს შეესისხლხორცა. იგივე პროცესებია რუსეთშიც. ამიტომ მივდივართ ყველგან ქაოსამდე. შევარდნაძეცა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ყველა ლიდერი შეგნებულად ბერავენ შსს-ს შტატს, რათა ეს ძალები, საჭიროების დროს, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენონ და ხიშტებზე ედგათ ტახტი. პროპორციულად, თუ რუსეთში არმიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში მომსახურეთა თანაფარდობა ერთი ორთანაა, საქართველოში –ერთი ექვსთან. ამიტომ რუსეთის და, მითუმეტეს, საქართველოს შეიარაღებული ძალების ძლიერებაზე დღეს სერიოზულად საუბარი არ შეიძლება. საქართველოს არმიისა და შსს სტრუქტურების შექმნის პერიოდში, შევარდნაძემ უხეში შეცდომები დაუშვა, რამაც აფხაზეთში ომის დროს იჩინა თავი, როცა შევარდნაძის ბრძანებით აფხაზეთს კრიმინალები მიუსიეს, რომლებმაც მთელი აფხაზეთი და სამეგრელო გარყვნეს.

**- ვინ გყავთ მხედველობაში?**

-"მხედრიონი" და კრიმინალთა ის ბრბო,რომელიც შევარდნაძემ ომის დაწყების წინ ციხეებიდან და კოლონიებიდან სპეციალურად აფხაზეთში გადასასროლად გამოყარა. ვგულისხმობ იმ ხალხს, ვინც გვარდიის სახელით იბრძოდა. მაშინაც და ახლაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სრული განუკითხაობა იყო. ეს ხალხი მხოლოდ მოროდიორობითა და ყაჩაღობით იყო დაკავებული და აფხაზეთში ისინი ფაშისტებზე უარესად იქცეოდნენ.

**- დღეს რუსეთის პარლამენტში ბევრი ამტკიცებს, რომ, სულ მალე, ავღანეთის მოვლენები საქართველოზეც იქონიებენ უარყოფით გავლენას. რას გულისხმობენ თქვენი კოლეგები?**

-მხედველობაში აქვთ ის, რომ ავღანეთში საომარი მოქმედებები კვლავაც გაგრძელდება და ეს იმითაცაა საშიში, რომ ავღანეთში დღეს ორასზე მეტი ნარკოლაბორატორია მოქმედებს. ბევრმა არ იცის, რომ თალიბებმა შეწყვიტეს ყაყაჩოს გამოყვანა და ნარკოტიკების დამზადება. ამერიკულმა ნარკომაფიამ კი ყველაფერი გააკეთა ავღანეთში ნარკოტიკების მასიური წარმოების ასაწყობად. 200 ლაბორატორიიდან, რომელთა კოორდინატებიც ცნობილია, ამერიკულმა ავიაციამ არცერთი არ გაანადგურა. მთელი ამ ნარკოტიკების პარტია სულ მალე რუსეთსა და საქართველოს წალეკავს, რადგანაც პანკისის ხეობიდან ფოთის პორტზე გადის ნარკოტიკების ძირითადი ტრანზიტი.

**- პანკისის ხეობაში ნარკოტიკების წარმოების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტური მასალა გაქვთ, რომ პრესას წარმოუდგინოთ?**

-ჩვენი კომისიის პორტფელში არსებობს ასეთი დოკუმენტები. სხვათაშორის, ამას არც უარყოფენ თქვენი პოლიტიკოსები - ჟვანია და სააკაშვილი. "რუსთავი2"-ის ჟურნალისტის გიორგი სანაიას მკვლელობაც მსგავსი დოკუმენტების გამოქვეყნების მცდელობას უკავშირდება. იგი ხელისუფლებამ მოიშორა ნარკომაფიაში შსს და უშიშროების სამინისტროს მონაწილეობის შესახებ მამხილებელი მასალების ჩვენების წინ. ამ ტელეკომპანიის ჩხრეკის მიღმაც შევარდნაძე და მისი ნათესაობა დგას, რომელიც დღეს აკონტროლებს ნარკოტრეფიკს საქართველოში.

**- სანაიას მკვლელობაზე თქვენს სამუშაო ჯგუფს რაიმე დამატებითი მასალა გააჩნია?**

- ჩვენ მთელი ამერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მასშტაბით ვაგროვეთ მასალები და დავრწმუნდით, რომ ჟურნალისტის ლიკვიდაცია უკავშირდება პანკისის ხეობაში მომქმედ ნარკომაფიას.

**- თქვენი ინფორმაციით, რა ვითარებაა დღეს კოდორისა და პანკისის ხეობებში?**

-დღეს პანკისიდან საქართველოს შსს და უშიშროების მიერ კონტროლირებადი არხებით ნარკოტიკების ტრანსპორტირება ხორციელდება ჩრდილოეთ კავკასიაში. იგივე ხდება კოდორის ხეობაშიც - საქართველოს შსს-ს კონტროლის ქვეშ აწყობილია კანაპლიისა და სხვა ნარკოტიკების წარმოება, რაც შემდეგ აფხაზეთში, დასავლეთ საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ევროპაში გადადის. ამაზე მონაცემები ჩემი თვალით ვნახე აფხაზეთის სპეცსამსახურებში და ეს საქართველოშიც იციან.



**- ანრი ჯერგენიამ, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე, საქართველოს სპეცსამსახურები გელაევთან შეხვედრებში დაადანაშაულა. როგორ გგონიათ, სად ხვდებიან გელაევს, სახელმწიფო კანცელარიაში?**

-თბილისის გარშემო ცოტაა მოხერხებული ადგილი?თავდაპირველად გელაევს პანკისის ხეობაში ხვდებოდნენ, კოდორის ხეობაში ქართული ფორმირებების შეყვანამდე. შარშან, კოდორის ხეობის მოვლენებამდე კი, გელაევმა შევარდნაძის მეშვეობით 8 მლნ დოლარი მიიღო. კოდორის მოვლენების შემდეგ ჩეჩენი და არაბი ბოევიკები ამ ხეობით სარგებლობენ, რაშიც მათ ხელს უწყობენ საქართველოს შესაბამისი სტრუქტურები, რომლებიც ასევე აკონტროლებენ "თეთრი ლეგიონისა" და "ტყის ძმების" მოღვაწეობას. საქმე ის არის, რომ ეს პარტიზანული რაზმები აისბერგის ზედა ნაწილია. ხანგრძლივი დროის მანძილზე, სამუშია-შენგელია, ყოველთვიურად, საკუთარი ბიზნესის თანხებით, ხალხს აგზავნიან დასავლეთში საწვრთნელად. მათ უკვე ჰყავთ მომზადებული რამდენიმე ასეული კაცი - ამერიკელების პარალელურად. ახლა ისინი აფხაზეთის ტერაქტებში არ მონაწილეობენ. ისინი ძალებს იკრეფენ. საქართველოში მორიგი კრიზისის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ დასავლეთ საქართველოს თბილისისაგან იზოლირება და რეგიონის საკუთარ კონტროლქვეშ მოქცევა. დღეს დასავლეთ საქართველოსა და თბილისს შორის ფარული დაპირისპირებაა და გავლენის სფეროების გადანაწილება მიმდინარეობს. განსაკუთრებით, ეს გამოვლინდა ადგილობრივ არჩევნებში. ერთ-ერთი ფაქტორი ამ დაპირისპირებისა იყო შევარდნაძე, რომელიც შეეცადა ამ ხალხის იზოლირებას, სწორედ მისი დავალებით გაანადგურეს შენგელიას ნათესავები შარშან.

**- რუსეთის პარლამენტს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შემდგომში მოვლენების სცენარიც აქვს დამუშავებული?**

- შევარდნაძემ ამ არჩევნებში, ფაქტობრივად, დაკარგა კონტროლი არა მარტო საქართველოში, არამედ თბილისშიც. იგი ახლა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლქვეშ მოქცევას დააპირებს, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ორ ხელისუფლებას შორის კონფლიქტი მაინც გამწვავდება და საქართველოში შეიძლება განმეორდეს რუსეთში 1993 წელს მომხდარი მოვლენები. ამერიკელების მიერ მომზადებულ სპეცრაზმს შევარდნაძე საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენებს - ოპოზიციასთან გასამკლავებლად . ეს მისი პირადი გვარდია იქნება. არჩევნების დასრულებით საქართველოში კონფრონტაცია არ განელდება. არჩევნებმა დაამტკიცა, რომ აფხაზეთის ფაქტორის გამო, საქართველო-რუსეთის ახალი ჩარჩო-ხელშეკრულება არ გაფორმდება. ის ძალები, ვინც დღეს საქართველოში ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებიან, ანტირუსულად არიან განწყობილნი. ასე რომ, რუსეთი, საქართველო-აფხაზეთის პრობლემაზე მიმდინარე მოლაპარაკებებში, თავის პოზიციას საქართველოს მიმართ, შეიცვლის. გაიხსენეთ, რომ, ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში ზვიადისტების ამბოხება რუსული არმიის დახმარებით ჩააქრეს. ახლა შევარდნაძის დასაცავად და მის შესანარჩუნებლად რუსეთის არმია თითს თითზეც არ დააკარებს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შევარდნაძემ ყველაფერი გააკეთა ამისათვის. მეორე პრობლემაა პრორუსულად განწყობილი საქართველოს მოსახლეობის 75-85 პროცენტი და პროდასავლური ორინტაციის მქონე ელიტა. ელიტასა და მოსახლეობას შორის კონფლიქტი გარდაუვალია. ქართულმა ოპოზიციამ აქ აბსოლუტურად გონივრულად და სხარტად იმოქმედა, როცა წამოაყენა ლოზუნგი - "საქართველო-შევარდნაძის გარეშე". რუსეთში ანგარიშს უწევენ, რომ დღევანდელი ოპოზიცია შევარდნაძის გარემოცვიდანაა. ასე რომ, მათ წინასწარ იცოდნენ, სად იქნებოდა ფალსიფიკაცია. მოხდა ის, რომ შევარდნაძით დაღლილმა მოსახლეობამ ხმა მის წინააღმდეგ მისცა. ოპოზიციის გამარჯვება ამით აიხსნება.

დღევანდელი ქართული ოპოზიციის კონსოლიდირება შევარდნაძის წინააღმდეგ მოხდა. როგორც კი შევარდნაძე წავა, ოპოზიცია ერთმანეთს წაეკიდება. ამ მხრივ არჩევნების შედეგიც კანონზომიერია, რადგანაც შევარდნაძემ დაკარგა რეგიონები, ავტორიტეტი, ძალაუფლება; დააგროვა ვალები. საპარლამენტო კრიზისის დღეებში იგი ამერიკამ და რუსეთმა იხსნეს და ჟვანია აიძულეს, წასულიყო. ამიტომ საქართველოში ცოტა უცნაური სიტუაცია იქმნება, რადგანაც ორმა ამერიკულმა ლობმა აღარ იცის, რა უყოს სააკაშვილსა და შევარდნაძეს. თუმცა ისინი აგრძელებენ მათ დაფინანსებასა და მხარდაჭერას. მთელი უბედურება ის არის, რომ მთელ ამ ფეთქებადსაშიშ ვითარებაში პროვოკატორად და დეტონატორად შეიძლება მოგვევლინოს გენერალ-მაიორი თამაზ ნადარეიშვილი. ეს მოხდება 31 ივლისის შემდეგ, როცა გაეროს უშიშროების საბჭო განიხილავს აფხაზეთის კონფლიქტის საკითხს. ჩვენი კომისიის პროგნოზით,"თეთრი ლეგიონი" და "ტყის ძმები", გელაევის ბანდასთან ერთად, ტერორისტული აქტებით შეეცდებიან აფხაზეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების პროვოცირებას, დესტაბილიზაციას, რაც შევარდნაძეს სჭირდება საკუთარ ოპოზიციასთან გასამკლავებლად.

**- რითი შეუძლია იგივე ოპოზიციას, ხელი შეუშალოს ომის განახლებას?**

- საქართველოს ოპოზიციას შეუძლია ერთადერთი - არ დაუშვას აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანა. აფხაზეთის კონფლიქტი არ დარეგულირდება, სანამ შევარდნაძეა ხელისუფლებაში, რადგანაც სწორედ მან დაიწყო ომი და იგია ყველაფერზე პასუხისმგებელი. აფხაზეთი მასთან ვერ მოილაპარაკებს, რუსეთმა როგორი ზეწოლაც არ უნდა მოახდინოს მასზე. ეთნიკურ წმენდაზე, ქართველებისა და აფხაზების გენოციდზე პასუხი შევარდნაძემ უნდა აგოს. ლტოლვილებმა პრეტენზიები სწორედ მას უნდა წაუყენონ. განვლილმა ათმა წელიწადმა დარეგულირების სიტუაცია ისეთ ჩიხში მოაქცია, რომ გვეეჭვება, რომელიმე ქართველმა პოლიტიკოსმა შესძლოს მოლაპარაკების წარმოება. როცა აფხაზები კონფედერაციას ითხოვდნენ, თქვენები უარზე იყვნენ; ახლა აფხაზები მხოლოდ დამოუკიდებლობას ითხოვენ. ეს რეალური საშიშროებაა, რადგანაც დღეს უკვე სამხრეთ-ოსეთიც მათ მხარეს დაიკავებს.

**- მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ანრი ჯერგენიამ და ედუარდ კოკოითმა განაცხადეს ორი რესპუბლიკის სამხედრო მოქმედებების კოორდინაციაზე. რამდენად სერიოზულია ასეთი პერსპექტივა?**

-აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დღეს სრულიად სერიოზულად ქმნიან ერთიან სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს. სხვათა შორის, ეს წინადადება ჩვენი კომისიის სამუშაო ჯგუფის იდეაა, რომლის დამუშავებაც ჯერ კიდევ სამი წლის წინ დავიწყეთ. მაშინ პრეზიდენტი ჩიბიროვი იყო და მის ხელში ამის გაკეთება ვერ შევძელით. ედუარდ კოკოითი იმ პერიოდში მოსკოვში მუშაობდა და ამ იდეაზე სასაუბროდ ძველ არბატზე, ქართველების კულტურულ ცენტრ "მზიურში" მდებარე რესტორანში შევხვდით. მივირთმევდით ქართულ ხაჭაპურს და ამ საკითხებზე ვსაუბრობდით. სხვათაშორის, ოსი ეროვნების ოფიციანტი გოგონა გვემსახურებოდა, ქართველები კი გვიმღეროდნენ... აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემდგომი მოქმედებების კოორდინაცია სამხედრო კონფლიქტის განახლების შემთხვევაში გამოდგება - სამხრეთ ოსეთში ომის შემთხვევაში აფხაზები დაარტყამენ დასავლეთ საქართველოს, რითაც ფართომასშტაბიანი ომი დაიწყება. ამ ბლოკთან მიერთების მზადყოფნას დღეს უკვე აცხადებენ აჭარა და სამცხე-ჯავახეთი. აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი საქართველოს შემდგომ დაშლას შეეცდება. რუსეთი კი სრულ ნეიტრალიტეტს დაიკავებს, რადგანაც იგი აცხადებდა და აცხადებს, რომ პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტს და აფხაზეთიცა და სამხრეთ ოსეთიც საქართველოს შიდა პრობლემაა.

**- თუ საქართველოს პრობლემაა, მაშინ რატომ უჭერს მხარს სეპარატიზმს და საქართველოს დაქუცმაცებას რუსეთის პარლამენტი? რატომ უწყობს ხელს მოსკოვი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ასეთ დაახლოებას, რატომ ხვდებიან სეპარატისტებს მოსკოვის მთავარი საინფორმაციო სააგენტოების ოფისებში ასე ხელგაშლილად, თუკი რუსეთი საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ მიიჩნევს?**

- იმიტომ, რომ დღეს რუსეთში ბევრი ელოდება, როდის იქნება საქართველოში სრული კრახი. რუსეთში იციან, რომ შევარდნაძე ნებისმიერ პროვოკაციაზეა წამსვლელი, რათა საკუთარი არსებობა შეინარჩუნოს. თუ აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტს მანდატს შეუჩერებენ, დაიწყება ომი, რომლის დროსაც შევარდნაძე საგანგებო ვითარებას შემოიღებს და ოპოზიციას გაანადგურებს. ამიტომ, მინდა გავაფრთხილო საქართველოს ოპოზიცია, ნუ გაუწევენ მანდატის გაუქმებით შევარდნაძეს სამსახურს. ოპოზიცია მომდევნო საპარლამენტო არჩევნებს ნამდვილად მოიგებს და შევარდნაძეს არავითარი შანსი აღარ დარჩება.

# რუსეთის პრემიერმა გვერდი აუარა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონას

რუსიკო ნიკურაძე
საკუთარი კორესპონდენტი
მოსკოვიდან

სენატორებმა, რუსეთის პარლამენტის ზედა პალატაში, ორი დღის წინ პრეზიდენტ პუტინის მიმართვა მიიღეს. "შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე", პრეზიდენტი რეკომენდაციას იძლეოდა, განეხილათ ქართულ-ფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის ყოფნის ვადებისა და უფლებამოსილებათა საკითხი.

13 ივნისს სასწრაფოდ შედგა პარლამენტის ზედა პალატის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომა, რომლის შემდეგაც კომიტეტის აპარატის უფროსმა ალექსეი ნოვიკოვმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ პრეზიდენტის მიმართვა გამოწვეულია კონფლიქტის ზონაში შექმნილი ფეთქებადსაშიში ვითარებით. ამასთან, პუტინი ანგარიშს უწევს ქართული მხარის პოზიციას, რომ უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მოღვაწეობის ახალი ეტაპი. აპარატის უფროსის კომენტარით, სენატორებს ამ საკითხზე რუსეთის პრემიერის მიხეილ კასიანოვის გამოსვლაც უნდა მოესმინათ, მაგრამ, როგორც პარლამენტის კულუარებში ჩვენთვის გახდა ცნობილი, კასიანოვმა, პრეზიდენტის უშუალო მითითებით, მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა საფეხბურთო წარუმატებლობის პარალელურად სამშვიდობო ასპარეზზე რუსეთის დამარცხებაზე საუბარი. პარლამენტში მოსულმა პრემიერმა ერთი საათის განმავლობაში ილაპარაკა რუსეთის რეგიონულ პრობლემებსა და ქვეყანაში მაკროეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებაზე, რუსეთის არმიის დაფინანსებასა და ბიუჯეტზე, მაგრამ სამშვიდობო ოპერაციის ფინანსურ მხარეებზე აფხაზეთსა და კოსოვოში კასიანოვს, პუტინის მითითებისამებრ, არაფერი უთქვამს.

სამაგიეროდ, 14 ივნისის პლენარულმა სხდომამ, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტს მანდატი მიმდინარე წლის 30 ივნისამდე გაუგრძელა.

რუსეთის პარლამენტის კარგად ინფორმირებული წყაროები ამტკიცებენ, რომ 17-18 ივნისს მინსკში დაგეგმილი შეხვედრა, "აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გარდა, იმსჯელებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის მანდატის კიდევ ნახევარი წლით გაგრძელებაზე"; და რომ ამაზე მხარეებს შორის უკვე შეთანხმებაცაა მიღწეული.

თუკი ეს ასე მოხდება, რუსი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მინსკის შეხვედრა დაადასტურებს საქართველოს სურვილს, არ გაიყვანოს აფხაზეთიდან რუსეთის კონტინგენტი. უფრო მეტიც, ფედერაციათა საბჭოს თავდაცვის კომიტეტის წარმომადგენელი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ "ამ ეტაპზე ნაადრევია კონფლიქტის ზონაში დსთ-ს შერეული სამშვიდობო კონტინგენტის შეყვანაზე ფიქრი, იმ უბრალო მიზეზით, რომ აფხაზეთის ხელისუფლება ამაზე თანახმა არ იქნება, ხოლო მანდატის გაგრძელება ქართული და აფხაზური მხარეების გადასაწყვეტი პრობლემაა."

ამ საკითხის თაობაზე რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში, რუსეთში საქართველოს ელჩი ზურაბ აბაშიძე აცხადებს,რომ "30 ივნისის შემდეგ, დაიწყება სამშვიდობო კონტინგენტის მანდატის გაფართოება და სამშვიდობო ოპერაციაში დსთ-ს რესპუბლიკების ჩართვა, გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნებისა და აფხაზეთის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით."

17-18 ივნისს მინსკში საბოლოოდ გადაწყდება, დატოვებს თუ არა 3 ათასი რუსი სამხედრო მოსამსახურე ქართულ-აფხაზური დაპირიპირების ზონას; შეცვლიან თუ არა მათ შერეული რაზმები და რა გაგრძელება ექნება ამ პროცესს. რუსი სენატორების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ცალსახაა. როგორც ზედა პალატის სპიკერმა მირონოვმა გუშინ ჟურნალისტებს უთხრა, "საქართველო-რუსეთს შორის მიდის ამ საკითხის გაცხოველებული განხილვა, რაც კონფლიქტის მონაწილე მხარეთა პრეროგატივაა".

რუსეთის სენატორები უახლოეს მომავალში თბილისში ვიზიტს გეგმავენ. დღევანდელ სხდომაზე გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს ვიზიტი მინსკში მხარეთა შეხვედრის პარალელურად უნდა ჩატარდეს, ოფიციალური თბილისის გადასარწმუნებლად, რათა ქართველებმა არ იჩქარონ დაპირისპირების ზონაში რუსეთის სამშვიდობო მისიის გაუქმება.

რუსების ასეთი სიფრთხილის გაგება შეიძლება - როგორც გუშინდელ გამოსვლაში პრემიერმა კასიანოვმა სენატორებს უთხრა, წარმტებით ხორციელდება რუსეთის სამხრეთი რეგიონების ეკონომიკური აღმავლობის პროგრამა. რა თქმა უნდა, საუბარია მხოლოდ რუსეთის სუბიექტებზე, მაგრამ მის მოსაზღვრე რეგიონებში რუსეთს ასევე სიმშვიდე და სტაბილურობა აძლევს ხელს, რისი საიმედო გარანტიც დღემდე აფხაზეთში მყოფი სამშვიდობო კონტინგენტი იყო.

# ჰაველიც მიდის

შოთა უტიაშვილი

14-15 ივნისს ჩეხეთში საპარლამენტო არჩევნები ტარდება. გამარჯვების თითქმის თანაბარი შანსი აქვს ორ პარტიას, მმართველ სოციალ-დემოკრატებსა და ოპოზიციურ სამოქალაქო დემოკრატიის პარტიას. სოციალ-დემოკრატებს ქვეყნის ამჟამინდელი პრემიერმინისტრი მილოშ ზემანი უდგას სათავეში, ხოლო სამოქალაქო დემოკრატებს – ყოფილი პრემიერი და პარლამენტის ახლანდელი სპიკერი ვაცლავ კლაუსი. კარლოვის უნივერსიტეტის სოციოლოგის ირინა სიკლოვას განცხადებით, ეს ერთ-ერთი ყველაზე წყნარი და მშვიდობიანი არჩევნებია, რომელიც ოდესმე ჩატარებულა. პარტიებმა იციან, რომ სრულ უმრავლესობას ვერც ერთი მათგანი ვერ მოიპოვებს და კოალიციის შექმნა აუცილებელი იქნება, ამიტომ ერთმანეთის ღია კრიტიკას ერიდებიან.

ამ წყნარმა და მშვიდობიანმა არჩევნებმა უნდა გამოავლინოს აღმოსავლეთ ევროპის და, ალბათ, მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსის, პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველის მემკვიდრე. შეგახსენებთ, რომ ჩეხეთში საპრეზიდენტო არჩევნები არ ტარდება. აქ პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს.

ჰაველის ავტორიტეტი ბევრად უფრო მაღალია ქვეყნის გარეთ, ვიდრე თავად ჩეხეთში. ოპონენტები მას ელიტისტური მიდგომებისათვის აკრიტიკებენ. მისი ერთ-ერთი ოპონენტის განცხადებით, ჰაველს პოლიტიკა სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა ჰგონია, მაშინ, როდესაც იგი მხოლოდ პარტიებს შორის ძალაუფლებისათვის ყოველდღიური ბრძოლაა. მისი აზრით, ჰაველი, რომელიც ყოველთვის ფიქრობდა, რომ სიკეთის მხარეს იდგა, დემოკრატიის ჩვეულებრივი, ყოველდღიური წესების დაცვას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ჰაველი მართლაც ნაკლებად ერეოდა პარტიებს შორის ბრძოლაში და უფრო იდეალისტურ მიზნებს ემსახურებოდა. იდეალიზმმა კი, ისევე, როგორც იდეოლოგიამ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში თავისი დრო მოჭამა.

პრეზიდენტის პოსტზე ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია ვაცლავ კლაუსი. ორ ვაცლავს, კლაუსსა და ჰაველს ერთმანეთი ძალიან არ უყვართ. ჰაველი ცნობილი ოჯახიდანაა. იგი მთელი ცხოვრება დისიდენტი იყო, ამავე დროს, საკმაოდ კარგი დრამატურგიც. კლაუსი საშუალო კლასის წარმომადგენელი და ცნობილი ეკონომისტია. როდესაც ჰაველი პიესებს წერდა, კლაუსი ლექციებს კითხულობდა საბაზრო ეკონომიკაზე. ჰაველი კლაუსს არ ენდობოდა და მის ჩამოცილებას ცდილობდა. თავის მხრივ, კლაუსი ყოველთვის დასცინოდა ჰაველის მცდელობას, პარტიულ პოლიტიკაზე მაღლა დამდგარიყო.



ვაცლავ ჰაველი

REUTERS

პოლონეთის პაისლის უნივერსიტეტის პროფესორის, გეორგ ბლაჟიჩას თქმით, "ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვილილება, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოლო წლებში მოხდა, არის ის, რომ პოლიტიკოსები ხვდებიან: მათი ერთადერთი მოვალეობაა, გააკეთონ საქმე მეტნაკლებად კარგად და ზედმეტი კორუფციის გარეშე". აღმოსავლეთ ევროპელმა ამომრჩევლებმა პოლიტიკოსების შეფასება სწორედ ამ ნიშნით დაიწყეს. იდეოლოგიური იარლიყები: "კომუნისტი", "ანტი-კომუნისტი", "ნაციონალისტი" და ა.შ. ნელ-ნელა კარგავს მნიშვნელობას, ისევე, როგორც წარსული (თუნდაც, ძალიან დიდი) დამსახურება. მთავარი ეფექტური მართვა და კორუფციის შეზღუდვაა. სწორედ ამიტომ ხდება, რომ პოლონეთში, უნგრეთსა და ჩეხეთში, ისევე, როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებში, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, ყოფილი კომუნისტები თუ ყოფილი დისიდენტები, ქვეყნის პოლიტიკური კურსი არ იცვლება. ამ მხრივ, საგულისხმოა ლეხ ვალენსას მაგალითი. სოლიდარობის ლეგენდარულმა ლიდერმა, რომელიც 80-იანების ბოლოს ქვეყნის ეროვნულ გმირად იყო აღიარებული, შარშან გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმების 1 პროცენტიც ვერ მიიღო. ხელისუფლებაში მოსულმა კვასნიევსკიმ, რომელიც კომუნისტების მთავრობაში მინისტრი იყო, დემოკრატიული და საბაზრო რეფორმები "დემოკრატიისთვის თავდადებულ" ვალენსაზე უკეთ გააგრძელა. შესაძლოა, სწორედ ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არსებულ უზარმაზარ განსხვავებას. საბჭოთა კავშირის ყოფილ სივრცეში მჟღერ ფრაზებს ჯერ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე საქმის ეფექტურად და სუფთა ხელებით კეთებას.

ხალხის განწყობილების ამგვარი ცვლილების ფონზე, ყოფილმა დისიდენტებმა და ინტელექტუალებმა ნელ-ნელა დაკარგეს თავიანთი პოპულარობა. კლაუსის თქმით, დისიდენტი ინტელექტუალები, რომლებსაც ურყევად სწამთ თავიანთი განსაკუთრებულობა და ყველაფერს ზევიდან უყურებენ, ქვეყნისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ. ამიტომაც ახლანდელი კანდიდატები, იმის დასამტკიცებლად, რომ ისინიც ჩვეულებრივი მოკვდავები არიან, ერთმანეთს ეროვნული საჭმელების უკეთ მომზადებაში ეჯიბრებიან.

ჰაველისადმი სახალხო სიმპათიის დაცემას მისმა პირადმა ცხოვრებამაც შეუწყო ხელი. 1996 წელს გარდაიცვალა მისი პირველი ცოლი, ოლგა, რომელიც თავისი საქველმოქმედო საქმიანობის გამო, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მის სამგლოვიარო პროცესიას ათობით ათასი ჩეხი დაესწრო. რამდენიმე თვეში ჰაველმა მეორედ იქორწინა ოცი წლით უმცროს მსახიობ დაგმარ ვეჟკრნოვაზე. ამ ახალ "კონკიას", რომლის საყვარლებზე ჭორები ჩეხურ მასმედიაში ყოველთვის დადიოდა და მისი პიკანტური სურათებიც ხშირად ვრცელდებოდა, მოსახლეობა ძალზე ცივად შეხვდა.

ჰაველის რეპუტაციაზე ძალზე ცუდად იმოქმედა, აგრეთვე, ძმასთან - ივანთან დავამ, რომელიც პრაღის ცენტრში მდებარე საგვარეულო ლუჩერნას ციხე-სიმაგრის გამო წარმოიშვა.

მაშ ასე, როგორც არ უნდა დამთავრდეს არჩევნები, ჰაველი თებერვალში პრეზიდენტის პოსტს დატოვებს. როგორც ამბობენ, იგი ქვეყნიდანაც წავა და პორტუგალიაში, ზღვის ნაპირას მდებარე ვილაში გააგრძელებს ცხოვრებას და, ალბათ, წერასაც. იგი ნახევრად ავტობიოგრაფიული, ნახევრად მხატვრული წიგნის დაწერას აპირებს. ჩეხეთის დატოვება მას ექიმებმა ურჩიეს, მაგრამ, ამბობენ, რომ ჰაველი პრაღიდან მის ირგვლივ ატეხილ მითქმა-მოთქმას გაურბის.

## ამბები

### ტერორისტებს სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ

ხუთშაბათს ევროკავშირის 15 წევრი-სახლემწიფოს იუსტიციის მინისტრთა სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირებისა და ორგანიზაციებისთვის ევროკავშირის "ტერორისტთა სიაში" შეყვანის გასაჩივრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით. იმ პირს ან ორგანიზაციას, რომელიც ჩათვლის, რომ ტერორისტთა თუ ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში დაუსაბუთებლად არის შეყვანილი, ამ საკითხის გასაჩივრების უფლება სასამართლოს მეშვეობით ექნება. დღემდე 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ "ტერორისტთა სიაში" შეყვანილ პირებსა და ორგანიზაციებს ამ სტატუსის გასაჩივრების სამართლებრივი საშუალებები გააჩნდათ (Die Welt).

### აფეთქება აშშ-ს საკონსულოსთან

პარასკევს დილით პაკისტანის საპორტო ქალაქ ყარაჩიში აშშ-ს საკონსულოსთან, დანაღმული მანქანის აფეთქების შედეგად, დაიღუპა 10 და დაიჭრა 25 ადამიანი. ისლამაბადში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლის ინფორმაციით, მოკლულთა შორის საკონსულოს თანამშრომლები და უცხოელები არ არიან. საკონსულოს ერთი ამერიკელი და ხუთი პაკისტანელი თანამშრომელი დაიჭრა. პოლიციელთა აზრით, აფეთქება ტერორისტმა კამიკაძემ მოაწყო. ეს ინციდენტი 8 მაისს ყარაჩიში ერთ-ერთ სასტუმროსთან მომხდარ აფეთქებას ჰგავს, რომელმაც 11 ფრანგი ინჟინრისა და 2 პაკისტანელის სიცოცხლე შეიწირა.




პარასკევის ინციდენტი მიმდინარე წლის განმავლობაში უცხოელების წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის უკვე მეოთხე შემთხვევაა. როგორც წესი, ინდოეთსა და პაკისტანში ამგვარი ინციდენტები მაღალი რანგის დიპლომატების ჩამოსვლას ემთხვევა. ამ კვირაში პაკისტანში აშშ-ს თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი იყო ჩასული. პოლიციელთა განცხადებით, ისინი მთელი კვირის განმავლობაში ელოდნენ ტერაქტს. ხელისუფლების აზრით, მომხდარი ტერაქტი ცხადყოფს, რომ ისლამისტი ექსტრემისტები ისეთსავე საფრთხეს წარმოადგენენ პაკისტანისათვის, როგორც ინდოეთისათვის. აშშ-მ, ინდოეთმა და მსოფლიო თანამეგობრობამ უნდა გაიგონ, თუ რაოდენ რთულია პაკისტანის პრეზიდენტ ფერვეზ მუშარაფისთვის ისლამისტი რადიკალების კონტროლი (Reuters).

### შიმონ პერესი პალესტინელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა პარასკევს გააკეთა განცხადება პალესტინელ ოფიციალურ პირებთან კონტაქტების განახლების შესახებ. თუმცა, იგი მოლაპარაკებების წარმოებას არ გეგმავს იასერ არაფატთან, რომელმაც ისრაელი პალესტინის ხელისუფლებაში რეფორმების გატარების მცდელობისთვის ხელის შეშლაში დაადანაშაულა. საქმე ის გახლავთ, რომ კვირას არაფატმა პალესტინის კაბინეტში ცვლილებები შეიტანა. ორშაბათს განახლებული კაბინეტის პირველი სხდომა უნდა შემდგარიყო. ორშაბათსვე რამალაში ისრაელის ჯარები შევიდნენ და ოთხშაბათამდე არაფატის რეზიდენცია ბლოკადაში მოაქციეს, რის შედეგადაც კაბინეტის სხდომა ჩაიშალა. ამასთან დაკავშირებით, კაბინეტისადმი მიმართვაში არაფატმა ისრაელის ძალების შეჭრას რამალაში საბოტაჟი უწოდა, რომელიც რეფორმირების პროცესისთვის ხელის შეშლას ისახავდა მიზნად.

ისრაელის რადიოთი გამოსვლისას შიმონ პერესმა განაცხადა, რომ, მართალია, ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი რეგიონში ძალადობის შეწყვეტამდე პალესტინელებთან მოლაპარაკებების განახლებას არ აპირებს, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან პალესტინელებთან ურთიერთობების აღდგენის საწინააღმდეგო მას, როგორც ჩანს, არაფერი აქვს. თუმცა, პერესმა ხაზი გაუსვა: "ამ ეტაპზე არაფატთან საუბარს არ ვაპირებ".

ეს პერესის პალესტინელებთან სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლების პირველი მცდელობა არ არის. რამდენიმე თვის წინ პერესი აწარმოებდა მოლაპარაკებებს პალესტინელთან აჰმედ ქურეიასთან. ისინი თითქმის შეთანხმდნენ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო გეგმაზე, რომლის თანახმადაც ისრაელი ჯერ პალესტინის სახლმწიფოს ცნობდა, ხოლო სადავო საკითხებზე მოლაპარაკება კი უკვე ამის შემდეგ დაიწყებოდა. ეს გეგმა ძალიან ჰგავდა ამ კვირაში აშშ-ს სახლმწიფო მდივნის კოლინ პაუელის მიერ შეთავაზებულ ე.წ. "გარდამავალი სახლმწიფოს" გეგმას.

ბოლო პერიოდში ბუშმა, ახლო აღმოსავლეთში კრიზისის დაძლევასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებათა სერია გამართა – ჯერ ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს, ხოლო შემდეგ კი არიელ შარონს შეხვდა – ამერიკის სამშვიდობო ინიციატივის ახალი გეგმის ჩამოყალიბების მიზნით. ახალი ინიციატივა საბოლოო სახეს, სავარაუდოდ, მომავალ კვირას მიიღებს (Associated Press).

### სროლა ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე

კვირას ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე ირანელმა მესაზღვრეებმა ირანის მოქალაქე, ერთ-ერთი ირანული კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი გულამ ალი იაზდან დუსტი მოკლეს, რომელიც აზერბაიჯანში ადამიანების კონტრაბანდით იყო დაკავებული. ერთ-ერთი მესაზღვრის გადმოცემით, დაკავების მომენტში კონტრაბანდისტი პირადობის დამადასტურებელი საბუთების არმქონე 5 პირის საზღვარზე გადაყვანას ცდილობდა. როგორც ცნობილი გახდა, ეს ადამიანები ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე პაკისტანის ქალაქ ყარაჩიდან მოხვდნენ. საზღვარზე გადაყვანისთვის თითოეულმა 250 დოლარი გადაიხადა.

აზერბაიჯანი სატრანზიტო სახელმწიფოა. არალეგალური მიგრანტების ძირითადი ნაკადი ამ ქვეყანაში სწორედ ირანიდან აღწევს. 1990 წლიდან აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დიდი მონაკვეთი მოიშალა, რაც კონტრაბანდისტებს ქვეყანაში შეღწევას უადვილებს. აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, აზერბაიჯანში მიმდინარეობს სერიოზული ბრძოლა არალეგალური მიგრაციისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ. ამის დამადასტურებელი ფაქტია ის, რომ შარშანდელთან შედარებით წელს ქვეყანაში არალეგალური შეღწევის შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო (Пресс-центр.ру).

### უზბეკეთი სუუამ-იდან გამოდის

ტაშკენტმა მიიღო გადაწყვეტილება სუუამ-იდან (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) გამოსვლის შესახებ. ეს ორგანიზაცია 1999 წელს შეიქმნა და მიზნად რეგიონულ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის განვითარებას ისახავდა. სუუამ-ს ბევრი დსთ-ში რუსეთის გავლენის დაბალანსების მცდელობად მიიჩნევს. ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულაზ კამილოვმა. მისი განცხადებით, უზბეკეთის ამ ორგანიზაციაში მონაწილეობა მრავალმხრივი ეკონომიკური ინტეგრაციის სურვილით იყო განპირობებული, მაგრამ სუუამ-ის არსებობის ოთხი წლის განმავლობაში რაიმე პოზიტიურ შედეგს ადგილი არ ჰქონია. საგარეო მინისტრმა განაცხადა: "ინტეგრაციის ეფექტიანი დონის მიღწევას, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი სახელმწიფოთშორისი და საშინაო საკითხების მოგვარება, ორმხრივი თანამშრომლობის ფართო და მრავალმხრივი საფუძვლის შექმნა უნდა უსწრებდეს წინ". უზბეკეთი აზერბაიჯანთან, საქართველოსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან ორმხრივი მეგობრული და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული (CNA).

# აშშ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან გამოვიდა

13 ივნისს შეერთებული შტატები საბოლოოდ გამოვიდა 1972 წლის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან. სწორედ ამ დღეს გავიდა 6-თვიანი ვადა 13 დეკემბრის შემდეგ, როდესაც პრეზიდენტმა ბუშმა აცნობა პრეზიდენტ პუტინს, რომ აშშ ხელშეკრულებას ტოვებდა.

აშშ-სთვის აღნიშნული საკითხი დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა განხეთქილების ვაშლად არა მარტო რუსეთთან, არამედ ჩინეთთან და, გარკვეულწილად, ნატოელ პარტნიორებთან ურთიერთობაშიც. მოსკოვი და პეკინი აღნიშნულ ხელშეკრულებას სტრატეგიული სტაბილურობის გარანტად მიიჩნევდნენ და, მისი დარღვევის შემთხვევაში, შესაძლო გაუთვალისწინებელ შედეგებზე მიუთითებდნენ. მაგრამ ვერც რუსეთმა და ვერც ჩინეთმა ამერიკისათვის წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს და ხელშეკრულების გაუქმებას განსაკუთრებული ხმაური არ მოჰყოლია.

1972 წლის ხელშეკრულება ბალისტიკური რაკეტების საწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნას კრძალავდა. ხელშეკრულების ლოგიკა რამდენადმე პარადოქსულია, მაგრამ ბოლო 30 წელი მის საიმედობაში ეჭვი არავის შეპარვია: ხელშეკრულება მის მონაწილე ქვეყნებს აიძულებს, დაუცველი დარჩნენ ყველაზე დიდი საშიშროების, ბირთვული იარაღის წინაშე და ამით ორივე მხარის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ცივი ომის წლებში მხარეთა ათასობით ბირთვული რაკეტა ერთმანეთზე იყო დამიზნებული. ისინი მუდმივ მზადყოფნაში იყო მოყვანილი, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მათი გაშვება რამდენიმე წუთში ყოფილიყო შესაძლებელი.

ერთადერთი, რაც მოსკოვსა და ვაშინგტონს ამ რაკეტების გაშვებისა და მოწინააღმდეგის ნაცარტუტად ქცევისაგან (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) აკავებდა, ეს საპასუხო დარტყმის შიში იყო. რაც უფრო დიდი იქნებოდა საპასუხო დარტყმის ალბათობა და მისი დამანგრეველი ძალა, პირველი დარტყმის მიყენებისაგან მხარეები მით უფრო მეტად შეიკავებდნენ თავს. ამიტომ იყო აკრძალული ეროვნული თავდაცვითი სისტემის შექმნა.

რეიგანის "ვარსკვლავების ომების" პროგრამა ამ "სასიკვდილო ურთიერთდამოკიდებულებიდან" გამოსვლისაკენ მიმართული აშშ-ს პირველი მცდელობა იყო. მაგრამ მისი განხორციელება ტექნოლოგიურად შეუძლებელი აღმოჩნდა. რეიგანის შემდეგ ეს იდეა ცოტა ხნით მიივიწყეს. სარაკეტო თავდაცვის იდეის აღორძინება კლინტონის მეორე საპრეზიდენტო ვადიდან დაიწყო.

ვაშინგტონის მტკიცებით, იმის საშიშროება, რომ რომელიმე "ურჩი სახელმწიფო" (ირანი, ერაყი, ლიბია და სამხრეთ კორეა) ჩაიგდებს ხელში მასობრივი განადგურების იარაღსა და ბალისტიკურ სარაკეტო ტექნოლოგიას და ამერიკაზე იერიშის მიტანას გადაწყვეტს, საკმაოდ დიდია. ეს არგუმენტი თითქმის მთელ დანარჩენ მსოფლიოს არადამაჯერებლად მიაჩნდა. ჯერ ერთი, ამ ქვეყნებს არა აქვთ ისეთი რაკეტები, რომ ამერიკას მისწვდნენ და მეორე, აშშ-ზე იერიში რომ მიიტანო, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის მტერი უნდა იყო.

11 სექტემბრის შემდეგ ვითარება შეიცვალა. ნათელი გახდა, რომ არიან ისეთებიც, ვინც აშშ-ზე დარტყმას ბედავს და, დროთა განმავლობაში ისინი, შესაძლოა, უფრო გამანადგურებელ იარაღს დაეუფლონ, ვიდრე საწვავითა და ხალხით სავსე თვითმფრინავებია. სწორედ მათ წინააღმდეგ იქმნება ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა (ერთს). თუმცა, ისეთებიც მოიძებნებიან, ვინც ამტკიცებს, რომ სისტემის მიზანი ჯერ ჩინეთისა და შემდეგ, შესაძლოა, რუსეთის ბირთვული არსენალის უვნებელყოფაა.

ერთს-ის კონცეფცია, ერთი შეხედვით, ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. მტრის მიერ გაშვებულ რაკეტა ამ სისტემამ უნდა აღმოაჩინოს, ამოიღოს მიზანში, გაუშვას რაკეტა-გამანადგურებელი, მიჰყვეს, მოხვდეს და გაანადგუროს. ეს, დაახლოებით, იგივეა, ტყვიის ტყვიით ჩამოგდება რომ სცადო. მაგრამ, როგორც ტესტებმა დაადასტურა, ეს პრინციპულად შესაძლებელია, თუმცა წარმატების ალბათობა ჯერ არც ისე მაღალია. ტექნოლოგიის შემდგომ დახვეწაზე ორი ცნობილი კომპანია, "ბოინგი" და "ლოკჰიდ მარტინი" იმუშავებს. პროექტის საერთო ღირებულება 150 მილიარდი დოლარია.

საბოლოო მიზანი მრავალშრიანი თავდაცვითი სისტემის შექმნაა. ხელოვნურმა თანამგზავრებმა უნდა უზრუნველყონ მოწინააღმდეგის მიერ გაშვებული რაკეტის აღმოჩენა და ზეძლიერი ლაზერის მეშვეობით მისი განადგურება. ამისათვის დრო სულ 5 წუთია. თუ რაკეტა "გადარჩა", საქმეში ახალი თაობის "რეითეონ სმ-3" ტიპის რაკეტა ერთვება, რომელიც ეჯახება ატმოსფეროს გარეთ მფრინავ რაკეტას და დარტყმის ძალით, ანუ კინეტიკური ენერგიით ანადგურებს მას. თუ მოწინააღმდეგის რაკეტა ამ "მახესაც" გაექცა, საქმეში ერთვებიან მოდერნიზებული "პეტრიოტის" ტიპის რაკეტები, რომლებმაც მოწინააღმდეგის რაკეტა უკვე დაშვების დროს უნდა გაანადგურონ. ლაზერული სისტემა ჯერ არავის გამოუცდია, კინეტიკურმა რაკეტამ 8 შემთხვევიდან 4-ჯერ ივარგა, "პეტრიოტის" საწყისი 6 ტესტიდან ყველა ჩავარდა, თუმცა შემდეგ ორ შემთხვევაში რაკეტის განადგურება მოხერხდა.

ერთი სიტყვით, სარაკეტო თავდაცვის სისტემის ელემენტების უმრავლესობა კვლავაც ფანტასტიკის სფეროში რჩება, თუმცა პენტაგონი ირწმუნება, რომ რამდენიმე წელიწადში ამ ყველაფერს რეალობად აქცევს.



# სკანდალი საკონსტიტუციო სასამართლოში

## ლეიბორისტებმა მოსამართლე ზოიძეს „საქმე გაურჩიეს“, შალვა ნათელაშვილი კი საპროტესტო აქციით იმუქრება

სოფო კვინტრაძე

*საკონსტიტუციო სასამართლოს განმკარგულებელი სხდომა, სკანდალამდე, შალვა ნათელაშვილის რეპლიკების ფონზე მიმდინარეობდა. მოსამართლე ბესარიონ ზოიძე სასამართლო დარბაზში მსხდომ ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებს პერიოდულად მოუწოდებდა, ტაშისკვრისაგან თავი შეეკავებინათ. მართალია, ზოიძე და დანარჩენი მოსამართლეები - იაკობ ფუტკარაძე და ნიკოლოზ შაშკინი, ნათელაშვილის პათოსს არ იზიარებდნენ, მაგრამ მის მეტაფორებზე აშკარად ეღიმებოდათ. გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა მიეღო ნათელაშვილის სარჩელის მიღება-მიუღებლობის შესახებ.*

შალვა ნათელაშვილის განცხადებით, სამწლინახევრის წინ, ხოლო მოსამართლე ზოიძის თქმით, 2000 წლის 19 ივლისს, ანუ ორი წლის წინ, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა საკონსტიტუციო სასამართლოში "ეი-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. აღნიშნული სარჩელის განხილვის პირველი მცდელობა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს განმკარგულებელ სხდომაზე გუშინ შედგა, სკანდალში გადაიზარდა და, საბოლოოდ, ჩაიშალა.

სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, თუ რამდენად ექვემდებარება ნათელაშვილის კერძო სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანს.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა თავის გამოსვლაში საკმაოდ ვრცლად და ემოციურად ისაუბრა სარჩელის შინაარსზე. მისი განცხადებით, "ეი-ი-ეს თელასი" არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მეორე მუხლს, სადაც საუბარია ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე. კონკრეტულად კი, ნათელაშვილის თქმით, ეს შეეხება ადამიანის სასიცოცხლო უფლების, თავისუფლად გადადგილების უფლების, ინტელექტუალური განვითარების უფლების და შრომის უფლების დარღვევას. სარჩელში მოყვანილია ცხრა ნორმატიული აქტი, მათ შორის პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები, რომლებმაც, ნათელაშვილის განცხადებით, დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუცია და უზრუნველყვეს ენერგეტიკის სტრატეგიული ობიექტების უცხოელ ინვესტორებზე გაყიდვა.

**"საქართველოს პარლამენტმა, ჟვანია-სააკაშვილის გუნდის ინიციატივით, მიიღო ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება, რომელიც ენერგეტიკის ობიექტების პრივატიზებას ითვალისწინებს. შემდეგ პრეზიდენტმა, ასევე ანტიკონსტიტუციური ბრძანებულებების საფუძველზე, მოახდინა თელასის გაყიდვა და შემოიყვანა საქართველოში ამერიკული კომპანია "ეი-ი-ესი", რომელიც თავისი ქვეყნიდან გამოგდებულია. ეს არის კერძო თაღლითური ფირმა, რომელიც დაუკავშირდა ასევე თაღლითებს საქართველოს მთავრობაში და გადაწყვიტა ქართველი ხალხის ხარჯზე ფულის გაკეთება. ეს სწორედ ის სააკაშვილია, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მხარს კი ვუჭერთ, მაგრამ გვაინტერესებს, ხმას რატომ არ იღებდა, როცა "ეი-ი-ესი" კატასტროფულად ზრდიდა ელექტროენერგიის გადასახადს, იმიტომ ხომ არა, რომ დაიბარებდნენ ამერიკის საელჩოში და ყურებს დაახევდნენ. "ეი-ი-ეს თელასი" არის ენერგოოკუპანტი, რომელიც სასწრაფოდ უნდა გავაძევოთ საქართველოდან"**, - განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

სხდომის მიმდინარეობისას ნათელაშვილმა რამდენჯერმე მიუთითა, რომ მისთვის ცნობილი იყო, თუ როგორ ზეწოლას განიცდიდნენ მოსამართლეები კანცელარიის მხრიდან. ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა მოსამართლეები გააფრთხილა კიდეც, რომ მათთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ხალხი რუსთაველზე მასობრივ მსვლელობას მოაწყობდა, რაზეც თვითონ პასუხს აღარ აგებდა.

ლეიბორისტების დიდი აღშფოთება მოსამართლე ფუტკარაძის რეპლიკამ გამოიწვია. ნათელაშვილის მორიგ მუქარაზე, რომ საპროტესტო აქციას მოაწყობდნენ, ფუტკარაძემ უპასუხა, სადაც გინდათ, აქცია იქ მოაწყვეთო. ამის შემდეგ შალვა ნათელაშვილმა სასამართლო დარბაზი დატოვა, ხოლო მისი აღშფოთებული მომხრეები მოსამართლეებს მიცვივდნენ და საქმე შეხლა-შემოხლამდეც კი მივიდა. საბოლოოდ, ნათელაშვილი დარბაზში დაბრუნდა და ხალხის დაწყნარება სცადა. ამ აჟიოტაჟში მოსამართლე ზოიძემ სხდომის ორშაბათამდე გადადება გამოაცხადა. ამდენად, ჯერჯერობით ისევ უცნობია, განიხილავს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო ნათელაშვილის სარჩელს "ეი-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ.

ლეიბორისტებს კი, მუქარის მიუხედავად, რუსთაველზე მასობრივი მსვლელობა არ მოუწყვიათ.

# ჯორბენაძეს პარლამენტში პასუხს მოსთხოვენ

მანანა ხიდაშელი

*ბიუჯეტს 40 მლნ. ლარი დააკლდა. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის ვასილ გიგოლაშვილის თქმით, დანაკლისის უდიდესი ნაწილი ბიუჯეტში უცხოური გრანტების მიუღებლობის გამო წარმოიქმნა.*

პარლამენტში 2002 წლის ბიუჯეტზე მუშაობისას სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ პარლამენტს ბიუჯეტის დამტკიცება სთხოვა, სანაცვლოდ კი ოთხი თვის შემდეგ შესრულებულ ბიუჯეტსა და გაზრდილ პარამეტრებს დაჰპირდა.

"ჰოლანდიიდან საქართველოს გრანტის სახით ხუთი მილიონი ევრო უნდა მიეღო, მაგრამ ჰოლანდიის მთავრობის გადადგომის გამო ამ თანხის მიღება ვერ მოხერხდა", - აცხადებს გიგოლაშვილი. მისივე თქმით, 1993-1994 წლებში საქართველომ ევროგაერთიანებისგან 18 მილიონი ლარის კრედიტი მიიღო, რომლის გასასტუმრებლად ევროგაერთიანება ახლა 11 მილიონი ლარის ოდენობის გრანტის გამოყოფას აპირებს, თუმცა, მისი აზრით, ეს გრანტი რომ არ განხორციელდეს, უკეთესიც იქნება.

ბიუჯეტში არსებული დეფიციტის დაფინანსების წყაროდ, ფინასთა სამინისტრო ეროვნული ბანკის გრძელვადიან კრედიტებს, პრივატიზაციიდან შემოსასვლელ თანხებსა და მსოფლიო ბანკის საინვესტიციო კრედიტებს ასახელებს.

მართალია, ბიუჯეტში დიდი გარღვევებია, მაგრამ ფინანსთა სამინისტრო პარლამენტის წინაშე მაინც თავს იწონებს და აცხადებს, რომ გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წლის შედეგები უკეთესად გამოიყურება. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ფრაქცია "აღორძინების" წევრი ნოდარ ჯავახიშვილი. მისი თქმით, ფინანსთა სამინისტრო ინფლაციას არ ითვალისწინებს, რაც, დეპუტატის შეფასებით, ამ სამინისტროს მხრიდან პარლამენტის დაცინვაა.

ოთხი თვის შედეგებით უკმაყოფილოა საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძეც. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძე კი აცხადებს: **"ფაქტია, რომ ბიუჯეტი არ შესრულებულა. გრანტებს რაც შეეხება, მათი მიღებაც სამთავრობო სტრუქტურების კარგ მუშაობაზეა დამოკიდებული, რადგან გრანტიც შემოსავლის ისეთივე წყაროა, როგორც სხვა დანარჩენი. რაც შეეხება სახელმწიფო მინისტრის პირობას, მე არ ვიცი, როგორ იმართლებს იგი პარლამენტის წინაშე თავს".**



*ნოდარ ჯავახიშვილი: ფინანსთა სამინისტრო პარლამენტს დასცინის*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# თბილისის მოსახლეობა გაზის საფასურს ორმაგად იხდის

### თბილისში ყოველთვიურად ექვსი-შვიდი მილიონი ლარი "ორთქლდება"

პირველი გვერდიდან

ყველაზე შემცირებული ოფიციალური მონაცემებით, "თბილგაზის" ტექნიკური და კომერციული დანაკარგი 50 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ თბილისის ზოგიერთ უბანზე გაზის მრიცხველები დაამონტაჟა. შედეგი საგანგაშო აღმოჩნდა – დედაქალაქის ზოგიერთ უბანზე გაზის დანაკარგმა 70 პროცენტს გადააჭარბა. საშუალოდ, როგორც მონაცემებიდან ირკვევა, თბილისში მიწოდებული გაზის ნახევარი მილსადენებიდან იჟონება. ზოგიერთი გათვლებით, ყოველთვიურად, ჰაერში ექვსი-შვიდი მილიონი ლარი "ორთქლდება". ეს ფული ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან იფარება. ოფიციალური ვერსიით, ამით სახელმწიფო მომხმარებელთა მიერ მოპარული აირის საფასურს ისტუმრებს.

ეს ვერსია კონტროლის პალატის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის დასკვნებში ყველაზე ხშირად მეორდება. მაგალითად, შსს-ს ინფორმაციის მიხედვით, გაზის დანაკარგების გაზრდის მიზეზია მომხმარებლებთან დამონტაჟებული ჩინური წარმოების მრიცხველები, რომლებიც მოხმარებული გაზის მოცულობას ცდომილებით აღრიცხავენ. იმავე წყაროს ცნობით, "**მოსახლეობის მიერ გაზის მოხმარება ხდებოდა მრიცხველების გაჩერებით, გაზის ქსელებზე თვითნებური მიერთებით, მრიცხველების გვერდის ავლით**".

ამავე გენერალურ ხაზს აგრძელებს კონტროლის პალატაც. ამ უწყების ხელმძღვანელმა, სულხან მოლაშვილმა, გუშინ, უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ განაცხადა, რომ ინკასატორების მიერ ხდება ბუნებრივი აირის დატაცება და კორუფციული გარიგებები. მოლაშვილის თქმით, "თბილგაზთან" დაკავშირებით დასკვნები პალატამ გენერალურ პროკურატურას ერთი წლის წინ გაუგზავნა, რასაც რეაგირება ჯერ არ მოჰყოლია.

სხვათა შორის, "თბილგაზში" "კორუმპირებული" ინკასატორების გამოსავლენად შტატიც კი გაზარდეს. კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილების მიხედვით, კომპანიის შტატში 15 ე.წ. "წამკითხველი" აიყვანეს, რომელთა მოვალეობასაც ინკასატორების მიერ აბონენტის მრიცხველიდან ქვითარში ამოწერილი ჩვენების გადამოწმება და ცდომილების გამოვლენა შეადგენდა. "წამკითხველთა" სამსახურის ჩამოყალიბების მიუხედავად, ბევრი არაფერი შეცვლილა. პალატის დადგენილების თანახმად, 2000 წლის პირველი ოქტომბრიდან 2001 წლის პირველ იანვრამდე საშტატო განრიგი 914 ერთეულიდან 1029-მდე გაიზარდა. კიდევ სამი თვის შემდეგ კი შტატმა 1420-ს მიაღწია. მათ შორის, "თბილგაზის" ხელმძღვანელებმა სამსახურში აიყვანეს, დამატებით, 120 "წამკითხველი", თუმცა, თუ კონტროლის პალატას ვენდობით, "წამკითხველებმა" "თბილგაზის" საქმიანობა ეფექტური ვერ გახადეს.

ამონაწერი შსს-ს ინფორმაციიდან: "**თბილგაზის" ყოფილი ხელმძღვანელების განმარტებით, რადგან ამ კომპანიის ფილიალებში აირის მიწოდების აღრიცხვა სრულყოფილად ვერ ხდებოდა, მოსახლეობაზე რეალიზებულად ნაჩვენები ბუნებრივი აირის მოცულობა იყო პირობითი და, ფაქტობრივად, მოსახლეობა მოიხმარდა აღრიცხულზე მეტ აირს**". ამდენად, შსს-ც "თბილგაზის" დავალიანების მთავარ მიზეზად მოსახლეობისა და ინკასატორების შეხმატკბილებულ ურთიერთობას მიიჩნევს.

სხვაგვარად ფიქრობენ ანტიკორუფციულ ბიუროში, რომლის ექსპერტებმა სპეციალური სქემასაც კი მიაკვლიეს, თუ რატომ არის "თბილგაზის" ტექნოლოგიური დანაკარგები ასეთი შთამბეჭდავი. მაგალითად, "თბილგაზის" მთავარი მიმწოდებლის, "საქგაზის" მონაცემებით, საქართველოს სხვა გაზგამანაწილებელ კომპანიებში გაზი არც ისე კატასტროფული ოდენობით იკარგება, როგორც ეს დედაქალაქში ხდება. "საქგაზის" ინფორმაციით, "ქუთაისიგაზს", "რუსთავიგაზს", "კასპიგაზს", "გორიგაზს" და "ბოლნისიგაზს" დანაკარგები, შესაბამისად, 5,5; 4,9; 2,4; 4,8 და 3 პროცენტის ფარგლებში აქვთ. სხვათა შორის, ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ "თბილგაზს" ტექნოლოგიური დანაკარგების სიდიდე 15 პროცენტამდე დაუდგინა.

"**საქართველოს სამართალდამცველი და მაკონტროლებელი სტრუქტურების წარმომადგენლებმა, ჩვენი შეფასებით, ცალმხრივი კორუფციული სურათი წარმოადგინეს**, - აცხადებს ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი ვლადიმერ უგულავა, - **მათი დასკვნების მიხედვით, "თბილგაზის" დაბალ ეშელონებში ხდება მოსახლეობასთან კორუფციული გარიგება**". უგულავა სამართალდამცველებს ახალ სქემაზე ყურადღების გამახვილებას ურჩევს, რომლის მიხედვითაც გაზის დანაკარგების ზრდაში მთავარი დამნაშავენი არიან არა მომხმარებელი და ინკასატორი, არამედ გაზის სექტორში მომუშავე გაცილებით გავლენიანი პირები. კონკრეტული გვარების დასახელებისგან ბიუროს დირექტორი თავს იკავებს. ბიუროს სქემის მიხედვით კი, "თბილგაზის" გაზგანაწილების სისტემაში გაზი გაცილებით ნაკლები შემოდის, ვიდრე ეს ოფიციალურადაა აღრიცხული.

**"ბიუჯეტი გაზის საფასურს მაინც ანაზღაურებს, რადგან დედაქალაქში გაზის შეწყვეტა სოციალურ მღელვარებას გამოიწვევს,** - აღნიშნავს ვლადიმერ უგულავა, - **ჩვენ ვეყრდნობით "თბილგაზის" მიერ მოწოდებულ ოფიციალურ ინფორმაციას, სადაც მხოლოდ ტექნოლოგიური დანახარჯები 60 პროცენტს აღემატება. ტექნოლოგიური დანაკარგის ასეთი ოდენობა გვაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ ეს სქემა მუშაობს".**

**"თბილგაზს" არა აქვს საშუალება, გაზომოს, რა მოცულობის გაზს იღებს თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემა**", - აცხადებს "თბილგაზის" პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი ლალი ხუციშვილი. მისი თქმით, თბილისი რუსეთ-საქართველოს საზღვრიდან გაზს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის საშუალებით იღებს, რომელიც მაგისტრალურ გაზსადენს უწევს ექსპლუატაციას. "**სამშაბათს, "თბილგაზი" გამოაქვეყნებს შიდა აუდიტორულ დასკვნას, რომელიც კომპანიის გენერალური დირექტორის, ვახტანგ ცაავას მოთხოვნით მომზადდა. მისი მიზანია, გამოვლინდნენ კორუმპირებული თანამდებობის პირები, რომლებიც "თბილგაზში" მუშაობენ**", - აღნიშნა ლალი ხუციშვილმა.

ანტიკორუფციული ბიუროს დირექტორი აცხადებს, რომ თბილისის მოსახლეობა გაზის საფასურს ორმაგად იხდის – საკუთარი ჯიბიდან და ბიუჯეტიდან, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა მიერ გადახდილი გადასახადებით ივსება. ამასთან, ჯერჯერობით, არც ერთ სახელმწიფო სამსახურს არ შეუძლია "თბილგაზის" აბონენტებისთვის იმის თქმა, რომ თბილისს ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენა კვლავ არ დაემუქრება.

### ბიზნესის ამბები

## ევროპაში ახალი ავტომანქანების გაყიდვები შემცირდა

მაისში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ავტომანქანების გაყიდვები, 2001 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რვა პროცენტით შემცირდა. ამის თაობაზე განცხადება გააკეთა ავტომანქანების ევროპული მწარმოებლების ასოციაციამ. ამ მხრივ განსაკუთრებით დაზარალდნენ Fiat და General Motors, მაშინ როდესაც იაპონურმა მწარმოებლებმა და ასევე გერმანულმა BMW-მ შეძლეს ზარალის თავიდან აცილება. ასოციაციის ანალიტიკოსთა აზრით, ავტომანქანების გაყიდვების შემცირება გამოწვეულია ევროპაში ეკონომიკის აღდგენის შენელებული ტემპებით, ბაზრის სტაგნაციითა და ასევე იმ ფაქტორით, რომ მაისში ბევრი უქმე დღე იყო. იანვარ-მაისის პერიოდში ავტომანქანების გაყიდვებმა დასავლეთ ევროპაში 3,8 პროცენტით იკლო.

რაც შეეხება რეგიონულ ბაზრებს, მათ შორის ლიდერობს დიდი ბრიტანეთი, სადაც ავტომანქანების გაყიდვებმა 5,1 პროცენტით იმატა. ამ ქვეყნისგან განსხვავებული სურათია გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში.

ავტომანქანების მწარმოებლებიდან ყველაზე მეტად დაზარალდა Fiat-ი. გაყიდვები შეუმცირდათ ასევე General Motors-ს, Opel-ს, Volkswagen-სა და Ford-ს.

## GM, Ford და DC ერთობლივ საფინანსო კომპანიას ქმნიან

სამი უმსხვილესი ავტომწარმოებელი General Motors Corp., Ford Motor Co. და Daimler-Chrysler AG ერთიანი საფინანსო კომპანიის შექმნის ინიციატივით გამოდის. ახალი გაერთიანების შტაბ-ბინა დეტროიტის გარეუბანში იქნება. მისი სახელია RouteOne. ამიერიდან დილერებს შეეძლებათ მუშაობა ისეთ სისტემებთან, რომლებიც გამოიყენება კლიენტების საკრედიტო განაცხადების სხვადასხვა საფინანსო წყაროებში გასაგზავნად.

## რუპერტ მერდოკი ევროს ომს უცხადებს

"ბი-ბი-სი"-ს ცნობით, News Corporation-ის ხელმძღვანელმა რუპერტ მერდოკმა განაცხადა, რომ ბრიტანული გაზეთები, რომლებიც მის მედია-იმპერიაში შედიან, ბრიტანეთის ევრო-ზონაში შესვლის საწინააღმდეგო კამპანიას წამოიწყებენ, თუკი ამ ქვეყნის ლეიბორისტული მთავრობა ამ საკითხის თაობაზე რეფერენდუმს გამართავს.

მერდოკმა "ფაინენშელ თაიმსთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი იმპერიის ყველა გაზეთი მოსახლეობას მოუწოდებს, ევროს უარი უთხრან.

მერდოკის მედია-იმპერიაში შედიან გაზეთები – "სანი", "თაიმსი" და "სანდი თაიმსი". მათ რეალურად შეუძლიათ ხმის მიცემის შედეგზე გავლენის მოხდენა. ამდენად, პრემიერმა ტონი ბლერმა მერდოკის სახით სერიოზული მოწინააღმდეგე შეიძინა.

დღევანდელი მდგომარეობით, დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მინისტრთა კაბინეტის ამ იდეას არ იწონებს.

## British Airways თვითმფრინავებს ინტერნეტით აღჭურავს

ბრიტანული ავიაკომპანიის მგზავრებს თვითმფრინავის ბორტზე ინტერნეტით სარგებლობა შეეძლებათ. როგორც მოსალოდნელია, ამისთვის 2003 წლის 15 თებერვლიდან ავიაკომპანიის თვითმფინავების სალონებში სპეციალური სისტემა დამონტაჟდება. მისი საექსპერიმენტო გამოცდის ვადა სამი თვეა.

სისტემა შეიმუშავა კომპანია Boeing-ის ქვედანაყოფმა Connexion by Boeing-მა. იგი თვითმფრინავის მგზავრებს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ ინტერნეტ-მომსახურებით საკუთარი პორტატული კომპიუტერების მეშვეობით, გააგზავნონ და მიიღონ ელექტრონული ფოსტა. ამასთან, როგორც Boeing-ის პრეს-რელიზშია მითითებული, ახალი სისტემა შესაძლებელს გახდის ფრენის დროს ტელე და რადიოგადაცემების ტრანსლაციას.

## რუსეთთან მოგებამ იაპონიის ეკონომიკის ზრდა გამოიწვია

"ენ-ტე-ვე.რუ-"ს ცნობით, იაპონიის ნაკრების გამარჯვებამ რუსეთის გუნდზე მსოფლიო ჩემპიონატზე იაპონიის ეკონომიკის ზრდა გამოიწვია. ასეთი განცხადება გააკეთა იაპონიის მინისტრმა ადმინისტრაციულ საკითხებში ტორანოსუკე კატაიამამ. "რუსეთთან გამარჯვებამ იაპონელებს საკუთარი ძალების რწმენა გაუმტკიცა", - აღნიშნა მან. მინისტრის თქმით, ასეთი გამარჯვებები ძალზე მნიშვნელოვანია იაპონიის ეკონომიკის დაცემის შესაჩერებლად.

## რუსეთი იარაღის ექსპორტის ლიდერია

ბი-ბი-სი-ს ცნობით, რუსეთმა გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს და პირველად ისტორიაში ჩვეულებრივი შეიარაღების ექსპორტში მსოფლიოში წამყვანი სახელმწიფო გახდა. ბოლო ხუთი წლის მანძილზე რუსეთის ექსპორტის ამ სფეროს მოცულობა ექვსჯერ გაიზარდა.

სტოკჰოლმის საერთაშორისო სამშვიდობო კვლევების ინსტიტუტის მოხსენების მიხედვით, 2001 წელს მსოფლიოში ამერიკული შეარაღების მიწოდება მკვეთრად შემცირდა. ამავე დროს, რუსეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა საკუთარი წარმოების იარაღის ექსპორტი ინდოეთსა და ჩინეთში.

შარშან რუსული იარაღის ექსპორტი 24 პროცენტით გაიზარდა და ხუთ მილიარდ დოლარს მიაღწია. ამერიკული შეარაღების მიწოდება კი 4,6 მილიარდ დოლარამდე შემცირდა, რაც 65 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ეს 1998 წელს იყო.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 9-15 ივნისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6789 | 0.6405 | 0.0054 |
| US$ | 1.473 | | 0.9433 | 0.008 |
| €uro | 1.5612 | 1.0601 | | 0.0085 |
| ¥en | 183.92 | 124.85 | 117.78 | |

### 2002 წლის 15 ივნისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.0943 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.2690 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4197 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2200 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.4369 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1778 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0706 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4562 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3809 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1625 ლარი |

# პოლიციელის პური ძვირად ფასობს



*ანტიკორუფციული საბჭო შს სამინისტროს საქმიანობის გამოძიებას გააგრძელებს*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სოფიკო ჩხაიძე

ანტიკორუფციული საბჭოს პირველი თავმჯდომარის მირიან გოგიაშვილის პირველ წარმატებად მონათლული საქმე, ასევე წარმატებით დააგვირგვინა მისმა შემცვლელმა კახა უგულავამ. გუშინ ანტიკორუფციული საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაცია, შს სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ორივე მათგანის აქტივში თანაბრად შეიძლება ჩაიწეროს.

მირიან გოგიაშვილის ანტიკორუფციული დებიუტი სწორედ ძალოვან სამინისტროებში სპეცსახსრების უკანონოდ ჩარიცხვასა და ხარჯვას ეხებოდა. ყველაზე დიდი თანხები კი (6 640 165 ლარი) უკანონოდ შს საქმეთა სპეცსახსრებზე ბრუნავდა. თავის დროზე ანტიკორუფციული საბჭოს ასეთი შეტევით შეშფოთებულმა მაშინდელმა შს მინისტრმა კახა თარგამაძემ, სპეცსახსრების შენარჩუნების თხოვნით, თავად პრეზიდენტს მიმართა. შევარდნაძემ კი ანტიკორუფციონერების მიერ მოპოვებული მასალების გადამოწმება კონტროლის პალატას დაავალა.

კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად აღმოჩენილია თანხების განკარგვის კანონთან შეუსაბამობა. აგრეთვე, ის, რომ შსს-ს შესაბამის დეპარტამენტში არ წარმოებს სპეცსახსრების მიღების აღრიცხვა საპასპორტო-სავიზო და საგზაო პოლიციის სამმართველოების რაიგანყოფილებების მიხედვით, არ ფორმდება შედარების აქტები. სერიოზული ნაკლოვანებებია აღმოჩენილი იარაღის რეგისტრაციისათვის, იარაღის დანაკლისის დასაფარავად და სპეცშემოწმების ცნობებისთვის გადასახადების ამოღების საქმეში. კონტროლის პალატის ინფორმაციის თანახმად, ეს ყოველივე წარმოებს სალაროს გვერდის ავლით და დაგროვილი თანხები სალაროს შემოსავალში დაგვიანებით აღირიცხება. შესამჩნევია ციფრების გადაკეთების პრაქტიკა. თანხები დროულად არ შედის სპეცსახსრების ანგარიშზე. ხდება მათი ხარჯვა პირდაპირ სალაროდან. მაგალითად, 2001 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე სალაროში შესული 62,3 ათასი ლარიდან 51,4 ათასი ანგარიშზე გადაურიცხავად დაიხარჯა.

სხვათა შორის, მრავლისმეტყველია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შეკრებილი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, 2001 წლის განმავლობაში შს სამინისტრო შესყიდვებს ახორციელებდა წლიური გეგმის შედგენის გარეშე, რაც შეუძლებელს ხდიდა მონიტორინგის ჩატარებას. ამის გარდა, სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არსებული კანონმდებლობის გვერდის ავლით, შესყიდვებს ახორციელებდა, ფაქტობრივად, ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე და არა ტენდერის გამოცხადების გზით. ამგვარად წარმოებული საქმიანობის შედეგი ერთი მაგალითის მიხედვითაც ნათელი ხდება. შს სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტმა რამდენჯერმე შეისყიდა პური სხვადასხვა საწარმოებიდან ისე, რომ არც ერთხელ არ ჩატარებულა ტენდერი. თანაც, გამოთვლებით დადგინდა, რომ ერთი ცალი პური 60-65 თეთრად აქვთ შეძენილი.

ყველა იმ დარღვევის ჩამოთვლა, რომელიც სხვადასხვა უწყებებმა შს სამინისტროსთან მიმართებაში დააფიქსირეს, შორს წაგვიყვანს. საკმარისია მხოლოდ იმის თქმა, რომ ახალმა მინისტრმა თითქმის ყველა შენიშვნა მიიღო და დარღვევებიც აღიარა, ოღონდ ამ აღიარებას შესაბამისი ქმედება არ მოჰყოლია იმდენად, რამდენადაც შს სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ვასილ დავითაია დღესაც თავის თანამდებობაზეა.

არადა, გუშინ ანტიკორუფციული საბჭოს კულუარებში მისი ქონებრივი დეკლარაციის მონაცემების შესახებაც მოისმენდით. 857 ათასის უძრავ-მოძრავი ქონება, 77 ათასის აქციები, 255 ათასი ნაღდი ფული – ეს ის ჩამონათვალია, რომელიც ანტიკორუფციულ საბჭოში ძალიან აეჭვებთ და შესაბამის რეკომენდაციასაც იძლევიან.

ისინი თვლიან, რომ დავითაიამ აუცილებლად უნდა დატოვოს თანამდებობა. ანტიკორუფციული საბჭოს წევრის გივი თარგამაძის თქმით, ყურადღება უნდა მიექცეს მათ ხელთ არსებული მასალების პროკურატურაში გადაგზავნასა და იმასაც, რომ მოხსნილი დავითაია, არსებული ტრადიციის მიხედვით, სადმე პერიფერიაში არ დაინიშნოს თანამდებობაზე.

**"მივესალმები, რომ ისეთ მასშტაბურ დანაშაულებრივ სტრუქტურაში, როგორიც შს სამინისტროა, ნაწილობრივ მაინც ხდება დანაშაულის გამოვლენა და ამ დანაშაულის დოკუმენტურად გაფორმება. თუმცა, ვთვლი, რომ ანტიკორუფციულმა საბჭომ ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გააგრძელოს,"** — ამბობს გივი თარგამაძე.

*კრიმინალური ქრონიკა*

## ქართველი კრიმინალი ლუგანსკში მოკლეს

ავტომატის რამდენიმე ჯერი საბედისწერო აღმოჩნდა ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის ტარიელ მიქავასა და მისი მძღოლისთვის. 13 ივნისის ღამით უცნობმა პირებმა მისი მანქანა "დოდჯ კრაისლერი" უკრაინული ქალაქის, ლუგანსკის, ერთ-ერთ ქუჩაზე დაცხრილეს. დაჭრილი მძღოლი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. მიქავა კი საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ მისი ჭრილობებიც სასიკვდილო აღმოჩნდა. იგი ისე გარდაიცვალა, რომ გონს არ მოსულა. ორჯერ ნასამართლევ ტარიელ მიქავას ლუგანსკის კრიმინალური სამყარო იცნობდა მეტსახელით "მერაბი". მისი რუსული მეტსახელებია: "სუხუმსკი" და "ზვერი". საქართველოში მას "კემეს" სახელითაც იცნობდნენ. წალენჯიხის რაიონის სოფელ მაზანდარაში დაბადებული მიქავა საქართველოში ორჯერ გაასამართლეს. ერთხელ 19 წლის ასაკში ქურდობისთვის, მეორედ კი, 1984 წელს, გაუპატიურებისთვის. შემდეგ საქართველო დატოვა და ლუგანსკში ერთ-ერთ მსხვილ კრიმინალურ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა. როგორც შევიტყვეთ, ლუგანსკის პოლიციას ორი თვის წინ დაკავებულიც კი ჰყოლია, თუმცა მალევე გაათავისუფლეს.

ტარიელ მიქავას მკვლელობის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თუმცა, მკვლელებისთვის პოლიციას ჯერ არ მიუგნია.

## ტერორისტობაში ეჭვმიტანილთ ნება დართეს

ამიერიდან, ტერორისტობაში ეჭვმიტანილ პირებსა და ორგანიზაციებს უფლება ექნებათ, სასამართლოში გაასაჩივრონ ევროსაბჭოს "ტერორისტულ სიაში" მოხვედრა. ხუთშაბათს ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ევროსაბჭოში შემავალი თხუთმეტი ქვეყნის იუსტიციის მინისტრებმა.

ამის შემდეგ, პირი ან ორგანიზაცია, რომელიც ჩათვლის, რომ არამართებულად არის შეყვანილი ტერორისტების სიაში, შეძლებს მიმართოს სასამართლოს.

აქამდე, ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილებს არ გააჩნდათ მსგავსი სამართლებრივი საშუალებები. შესაბამისად, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ შეუძლებელი იყო, ევროსაბჭოს მიერ შედგენილ "ტერორისტების სიაში" ვინმეს რაიმე ცვლილება შეეტანა.

## კოლუმბიური კოკაინის ზღვა

გუშინ კოლუმბიის სამთავრობო შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებმა ერთი ტონა კოკაინის კონფისკაცია მოახდინეს. ნარკოტიკი მთლიანად საზღვარგარეთ სარეალიზაციოდ იყო გამზადებული.

კოლუმბიის არმიის წარმომადგენლები თვლიან, რომ ნარკოტიკი ეკუთვნის მემარცხენე გასამხედროებულ ორგანიზაციას — "კოლუმბიის განმათავისუფლებელი შეიარაღებული ძალები". მათ ნარკოტიკების რეალიზაციიდან შესული თანხა ტერორისტული საქმიანობის დასაფინანსებლად უნდა გამოეყენებინათ.

როგორც სააგენტო "რია ნოვოსტი" იუწყება, კოკაინის ერთტონიანი პარტია ალმოჩენილ იქნა კოლუმბია-ეკვადორის საზღვრის მახლობლად, ერთ-ერთ ვილაზე.

მიუხედავად პარტიის სიდიდისა, ამ კოკაინის ამოღება კოლუმბიურ ნარკომაფიას ბევრს ვერაფერს დააკლებს, იქ ყოველწლიურად 580 ტონა კოკაინი მზადდება, რაც მთელ მსოფლიოში კოკაინის წარმოების 80 პროცენტს შეადგენს. ზარალი კი იქაურ ნარკობარონებს უფრო დიდიც უნახავთ. მაგალითად, წელს, თებერვალში, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმავალ თევზსაჭერ გემზე კოლუმბიის საზღვაო ძალებმა 10 ტონა კოკაინი დააპატიმრეს, შარშან კი კოლუმბიის პოლიციამ 31 ტონაზე მეტი კოკაინი ამოიღო.

# შევარდნაძეს და ალიევს ნარკომაფიის ხელშეწყობა დააბრალეს

ბათუმში რამდენიმე დღის მანძილზე საერთაშორისო ფორუმი მიმდინარეობდა. ფორუმში (სახელწოდებით "ბრძოლა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასა და ნარკომანიასთან") მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამთავრობო და საზოგადოებრივმა სტრუქტურებმა. სწორედ ამ ფორუმის მსვლელობისას გაიჟღერა სკანდალურმა ფრაზამ. კერძოდ, რუსეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციის — "რუსეთი ნარკოტიკების გარეშე" — თავმჯდომარემ ვლადიმირ ივანოვმა საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს სერიოზული ბრალდება წაუყენა. "ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან ედუარდ შევარდნაძე და ჰეიდარ ალიევი ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის განვითარებას უწყობდნენ ხელს", — თქვა მან.

აზერბაიჯანი ამ ინფორმაციას სასწრაფოდ გამოეხმაურა. აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსის არაზ გურბანოვის თქმით, **"თუ ვლადიმერ ივანოვმა მსგავსი განცხადება მართლაც გააკეთა, მაშინ მისი სიტყვები ადასტურებს, რომ ოდესღაც ის მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ნარკოტიკებზე, რამაც მის ფსიქიკაზე დატოვა კვალი. სხვა შემთხვევაში, წარმოუდგენელია, რომ ასეთი არანორმალური აზრები სრულფასოვანი ფსიქიკის მქონე ადამიანს დაებადოს თავში".**

სამი დღის წინ გავრცელებული ინფორმაციის კომენტარი საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებში მხოლოდ გუშინ გაკეთდა. **"ედუარდ შევარდნაძე პირველი იყო, სწორედ საბჭოთა პერიოდის თანამდებობის პირებს შორის, ვინც ტაბუირებულ თემებზე ხმამაღლა ალაპარაკდა. ჯერ კიდევ მაშინ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ დაიწყო ისეთ საშიშ დამნაშავეობასთან ბრძოლა, როგორიც ნარკობიზნესია. ამიტომაც, ბათუმში გაკეთებული განცხადება სხვა არაფერია, თუ არა კიდევ ერთი მცდელობა, ჩირქი მოსცხონ საქართველოს პრეზიდენტის სახელს,"** — თქვა გუშინ საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივანმა კახა იმნაძემ.

# აფეთქების აპოლიტიკური ვერსია მზადდება

ინგა ალავიძე

რუსთაველზე, ცისფერი გალერეის უკან მომხდარი აფეთქების საქმეზე მუშაობას სამართალდამცველებმა გუშინ მთელი დღე მოანდომეს.

პრეზიდენტის კანცელარიაში გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომასა და მომხდარი აფეთქების თაობაზე პრეზიდენტისთვის ანგარიშის ჩაბარებას, სამინისტროებში ჩატარებული თათბირები მოჰყვა.

ერთი სიტყვით, ერთდღიანი თათბირების შემდეგ, უშიშროების სამინისტრომ, მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, მხოლოდ ის დაადგინა, რომ აფეთქების მიზანი იყო დაშინება. თუ ვისი, გამოძიებისთვის ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, მუშაობენ თავდასხმის ობიექტისა და ამფეთქებლების დადგენაზე.

სამართალდამცველებმა დაზუსტებით იციან მხოლოდ ის, რომ აფეთქებისას გამოყენებული იყო 500 გრამი ასაფეთქებელი ნივთიერება "ტროტილი".

აფეთქებამ დააზიანა საცხოვრებელი სახლები და სასტუმრო "მარიოტი", რომელსაც მინები ჩაემსხვრა.

გამოძიებამ დაკითხა ჭანტურიას ქუჩისა და მიმდებარე ქუჩების მაცხოვრებლები და სასტუმრო "მარიოტის" თანამშრომლები. დაკითხულებს გამოძიებისთვის სათქმელი არაფერი ჰქონდათ, მათ არავინ დაუნახავთ და არაფერი შეუმჩნევიათ, გარეთ აფეთქების ხმის გაგონების შემდეგ გამოვიდნენ.

უშიშროების სამინისტროს გამომძიებლები დაინტერესდნენ მიხეილ სააკაშვილის დაცვის თანამშრომელთა განცხადებით, რომ პარტიის ოფისიდან აფეთქების ხმაზე გამოსულებს, დაახლოებით, 50 მეტრის მოშორებით, ხის უკან მდგარმა პიროვნებამ ცეცხლი გაუხსნა. საპასუხო სროლის შემდეგ უცნობი "ჯიპის" მარკის ავტომანქანაში ჩაჯდა და გაიქცა.

ალექსანდროვის ბაღში, "ნაციონალური მოძრაობის" ოფისთან მომხდარ აფეთქებას უშიშროების სამინისტრომ საბოტაჟის კვალიფიკაცია მისცა. საქმე აღიძრა 318 მუხლის მე-3 ნაწილით.

აი, სულ ეს არის. გუშინ გვიან ღამით თბილისის ცენტრში მომხდარი აფეთქების თაობაზე გამოძიებას სხვა მასალები არ მოეპოვება.

თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, უშიშროების სამინისტროს უკვე გამზადებული აქვს პრიორიტეტული ვერსია, რომელსაც მალე განავითარებს.

ეს ვერსია პოლიტიკური ხასიათისა არ გახლავთ და დაშინების ობიექტი არც "ნაციონალისტური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი აღმოჩნდება.

"ჩეკისტთა" ვერსიით, აფეთქება ბიზნესთან იყო დაკავშირებული და სასტუმრო "მარიოტის" მფლობელთა დაშინებას ისახავდა მიზნად.

# „ვაზიანის საქმე„ გაიხსნა

*ვაზიანის სამხედრო ბაზის გაქურდვაში ეჭვმიტანილი სამხედრო ოფიცერი, სატანკო ბატალიონის (ასეულის უფროსი კანონდამცველებმა გუშინ, ბატალიონში, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დააკავეს.*

ვაზიანის სამხედრო ბაზიდან მოპარული 13 ტყვიამფრქვევიდან სამართალდამცველებმა გუშინწინ ერთი იპოვეს.

გადამალულ ტყვიამფრქვევს უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველომ მარნეულის სატანკო ბატალიონის (ასეულის ბლოკში მიაგნო. კანონდამცველებმა ტყვიამფრქვევს იმავე დღესვე ჩაუტარეს იდენტიფიკაცია. ვაზიანის სამხედრო ბაზიდან მოპარული და სატანკო ბატალიონის ბლოკში გადამალული საბრძოლო ტექნიკა ერთი და იგივე აღმოჩნდა.

სწორედ ტყვიამფრქვევის მიგნების შემდეგ დააკავეს კანონდამცველებმა ბატალიონის უფროსი, რომელსაც უკვე წაუყენეს ქურდობისა და სამხედრო ტექნიკის მოპარვის ბრალდება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამხედრო პროკურატურას უკვე მოეპოვება ვაზიანის საქმეში დადანაშაულებულ სამხედრო ოფიცერთა სია. ქურდობაში ეჭვმიტანილ მაღალი რანგის სამხედროთა დაპატიმრება 2-3 დღეში მოხდება.

სამხედრო პროკურატურამ მათ ხელთ არსებული რამდენიმე სამუშაო ვერსიიდან უკვე გამოყო ერთი – ქურდობა, რომელიც დისკრედიტაციის მიზნით განხორციელდა, რათა ამერიკული საწვრთნელი პროგრამა ჩაშლილიყო. სხვათა შორის, 17 ივნისს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ამერიკელ ინსტრუქტორთა მიერ ნატოს სამხედრო წვრთნის პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობა უნდა ჩატარებულიყო. მეცადინეობისას მოპარული ტყვიამფრქვევები უნდა გამოყენებულიყო.

## ქორწილში მომხდარი მკვლელობის ქრონიკა

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ემზარ დარჩიასა და ხათუნა დობორჯგინიძის ქორწილში მომხდარი მკვლელობის მიზეზს, რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ, უკვე სასამართლოში ადგენენ. ერთი წლის წინ, ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაილეთში, ქორწილში მიპატიჟებული სტუმრები, რამდენიმე დღეა, უზენაეს სასამართლოს აძლევენ ჩვენებებს. მკვლელობაში ბრალდებული სტუმარი, თამაზ დოლიძე, რომელიც მკვლელობიდან რამდენიმე დღეში თავისით ჩაბარდა პოლიციას, თავს დამნაშავედ არ თვლის და აცხადებს, რომ მეჯვარის მეუღლე, ლევან ქავთარაძე თავდაცვის დროს შემთხვევით შემოაკვდა.*

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მექორწილეების მეჯვარის ქმარმა, ლევან ქავთარაძემ ქორწილის მუსიკოსი ლევან ტოტოჩავა თავის მაგიდასთან გადაიპატიჟა - ცოტა დაისვენე და ჩემთან ერთად ერთი-ორი ჭიქა ღვინო დალიეო. ცოტა ხანში მუსიკოს-დამკვრელთან თამაზ დოლიძე მიდის და სიმღერის შეკვეთას აძლევს. ლევან ქავთარაძე პასუხობს – ცოტა ხნით დავასვენოთ დამკვრელი, სადილს მიირთმევს და შემდეგ დაუკრავსო. გადის რამდენიმე საათი, თამაზ დოლიძეს ლევან ქავთარაძე გარეთ გაყავს, რამდენიმე წუთში ქუჩაში გადის ქავთარაძის ცოლისძმა – ირაკლი ჩხარტიშვილი. მისი სიძე უკვე ნახევრად დაჩოქილია, ჩხარტიშვილი სირბილით უახლოვდება სიძეს და მის თავთან მდგარ დოლიძეს, რომელიც ჩხარტიშვილს ორჯერ ყელში და ერთხელ ზურგში არტყამს მომარჯვებულ დანას. დოლიძე შემთხვევის ადგილიდან გარბის და იქვე ტოვებს დანის ექვსი დარტყმით დაჭრილ ქავთარაძეს და ასევე დაჭრილ ჩხარტიშვილს. სიძე-ცოლისძმას სტუმრები სისხლის გუბეში პოულობენ.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე განსასჯელი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ სიძე-ცოლისძმა მას თავს დაესხა, ქურთუკი გადააფარეს და ისე გამეტებით ურტყამდნენ, რომ დაყვირებაც ვერ მოახერხა. მათი თავიდან მოშორების მიზნით კი ჯიბიდან დანა ამოიღო და მუხლებზე დაჩოქილი იქნევდა.

"თავს ზემოთ ვიქნევდი დანას, ისინი მცემდნენ. რომელიმეს მოკვლა კი არ მინდოდა, ვიფიქრე, დაინახავენ დანას და თავს დამანებებენმეთქი," – განუცხადა სასამართლოს განსასჯელმა. მისივე თქმით, ორ წუთში მართლაც იგრძნო, რომ თავი დაანებეს, წამოდგა და თავისი გზით წავიდა, თუმცა, კივილი შემოესმა, მიხვდა, რომ რაღაც მოხდა, შეეშინდა და მთელი ღამით ჩაის პლანტაციებში დაიმალა.

"მეორე დღეს ჩემს ძმასთან მივედი და იქ გავიგე, რომ ლევან ქავთარაძე გარდაიცვალა. დანა ჩემს ძმასთან შევინახე. მერე ვიმალებოდი. რატომ? – ვერ გეტყვით", – აცხადებს განსასჯელი, რომლის სასამართლო ჩვენება ეწინააღმდეგება გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებს.

დაზარალებულმა - გადარჩენილმა ირაკლი ჩხარტიშვილმა სასამართლო კოლეგიას დეტალურად მოუყვა თავისი და სიძის დაჭრის ისტორია. როგორც გაირკვა, ლევან ქავთარაძე გულ-მკერდის არეში სამი, კისერზე - ორი და ბეჭში ერთი მძიმე, ღრმა ჭრილობით გარდაიცვალა. არადა, განსასჯელი ირწმუნება, რომ სიძე-ცოლისძმას მუხლებზე დაცემული და თავზე ქურთუკგადაფარებული იგერიებდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მომხდარიდან რამდენიმე დღეში ჩაუტარდა განსასჯელს, მსუბუქ დაზიანებასაც კი ვერ ამჩნევს მას. ამდენად, ამ დასკვნის მიხედვით, განსასჯელზე თავდასხმა გამოირიცხება. მეორე ექსპერტიზა კი გარკვევით ადასტურებს, რომ გარდაცვლილს ჭრილობები ფეხზე მდგომმა დამნაშავემ მიაყენა. ამ ჭრილობების ხარისხი, ფორმა, სიღრმე და მდებარეობა უარყოფს იმ მდგომარეობას, როგორსაც თამაზ დოლიძე აღწერს, ანუ, ექსპერტიზის მიხედვით, თამაზ დოლიძე მუხლებზე დავარდნილი ვერაფრით ვერ შეძლებდა ერთდროულად ორი ადამიანისთვის ისეთი მძიმე დაზიანებების მიყენებას, როგორიც გარდაცვლილ ლევან ქავთარაძეს და შემთხვევით გადარჩენილ ირაკლი ჩხარტიშვილს ჰქონდათ.

"თამაზ დოლიძეს ცალი ხელით ეჭირა ქავთარაძე და მეორე ხელით გულში ურტყამდა დანას, დაჭრილი ქავთარაზე მოიხარა, რასაც მოჰყვა შემდეგი ჭრილობები კისრისა და ბეჭის მიდამოებში", - ასეთია გამოზიების დროს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა.

თუ სასამართლო თამაზ დოლიძის ბრალეულობას დაამტკიცებს, განსასჯელს უვადო პატიმრობა ელის.

# ერთი ზარის ისტორია



ბონდო მძინარაშვილი



ლევან კიკალიშვილის ნახატი



გია ლომაძე

ბესო გულაშვილის ფოტოები

*წუხელ თითი პირველ ღილაკს დავაჭირე და "ღამის მოამბის" ეთერში მამაკაცის აღელვებული ხმა გავიგე, რომელსაც ქალის ნერვიული ხმამაღალი საუბარი ერთვოდა... და მოვიწყინე. მსგავსი სევდიანი გადაცემა არ მინახავს... შემიპყრო სევდამ, რომ ჩვენი პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის სათავეში ბავშვობიდან მახსოვს, და უკვე რაღაცნაირად მშობლიური და ახლობელი სახე გახდა ჩემთვის, ჩვეულ ფორმაში ველარ არის... მის პირად ექიმს, ქალბატონ გულიკო ჩაფიძეს არაერთხელ განუცხადებია, რომ მას ოცდაოთხი საათიდან მხოლოდ ექვსი საათი აქვს დასვენებისთვის გამოყოფილი... მარტივი არითმეტიკით, თუკი ის ფორმაშია, ღამის პირველ საათზე ტელევიზორის საყურებლად და გადაცემაში ინტერაქტიური მონაწილეობისთვის არ უნდა ეცალოს... არადა, მის ნაწყენ ხმაზე ვიგრძენი, რომ ის ისევ დარეკავს სხვადასხვა გადაცემებში.*

**ბონდო მძინარაშვილი (პრეზიდენტის პრესსამსახური):**

– ვფიქრობ, პრეზიდენტს უნდა დაერეკა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არ უნდა დაერეკა. მაშინ უნდა ეპასუხა ვიღაცას – იმ პოლიტიკოსებს, ვინც მას მხარს უჭერს და ვინც მისი მიმდევარია. ის, რასაც საკაშვილი წამებდა პრეზიდენტსა და სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურს, სიცრუეა, საქინფორმს არანაირი ინფორმაცია არ გაუვრცელებია ეთნიკური სომხობის შესახებ. არის ხოლმე სიტუაციები, როდესაც აღარაფერი რჩება პრეზიდენტისთვის დასაბრალებელი და ეძებენ, რა შეიძლება დააბრალონ. ეს სწორედ ის შემთხვევაა.

**გია ლომაძე (სახელმწიფო კანცელარია):**

– პრეზიდენტი კონსტიტუციურად საქართველოს ისეთივე მოქალაქეა, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი. მას შეუძლია, თავისი დამოკიდებულება გამოხატოს, როგორც რიგითმა ტელემაყურებელმა.

**ბონდო მძინარაშვილი:**

- სხვათაშორის ვერ ვიტყვი, რომ პრეზიდენტს მძაფრი რეაქცია ჰქონდა. არ მინდა, თქვენი გაზეთის მკითხველმა ისე წარმოიდგინოს, თითქოს სააკაშვილი იმ დონის პოლიტიკოსი გახდა საქართველოსთვის და უფრო დიდი მასშტაბითაც, რომ დაიმსახურა პრეზიდენტის ზარი პირდაპირ ეთერში. ასე ეს სულაც არ არის. ამ შემთხვევაში პრეზიდენტის ნება იყო ასეთი, რომ თვითონვე ეპასუხა.

**გია ლომაძე:**

- შევარდნაძემ "პიარზე" მუშაობა, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, ათეული წლების წინ თვითონვე დაიწყო. თავისუფალი პრესა ჩვენთან დემოკრატიის დიდი მონაპოვარია. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მისი მხრიდან არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, არც ერთი არაეთიკური ნიუანსი პრესის მიმართ.

**ბონდო მძინარაშვილი:**

- საქართველოს ტელევიზიების თანამშრომლებსა და თავისუფალ პრესას, სერიოზული დაფიქრება მოუწევთ იმაზე, რომ მათ მიერ გავრცელებული ესა თუ ის მოსაზრება არ აღიქმება მხოლოდ მათ პოზიციად. თუკი რაიმე ბრალდების წაყენება უნდათ პრეზიდენტისთვის, თითიდან გამოწოვილი და მომავალ პროვოკაციებზე გათვლილი კი არა, რეალობასთან დაახლოებული უნდა იყოს.

**გია ლომაძე:**

– ჩვენი პრეზიდენტი ბევრს აკეთებს ისეთს, რასაც სხვა პრეზიდენტი ვერ გააკეთებდა. ის რთული და არაორდინალური პიროვნებაა. ვერასდროს მიხვდები, რა იქნება მისი შემდეგი ნაბიჯი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მუხროვანის მსგავსი რამე რომ მომხდარიყო, პრეზიდენტს არც ერთი კონსულტანტი, არც ერთი მრჩეველი არ გაუშვებდა... მის სიცოცხლეს საფრთხე რომ არ დამუქრებოდა, მაგრამ შევარდნაძე არც ერთ მრჩეველსა და კონსულტანტს არ ემორჩილება.

**ბონდო მძინარაშვილი:**

- სააკაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის გარემოცვისთვის, რომელიც მანვე შექმნა, ხელისუფლების შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად ტყუილი იქცა. და ისიც თქვა, რომ ეს ხალხი კონსტიტუციურ ფარგლებში უნდა განეიტრალდეს რაღაცნაირად... დარწმუნებული ვარ, რასაც მიხეილ სააკაშვილი "კონსტიტუციურ ფარგლებში" გულისხმობს, არ მოეწონებათ იმათ, ვინც მისი გამოზრდით, მასწავლებლობით და მისი მრჩევლობით ამაყობს – ამის თქმის საშუალებას მისი აგრესიული წინასაარჩევნო კამპანია მაძლევს.

**გია ლომაძე:**

– არ სჭირდება პრეზიდენტს სააკაშვილის წინააღმდეგ მეთოდების დანერგვა. იგი მას შესანიშნავად იცნობს, მისი გამოზრდილი და გზაზე დაყენებულია. მას, უბრალოდ, ადამიანურად სტკივა გული, რომ ასე ექცევიან ისინი, ვისთვისაც არაფერი დაუშურებია. თქვენც ხომ გეტკინებოდათ?

*ძნელია, არ დაეთანხმო.*

*ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, პრეზიდენტმა ისარგებლა თავისი კონსტიტუციური უფლებით და გადაცემაში დარეკა... რა არის ამაში ცუდი, რატომ ვტეხთ ასეთ ამბავს...*

*ნუთუ სააკაშვილ-ნათელაშვილის შეყრა-გაყრა, რითიც გვაქვს თავი სავსე და რითიც ვართ მოცულები, ყველაზე დიდი ამბავია ჩვენთან?*

*ხომ გულუბრყვილობაა იმის თქმა, რომ რომელიმე წარმატებული "ლეიბორისტი", "ნაციონალი" თუ "ახალი" დასჯერდება ქალაქის საკრებულოს თამჯდომარეობას, რომელსაც დამარცხებულმა სოციალისტმა კანდიდატმა დიდი სახლმართველობა უწოდა, ანდა - თუნდაც ქალაქის მერობას...*

*რა მოხდა ბოლოს და ბოლოს – პრეზიდენტმა გადაცემაში დარეკა.... ისიც ხომ ადამიანია...*

*გადაცემაში მონაწილეობდნენ:* **გია ლომაძე** - *სახელმწიფო კანცელარიის მთავარი კონსულტანტი მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში და* **ბონდო მძინარაშვილი** – *საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის უფროსის მოადგილე.*

*თქვენთვის და უფრო კი საკუთარი თავისთვის მუშაობდა* **მაია ჭალაგანიძე.**

# „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა„

## რამდენად გრძელვადიანია ამერიკის ინტერესები საქართველოში

პირველი გვერდიდან

*თუმცა, თუ ცოტა ცივი გონებით გავანაალიზებთ შექმნილ სიტუაციას, დავინახავთ, რომ ხელისუფლებისა და საზოგადოების ასეთი მოლოდინი, გადაჭარბებული და სახიფათოა.*

მივყვეთ თანამიმდევრულად. რას გვთავაზობენ ამერიკელები?

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოში "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა, რომელზეც 64 მილიონი აშშ დოლარია გამოყოფილი, 2003 წლის დასაწყისამდე გასტანს და ოთხი ქართული ბატალიონის (დაახლოებით 1800-2000 ქართველი სამხედროს) თანამედროვე სტანდარტების დონეზე მომზადებას ითვალისწინებს. ასევე, დაგეგმილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბთან, "ეროვნული დონის კრიზისული მართვის ცენტრის" (რომელმაც, კრიზისულ სიტუაციებში სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების კოორდინირებულ მოქმედებები უნდა უზრუნველყოს) და "ოპერატიული დონის შტაბის" შექმნა; სამხედრო აღჭურვილობის - მსუბუქი იარაღის, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების, ფორმების, საწვავისა და სამშენებლო მასალების გადაცემა. **"პროგრამის დასრულებისთანავე, ამერიკელ ინსტრუქტორთა ჯგუფი საქართველოს დატოვებს, შემიძლია ზუსტად გითხრათ, რომ ეს მოხდება დადგენილ ვადებში, არც ამ ვადაზე ადრე და არც გვიან,"** – გვითხრა უშიშროების სამსახურის პრეს-ცენტის უფროსმა ნიკოლოზ ლალიაშვილმა, რომელიც ახლო წარსულში, თავდაცვის სამინისტროში ამერიკული სამხედრო დახმარების საკითხებზე მუშაობდა.

რა ინტერესი ამოძრავებს საქართველოს ხელისუფლებას და მთლიანად საზოგადოებას?

**"პირველ რიგში, ძლიერი სამხედრო ნაწილების შექმნა. ახლა ჩვენი პოლიტიკა. 99,9 პროცენტით დაფუძნებულია დიპლომატიაზე და მხოლოდ 0,01 პროცენტით - სამხედრო ძალაზე, ამიტომ არის დიპლომატიური აქტივობა არაეფექტური, ამ ანტიტერორისტული ბატალიონების შექმნით, ეს თანაფარდობა შეიცვლება. ეს, თავისთავად, ძალიან კარგია,"** – ამბობს თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის სტრატეგიული დაგეგმვისა და შეიარაღებაზე კონტროლის მთავარი სამმართველოს უფროსი კახა კაციტაძე. ოფიციალური თბილისი, ყველა დონეზე ირწმუნება, რომ ამერიკელების მომზადებულ ბატალიონებს სეპარატისტების წინააღმდეგ არ გამოიყენებს, თუმცა საუბარი იმაზე, რომ ამერიკის და საქართველოს მთავრობებს შორის, ამასთან დაკავშირებით, რაიმე ოფიციალური დოკუმენტი გაფორმდა, არ შეესაბამება სინამდვილეს.

**"რაღა თქმა უნდა, არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა, უბრალოდ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აფხაზეთში (და სხვა კონფლიქტის ზონებში) სამშვიდობო პოლიტიკის შესაძლებლობები არ ამოწურულა,"** – აცხადებს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ხელმღვანელი კახა იმნაძე. სულაც არ არის ძნელი იმის დანახვა, რომ ხელისუფლებისა და, ზოგადად, საზოგადოების მოლოდინი, ამერიკელების ჩამოსვლისა და ამ ოთხი ბატალიონის მომზადების შემდეგ, სწორედ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას უკავშირდება. **"ეს ბუნებრივია - ახლა პოლიტიკური ხასიათის განცხადებები კეთდება, რომ პროგრამის განხორციელებას ხელი არ შეეშალოს, მაგრამ, თუ აფხაზეთში ან სხვაგან, რაიმე კრიზისული სიტუაცია შეიქმნა, ბუნებრივია, რომ იქ სწორედ ამ პროგრამით მომზადებული ჯარისკაცები იქნებიან გადასროლილნი და არა წვევამდელები, რომლებსაც მარტივი იარაღის დაშლა-აწყობაც არ შეუძლიათ,"** – მიაჩნია სამხედრო ექსპერტ ირაკლი ალადაშვილს.

რა ინტერესი ამოძრავებს დიდ ამერიკას პატარა საქართველოში?

ამ თემაზე ვრცელი საუბარი შეიძლება, მაგრამ, ახლა მხოლოდ ძირითად ფაქტორებზე შევჩერდებით. **"როგორც ჩანს, რამდენიმე კონტექსტის გამო, ეს ინტერესი სერიოზული და გრძელვადიანია, რადგან, ჩანს, გრძელვადიანი იქნება ამერიკის ბრძოლა მუსულმანურ ტერორიზმთან. საქართველო კი გეოგრაფიულად ახლოს არის იმ ქვეყნებთან, სადაც ამერიკა პოტენციური ტერორიზმის საფრთხეს ხედავს. თუმცა, ეს დამატებითი კონტექსტია. ასევე არის ნავთობსადენი და გაზსადენი, საერთოდ სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც საქართველოზე გადის, რომელშიც ამერიკულ და დასავლურ კომპანიებს უზარმაზარი ინვესტიციები აქვთ ჩადებული. ინტერესს იწვევს ისიც, რომ საქართველო ამერიკისადმი საკმაოდ კეთილგანწყობილი ქვეყანაა და, შესაბამისად, მას რუსეთიდან საფრთხეები ემუქრება,"** – აცხადებს პოლიტოლოგი გია ნოდია.

საქართველოსთვის იდეალური იქნებოდა, თუ ამერიკის ინტერესი ამ რეგიონში გრძელი ვადით დაემთხვეოდა საქართველოსას. მაშინ ეს გაზვიადებული მოლოდინიც არ იქნებოდა ისეთი სახიფათო ჩვენი ქვეყნისთვის, როგორადაც ის შეიძლება ხვალ იქცეს. **"დღეს ვაშინგტონში არ არის ერთიანი მიდგომა, თუ როგორი უნდა იყოს ანტიტერორისტულ ოპერაციაში შემდგომი ნაბიჯი. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ ამერიკელებს დასჭირდებათ ქართული აეროდრომები და ბაზები, როცა იერიშს მიიტანენ ერაყზე. ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, ჩვენ ვუშვებთ, რომ ამერიკელებმა აქ ბაზის გახსნაც მოინდომონ, როგორც ეს ყირგიზეთში მოხდა, ანუ დიდი ხნით დარჩნენ, რაც, რა თქმა უნდა, ხელს გვაძლევს, თუმცა სიტუაცია სხაგვარია, "** - ფიქრობს გია ნოდია.

ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი ისრაელპალესტინას შორის, ფაქტობრივად, ომის დაწყების შემდეგ, თეთრი სახლის ადმინისტრაციის სამომავლო სტრატეგია კვლავ გაურკვეველია და ბევრ კითხვას ბადებს. **"ამერიკამ ვერ დაითანხმა მოკავშირეები ერაყზე თავდასხმაში, ეს კი ნიშნავს, რომ ამ ჩანაფიქრმა, მინიმუმ, უკანა პლანზე გადაიწია. თუ გავიხსენებთ, 1991 წლიდან მოყოლებული, აშშ-მ მხოლოდ მოკავშირეების მხარდაჭერით ჩაატარა ოპერაციები ერაყ-ქუვეითში, იუგოსლავიასა და ავღანეთში. მეორე - ჩვენი აეროდრომების გამოყენება უპერსპექტივოდ მეჩვენება, რადგან სომხეთსა და აზერბაიჯანში რუსეთს დარჩა ძლიერი რადიოლოკაციური სადგურები. ერაყის წინააღმდეგ პირველი კამპანიის დროს, რუსეთი სწორედ ამ სადგურების მეშვეობით აწვდიდა ცნობებს ერაყს, თუ როდის და რამდენი თვითმფრინავი აფრინდა თურქეთის სამხედრო ბაზებიდან. მესამე პრობლემა აქ რუსეთის ბაზების ყოფნაა. ამ და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, უახლოეს წლებში, საქართველოში ამერიკის უფრო დიდი სამხედრო წარმომადგენლობა ნაკლებსავარაუდოა,"** - ამბობს ირაკლი ალადაშვილი.

ეს პოზიცია დადასტურდა ბრიუსელში ნატოს სამხედრო ბლოკში შემავალი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ბოლო შეხვედრაზე, სადაც ნატოს ახალი სამხედრო კონცეფცია შეიმუშავეს. ამ კონცეფციის თანახმად, რომელიც 2008 წლამდე უნდა განხორციელდეს, არ არის რეკომენდებული ისეთი ტიპის სამხედრო ბაზების შექმნა, როგორიც, მაგალითისთვის, რუსეთს აქვს საქართველოში. ნატოს ახალი ამოცანების გადასაჭრელად, შეიქმნება 5-6 მაღალმობილური ნაწილი, სატრანსპორტო ავიაცია და აეროდრომების ქსელი, რომელთა მეშვეობითაც, ეს საექსპედიციო ნაწილები დანიშნულ რეგიონსა თუ ქვეყანაში გადასხდებიან და ალყაში მოაქცევენ მას. **"ახლო მომავალში ჩვენი ამოცანა იგივე რჩება - დავიცვათ ალიანსის წევრი ქვეყნების უსაფრთხოება. მეორე ამოცანაა ისეთი ტიპის ძალების შექმნა, რომ სწრაფი და ზუსტი რეაგირება შევძლოთ, ისეთი ტერორისტული ბუდეების შესაძლო გააქტიურებაზე, როგორიც არის "ალ-ქაედა და თალიბანი,"** – ამბობს ნატოში ამერიკის მუდმივი წარმომადგენელი ნიკოლას ბერნსი.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლება აბსოლუტურად არ უშვებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ამერიკის ინტერესები ამ რეგიონის მიმართ კარდინალურად შეიცვალოს და თბილისი თავის პრობლემებთან პირისპირ დარჩეს. **"ჩვენი ხელისუფლებისა და საზოგადოების მოლოდინი გაზვიადებულია, იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ყველა საქმის გაკეთებას ამერიკელებისგან ველით, პრინციპით - ისინი მოვლენ და ყველა პრობლემას გადაგვიჭრიან. სინამდვილეში, ეს, რა თქმა უნდა, არასწორია და სახიფათოც არის. თუ არ იქნა იმის გარანტია, რომ, როცა "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა დასრულდება და ამერიკელები სამშობლოში დაბრუნდებიან, ამ ჯარისკაცებისთვის კვლავ შევძლებთ იმ მაღალი ხელფასის გადახდას, რომელიც დავუნიშნეთ, ან ნაჩუქარ ტექნიკასა და ფორმას მოვუვლით (უკანასკნელი ამბავი ვაზიანში ადასტურებს, რომ შეიძლება ნაჩუქარი ტექნიკა მოიპარონ და გაყიდონ), ეს ფული ელემენტარულად წყალში იქნება გადაყრილი. საქართველოს ხელისუფლებამ დღესვე უნდა იფიქროს, თუ როგორ შეინარჩუნოს ამ ნაწილებში ის ფინანსური და ორგანიზაციული დონე, რომელსაც ამერიკელები დატოვებენ,"** – მიაჩნია გია ნოდიას.

საქართველოში უკვე არსებობს ამერიკელების დაფინასებული და გაწვრთნილი სამხედრო ნაწილის დაშლისა და განადგურების პრეცედენტი, მას შემდეგ, რაც ეს ნაწილი მთლიანად საქართველოს ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადავიდა. ვგულისხობთ, სპეცდანიშნულების რაზმ "ომეგას", რომლის წევრები ან ფიზიკურად გაანადგურეს, ანაც პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობის ბრალდებით გასამართლეს.

**"გარანტია იმისა, რომ ამ პროგრამის განხორცილებაში საქართველო ამერიკის თანმიმდევრული პარტნიორი იქნება, რა თქმა უნდა, დღეს, ამ სიტუაციაში არ არსებობს,"** – ამბობს გია ნოდია. **"ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები ამერიკელების გასვლის შემთხვევაში. დღეს ამერიკის მთავრობა აიძულებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ჯარს მეტი ყურადღება მიაქციოს. ჩვენი ხელისუფლება, რომელსაც დღემდე არმია ბედის ანაბარად ჰყავდა მიგდებული, იძულებულია გაჰყვეს ამერიკის ამ ნაბიჯებს. აი, ბოლოს, რაღაც წვალებით და ტანჯვით გამოყვეს 4,2 მილიონი ლარი. ამ პროგრამაში მონაწილე თითოეულ ჯარისკაცთან გაფორმებულია სამწლიანი კონტრაქტი, რაც ნიშნავს, რომ ამერიკელების წასვლის შემთხვევაშიც ხელისუფლებამ მათ ეს მაღალი ხელფასები უნდა გადაუხადოს. თუ ამ ხალხმა ფული ვერ მიიღო, ძალიან ცუდი იქნება, როგორც ქვეყნისთვის და ჯარისთვის, ისე ამერიკასთან მომავალი თანამშრომლობისთვისაც. დღეს ისე ჩანს, რომ ამაზე აქ თითქმის არავინ ფიქრობს. თუმცა არის იმედები, რომ ამერიკელები ამ პროგრამებს, რაღაცა ფორმით, გააგრძელებენ და ეს ყველაფერი აგვცდება,"** – მიაჩნია ირაკლი ალადაშვილს.

დაუბრუნეს B3
"ერთსისხლიანი" იყოს B5
TV პროგრამა B8





REUTERS

# მცდარი წინასწარმეტყველება




ჯგუფი H **ბელგია 3:2 რუსეთი**




**გოლები:** *1:0 ვალემი (7`), 1:1 ბესჩასტნიხი (52`), 2:1 სონკი (78`), 3:1 ვილმოტსი (82), 3:2 სიჩევი (88)*
**მსაჯი**: *კიმ მილტონ ნილსენი (დანია)*
**სტადიონი:** *შიძუოკა*
*46640 მაყურებელი*

ზუსტად ვერ გეტყვით, რატომ ჰქონდათ დასავლელ საფეხბურთო სპეციალისტებს რუსების მეოთხედფინალში გასვლის იმედი, მაგრამ, რომ შეცდნენ თავიანთ წინასწარმეტყველებაში, ეს ფაქტია. მხოლოდ ერთ შეხვედრაში გაამართლეს რუსებმა მათზე გაცემული ავანსი, როცა ტუნისის სუსტი ნაკრები დაამარცხეს. ისიც შედეგით, თორემ თამაშით - არც აფრიკელებს უთამაშიათ სლავებზე უარესად. რუსების უსუსურობა გუშინდელმა მატჩმაც დაადასტურა. ბელგიის ნაკრებმა, რომელიც არცთუ ძლიერ გუნდად ითვლება წლევანდელ მუნდიალზე, მეტოქე შინ გააბრუნა, თავად კი ბრაზილიელებთან ორთაბრძოლისთვის მოემზადება. რუსმა მწვრთნელებმაც მატჩის დამთავრებისთანავე, უკლებლივ ყველამ, განცხადება გააკეთა თანამდებობის დატოვების შესახებ.

**რობერ ვასეჟი** *(ბელგიის ნაკრების მწვრთნელი): "იმ პრობლემების მიუხედავად, რომლებიც გუნდს ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გაუჩნდა, მაინც მოვახერხეთ ჯგუფიდან გასვლა და ეს ძალიან მახარებს. დღეს უაღრესად რთული მატჩი გვქონდა და მოგება ამიტომაცაა უფრო სასიამოვნო. პროგრამა მინიმუმი შესრულებულია. ამიერიდან, რასაც მივაღწევთ, ყველაფერი წარმატებად ჩაგვეთვლება".*

**ოლეგ რომანცევი** *(რუსეთის ნაკრების მწვრთნელი): "არც კი ვიცი, რა ვთქვა. ჩვენმა გუნდმა მუნდიალზე კრახი განიცადა. ახლა აღარ ღირს იმ მიზეზებზე საუბარი, რომელმაც ასეთ შედეგამდე მიგვიყვანა. იმედი მაქვს, ნაკრების მომავალი მწვრთნელი ყველაფერს უკეთესად გააკეთებს და გუნდიც უკეთეს შედეგებს მიაღწევს მომავალ ტურნირებში".*



REUTERS

# ალმოსავლური განთიადი




ჯგუფი H **იაპონია 2:0 ტუნისი**




**გოლები:** *1:0 მორიშიმა (48`), 2:0 ჰ. ნაკატა (75`)*
**მსაჯი:** *ჟილ ვესიე (საფრანგეთი)*
**სტადიონი:** *"ნაგაი"*
*45213 მაყურებელი*

გუშინ ბედნიერი დღე გაუთენდათ იაპონელებს - თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის იაპონური ფეხბურთის პრეზენტაციის დღედ იქცა. ვერ აღმოჩნდნენ "კართაგენელი ლომები" ისეთები, ჭეშმარიტ ლომებს რომ ეკადრებათ. ტუნისელებმა მხოლოდ ერთხელ, ბელგიელებთან მატჩში გამოაჩინეს ბრჭყალები და მაშინაც მხოლოდ ქულის მოპოვება შეძლეს. ერთ ქულას კი შინ დასაბრუნებელი საგზურის შოვნისა თუ მოპოვების მეტი არაფერი შეუძლია. "ლომებიც" ორიოდე დღეში საკუთარ ბუნაგს დაუბრუნდებიან, იაპონელები კი კიდევ ერთხელაც შეეცდებიან თავიანთი გულშემატკივრების გახარებას და მსოფლიოს რვა საუკეთესო გუნდში მოსახვედრად მერვედფინალში თურქებს შეებრძოლებიან.

**ფილიპ ტრუსიე** *(იაპონიის ნაკრების მწვრთნელი): "ეს იაპონური სულისა და ვაჟკაცობის გამარჯვებაა. ჩვენ მათემატიკურად არასდროს გაგვითვლია, ვისთან გვაწყობდა მოგება და ვისთან - არა. მუდამ მოსაგებად ვთამაშობდით და გავიმარჯვეთ კიდეც. დღეს იაპონია მსოფლიოს 16 საუკეთესო გუნდს შორისაა და, დარწმუნებული ვარ, ეს მისი მაქსიმუმი არ არის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გულშემატკივრებს. მათი მხარდაჭერა კიდევ ბევრს შეგვაძლებინებს."*

**ამარ სუია** *(ტუნისის ნაკრების მწვრთნელი): "სამწუხაროდ, გუნდმა ვერ მოახერხა იმ თამაშის ჩვენება, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოგვიპოვა. ასეთი რამ ბევრ გუნდს ემართება. სამწუხაროდ, ამჯერად მათ რიცხვში ჩვენც მოვხვდით. მომავალში, ალბათ, უკეთეს შედეგებს ვაჩვენებთ. დღევანდელი მარცხით ხომ ცხოვრება არ მთავრდება".*



| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იაპონია | 3 | 2 | 1 | 0 | 3 | 7 |
| 2 | ბელგია | 3 | 1 | 2 | 0 | 1 | 5 |
| 3 | რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 0 | 3 |
| 4 | ტუნისი | 3 | 0 | 1 | 2 | -4 | 1 |

© GN

REUTERS

# „შავოსნების„ მორიგი მსხვერპლი




ჯგუფი D **პორტუგალია 0:1 კორეა**




**გოლები:** *0:1 პარკ ხი სუნგი (70`)*
**მთ. მსაჯი:** *ანხელ სანჩესი (არგენტინა)*
**სტადიონი:** *"ინჩხონ მუნჰაკ სტადიუმი"*
*50239 მაყურებელი*

როგორც ჩანს, საფეხბურთო თემიდას, ანუ მსაჯებს, 21-ე საუკუნეში აღარ აკმაყოფილებთ ფეხბურთის წესებით მატჩში მათთვის განკუთვნილი მეორეხარისხოვანი როლი და სურთ, თამაშის ბედის გადამწყვეტ მთავარ ფიგურებად იქცნენ. ვერაფერს იტყვი - ახერხებენ კიდეც. ჩემპიონატის "შავოსნებს" გუშინ კიდევ ერთი ფავორიტი - პორტუგალიის ნაკრები შეეწირა.

**ანტონიო ოლივეირა** (პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *"ძალზე დათრგუნულები ვართ. ჩემმა გუნდმა უმნიშვნელოვანესი მატჩი დათმო. ჩვენ თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში ცხრა კაცის შემადგენლობით ვითამაშეთ და სამი ძალიან კარგი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მსაჯის საქმეში არ ვერევი, მან ასე გადაწყვიტა. თუმცა, მე მას არ ვეთანხმები.*

*არავინ ელოდა, რომ ჩვენი ჯგუფიდან სამხრეთ კორეა და აშშ გავიდოდნენ, მაგრამ, იმასაც არავინ იფიქრებდა, რომ საფრანგეთი და არგენტინა ქვეჯგუფში ჩარჩებოდნენ. ასეთია თანამედროვე ფეხბურთი. დღეს არ იყო ჩვენი დღე."*

**გუს ჰიდინკი** (სამხრეთ კორეის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *"ვამაყობ ჩემი გუნდით. ბედნიერი ვარ, რომ აქაურებს ამდენი სიხარული ვაჩუქეთ.*

*მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს წინააღმდეგ მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავები თამაშობდნენ, თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. ჩვენ ნულიდან დავიწყეთ გუნდის შექმნა. ამ გუნდისა კორეაშიც კი არ სჯეროდათ, ყველა ამბობდა, რომ ვერაფერს მივაღწევდით. დღეს ვიზეიმებთ, ხვალიდან კი იტალიის წინააღმდეგ მერვედფინალზე ვიფიქრებთ."*



| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამ. კორეა | 3 | 2 | 1 | 0 | 3 | 7 |
| 2 | აშშ | 3 | 1 | 1 | 1 | -1 | 4 |
| 3 | პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | 3 |
| 4 | პოლონეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -4 | 3 |

© GN

REUTERS

# კარის გაჯახუნებაც ასეთი უნდა




ჯგუფი D **პოლონეთი 3:1 აშშ**




**გოლები:** *1:0 ოლისადებე (3), 2:0 კრიჟალოვიჩი (5), 3:0 ზევლაკოვი (66), 3:1 დონოვანი (83)*
**მსაჯი:** *ძიუნ ლუ (ჩინეთი)*
**სტადიონი:** *დიჟონი*
*26482 მაყურებელი*

პოლონეთის ნაკრებმა მისთვის ბოლო მატჩში მერვედფინალისტი აშშ დაამარცხა.პოლონელებმა უკლებლივ ყველა კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე და როგორც მოგვიანებით გაირკვა, სლავებს მსოფლიოს 16 საუკეთესო გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაუმარცხებიათ. წლევანდელი მუნდიალი ისე მიმდინარეობს, გასაკვირი არაფერია. არც ის, ორ მატჩში ექვსი გოლის გამშვებ პოლონეთთან შერცხვენილმა გუნდმა მერვედფინალში რომ უნდა ითამაშოს, რადგან კორეისგან დიდი საჩუქარი მიიღო პორტუგალიის დამარცხებით.

**ბრუს არენა** *(აშშ-ის ნაკრების მწვრთნელი): "იმ ფაქტმა, რომ პოლონელებს ორივე მატჩი წაგებული ჰქონდათ, ისინი აიძულა, ჩვენთან შეხვედრაში გამოემჟღავნებინათ ყველაფერი, რაც იცოდნენ. ჩვენ ამისათვის ვემზადებოდით, მაგრამ, როგორც გაირკვა, ვერ აღმოვჩნდით მოწოდების სიმაღლეზე. მატჩის დასაწყისი ისეთი გამოდგა, ნებისმიერ გუნდს გაუჭირდებოდა შეხვედრის გადარჩენა. მადლობა ღმერთს, საბოლოოდ ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდა და მერვედფინალში თამაში გვეღირსა. ვეცდებით, იმ შეხვედრაში გულშემატკივარს იმედები არ გავუცრუოთ."*

**ირჟი ენგელი** *(პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი): "ჩვენი წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი ის გახდა, რომ აქაურ პირობებს ვერ შევეგუეთ. ტურნირისთვის თითქოს კარგად მოვემზადეთ, მაგრამ აქაურმა კლიმატმა უარყოფითად იმოქმედა თითოეულ ფეხბურთელზე. ყველაფრის მიუხედავად, მაინც კმაყოფილი დავრჩი. დღეს პოლონეთის ნაკრებმა დაამტკიცა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე შემთხვევით არ გასულა. სამწუხაროა, რომ ეს მხოლოდ ბოლო მატჩში შევძელით და არა უფრო ადრე. მაშინ იქნებ, ამერიკელთა ნაცვლად, მერვედფინალში ჩვენ გვეთამაშა".*



REUTERS

# BYE-BYE, PORTUGAL!

**დერეკ ფოლი**
იაპონია კორეიდან
სპეციალურად
"24 საათისათვის"

პორტუგალიაც, საფრანგეთისა და არგენტინის მსგავსად, სანაგვეზე მოსროლილ გუნდებს შეუერთდა. მსოფლიო ჩემპიონატი კი თავის დესტრუქციულ გზას ადგას. სამხრეთ კორეა-იაპონია დატოვა კიდევ ერთმა გუნდმა, რომელიც ფავორიტად ითვლებოდა.

თუმცა, პორტუგალიელ ფეხბურთელებს ინდიფერენტულობაში უწინაც სდებდნენ ბრალს – ჩემპიონატისთვის საკვალიფიკაციო შეხვედრების დროსაც და ჩემპიონატის პირველ მატჩებშიც.

პორტუგალიელების ფონზე კი კორეის ნაკრები მშვენივრად გამოიყურებოდა, თავისი 3-4-3 სისტემით. იღბალი რომ პორტუგალიელთა მხარეს არ იყო, ეს ჟოაუ პინტუს გაძევების შემდეგ გახდა ცნობილი. მეორე ტაიმში კი უკვე ყვითელბარათმიღებულმა ბეტო სევერუმ კიდევ ერთხელ "იმარჯვა" და, საბოლოოდ, ნაკრები კორეის წინააღმდეგ ცხრა მოთამაშით დარჩა. ამ ეტაპზე პორტუგალიელები ღმერთს ევედრებოდნენ, კორეელებს შეხვედრა ფრედ დაესრულებინათ. ეს კი კორეელთა მენტალიტეტში ნამდვილად არ ზის. მართლაც, პორტუგალიის კარში გატანილი გოლი ისეთი მშვენიერი იყო, რომ მატჩის მიმართ სრულიად ნეიტრალურად განწყობილი მაყურებელიც კი დიდ სიამოვნებას მიიღებდა. რა თქმა უნდა, შურისძიების მცდელობა პორტუგალიასაც ჰქონდა, მაგრამ სერჟიო კონსეისაუს მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა...

თუმცა, პორტუგალიის გამო მაინც ნუ იდარდებთ – ჯგუფში ისინი მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერ გამოიყურებოდნენ. ისიც გაურკვეველია, კორეასთან მატჩში რატომ დარჩა მწვრთნელი ბოლომდე ფიგუს იმედად. ის არ კმაროდა, რომ კორეელთა პირისპირ ცხრა კაცით აღმოჩნდნენ? და ამ ცხრა კაცში ერთ-ერთი სწორედ ფიგუ იყო.

გავარდა რუსეთიც, რომელსაც თავისი ნეგატიური იმიჯისთვის მიეზღო. მის გამო სინანული ნამდვილად არ ღირს. ბელგიასთან მატჩში რუსებმა მხოლოდ მეორე ტაიმში იგრძნეს, რომ ხელთ ჰქონდათ უკანასკნელი შანსი. თუმცა, გამოყოფის ღირსია დიმიტრი სიჩოვი. მან ამ თამაშში პირველი საერთაშორისო გოლი გაიტანა. ის ნიჭიერი ფეხბურთელია, იცის თავისი ადგილი, ბურთის დასარტყმელად კუთხეს მშვენივრად არჩევს და, როგორც ბელგიასთან მატჩში დავრწმუნდით, გოლი გააქვს კიდეც.

თუმცა, მოსკოვის "სპარტაკის" თავდამსხმელი მხოლოდ 18 წლისაა და ამ ჩემპიონატზე თინეიჯერებს ჯერ სათანადო გავლენა არ მოუხდენიათ. ამიტომ სიჩოვს მომავალი მხოლოდ წარმატებულ ტრანსფერს ჰპირდება იტალიის რომელიმე კლუბში.

შემდეგ ეტაპზე გავიდა ბელგია და წარმატებებს ვუსურვებთ მას. თუმცა, ამ ნაკრებმა დღემდე ვერაფრით მოგვხიბლა. ბელგიელებმა ფრედ დაამთავრეს მატჩები იაპონიასთან და ტუნისთან, ხოლო დამარცხებით - მხოლოდ რუსეთის დამარცხება შეძლეს.

ბელგიის მთავარ მონაპოვრად მარკ ვილმოტსსა და უესლი სონკს მიიჩნევდნენ. ეს პროგნოზი სასწაულებრივად ზუსტიც არის და მცდარიც.

ვილმოტსი 33 წლის, დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალია. მან რუსეთთან მატჩში გოლიც გაიტანა და, შეიძლება ითქვას, რომ ბელგიის ნაკრების მეტოქეებისთვის ერთადერთი საშიში თავდამსხმელია.

ეს სტატუსი უნდა მოეპოვებინა სონკსაც, მაგრამ მწვრთნელმა რატომღაც გადაწყვიტა, სონკის ძალები მხოლოდ პირველ ნახევარში გამოეყენებინა და შემდეგ ის სათადარიგოთა სკამზე გაეგზავნა.

ძნელია, განსაზღვრო, რას ფიქრობდა ამ დროს ბელგიელთა მწვრთნელი, მით უფრო, რომ მას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. შინ, ბელგიაში, ფეხბურთის გულშემატკივრები ვასეჟის თავს ითხოვენ და მწვრთნელსაც ნაკრების დატოვება მოუწევს, თუ, რა თქმა უნდა, ბელგიას მსოფლიო თასი არ მოაპოვებინა. თანაც, ეს ექვსი გოლით მაინც უნდა შეძლოს – მხოლოდ ასე თუ დააკმაყოფილებს გულშემატკივრებს, რომელთაც მისადმი რწმენა საერთოდ დაკარგული აქვთ.

რაც შეეხება იაპონიას, ის ყველას უყვარს. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ ტუნისელების გაძევება შეძლეს და თექვსმეტ გუნდს შორის ადგილი გაინაღდეს. იაპონელები პატივისცემის ღირსი იმიტომაც არიან, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლა უბრალოდ და ღირსეულად – მხოლოდ ხელის ჩამორთმევით აღნიშნეს. აქ აღარ გავიხსენებ იმ გუნდებს, რომელთაც პირველი ეტაპიდან "გაძრომისთვის" კარნავალები გადაიხადეს.

# რონალდოს გოლი დაუბრუნეს

მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური საიტი იუწყება, რომ ამჟამად ბრაზილიის ნაკრების ფორვარდის რონალდოს ანგარიშზე, სამის ნაცვლად, ოთხი გოლი ირიცხება. საქმე ის არის, რომ ბრაზილია-კოსტა-რიკის შეხვედრაში რონალდოს მიერ გატანილი გოლი კოსტარიკელი ლუის მარინას ავტოგოლად მონათლეს.

ვიდეოჩანაწერის საფუძვლიანი დაკვირვების შემდეგ ფიფას ტექნიკურმა კომიტეტმა ავტოგოლი გააუქმა და გოლის ავტორობა რონალდოს მიაკუთვნა. ამჟამად რონალდოს 4 გოლი აქვს. ამდენივე გაიტანა დანიის ნაკრების ფორვარდმა იონ დალ ტომასონმა. მსოფლიო ჩემპიონატის ერთპიროვნული ბომბარდირი კი, 5 გატანილი გოლით, გერმანელი მიროსლავ კლოზეა.



REUTERS

## ანონსი

# გერმანია-პარაგვაი: პირველი დაპირისპირება

დღეს მერვედფინალური ეტაპი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის, გერმანიის ნაკრებისა და სენსაციის ავტორის პარაგვაის ნაკრებების დაპირისპირებით იწყება. გერმანიის ფეხბურთის ასოცაციის არსებობის 100 წლის მანძილზე, ეს ამ ორი ქვეყნის პირველი საფეხბურთო დაპირისპირებაა. ბუნდესნაკრებს სამხრეთამერიკელთა წინააღმდეგ 72 შეხვედრა აქვს ჩატარებული. აქედან, 11 მატჩი მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გაიმართა. გერმანელების შედეგი შთამბეჭდავია - 6 გამარჯვება, 2 ფრე და მხოლოდ ორი მარცხი.

უიღბლო გამოდგა გერმანელთა მიერ ჩატარებული პირველი მსოფლიო ჩემპიონატი. 1934 წელს, მწვრთნელ ოტო ნერცის გუნდმა რომში ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ნახევარფინალში წააგო და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა. 24 წლის შემდეგ გერმანელები მიზანთან ახლოს იყვნენ, მაგრამ შვედეთში ირლანდიელებთან ფრედ (2:2) დასრულებული მატჩის შემდეგ, მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავეს. 1970 წელს კი შედგა გერმანელთა შეხვედრა პერუს ნაკრებთან, სადაც გერდ მიულერმა ჰეთთრიკი შეასრულა და გერმანიამ მოიგო (3:1). მოკლედ, გერმანელებს სამხრეთამერიკელებთან ფინალურ ეტაპებზე დადებითი ბალანსი აქვთ. დღეს კი პირველად ხვდებიან პარაგვაის.

გერმანელებს არ ელით იოლი გასეირნება. პარაგვაის გუნდი მაღალი კლასით თუ არა, უდიდესი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. გერმანელებს კი სწორედ მებრძოლი ნახევარმცველი, მიქაელ ბალაკი დააკლდებათ. ფიოლერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ბალაკი ამ ძირითად შემადგენლობაში არ იქნება. " ბალაკს მყესი აქვს დაჭიმული და სამწუხაროდ, მზად არ არის. მერვედფინალში კი რისკზე წასვლა დამღუპველია," -თქვა გერმანელთა მწვრთნელმა. ბალაკმა, ძლიერი ტკივილის გამო, უკანასკნელი ვარჯიში ბოლომდე ვერ დაასრულა. გერმანელებს აწუხებთ ის ფსიქოლოგიური ზეწოლაც, რომელსაც თანამემამულე ჟურნალისტებისგან განიცდიან. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები შედეგიანად თამაშობენ (11 გატანილი გოლი), მათი თამაში, ისევ გერმანელთა აზრით, დახვეწას საჭიროებს. ირლანდიასთან და კამერუნთან ჩატარებულმა შეხვედრებმა, გერმანიის დაცვის სისუსტე თუ არა, ხარვეზები გამოაჩინა. ირლანდიამ გაიტანა, კამერუნელებმა კი რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. ფეხბურთელები რეალურად აფასებენ სიტუაციას. "გუნდში სამუშაო განწყობაა. გერმანიის ნაკრებს არ დაუკარგავს მთავარი - გუნდური სულისკვეთება. ჩვენ შეგვიძლია ფინალში გასვლა", - ამბობს ოლივერ კანი. იენს იერემისი თვლის, რომ პარაგვაისთან შეხვედრა ურთულესი იქნება: " არგენტინა და საფრანგეთი დაისაჯნენ. მერწმუნეთ, იგივე ელოდება ყველა იმ ფავორიტს, რომელიც მეტოქეს პატივისცემით არ მოეპყრობა. პარაგვაის გუნდი ძლიერია. ბოლოს და ბოლოს, აქ ჩვენი თანაგუნდელი, როკი სანტა კრუზი თამაშობს. მას კი ნებისმიერი მომენტის გამოყენება შეუძლია. მოკლედ, ფრთხილად უნდა ვიყოთ და მეოთხედფინალშიც გავალთ." პარაგვაელთათვის ანგარიშის არგაწევა ძვირად დაუჯდათ ბრაზილიასა და არგენტინას. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს ჩეზარე მალდინის გუნდმა მოუგო (3:1), არგენტინასთან კი ორივე შეხვედრა ფრედ დაასრულა. გასათვალისწინებელია ჩეზარე მალდინის ფაქტორიც. მან იცის, როგორ მოიგოს. "რა თქმა უნდა, მძიმე მატჩი იქნება. ეს დღესავით ნათელია. მაგრამ გამახსენეთ, მსოფლიოს ჩემპიონატის რომელი მატჩი იყო იოლი. რაც შეეხება ჩვენს შანსს - რა თქმა უნდა, ფავორიტად გერმანიას მიიჩნევენ. კარგია, თუ გერმანელებიც ასე ფიქრობენ. ჩვენ საკმაოდ რეალური შანსი გვექნება," – ამბობს ჩეზარე მალდინი.

## ექსპერტი

# გოჩა ჯამარაული: შეგვიძლია, ნებისმიერი დავამარცხოთ

მსოფლიოს ჩემპიონატზე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, ჩვენი ორი მეტოქე - ირლანდია და რუსეთი ვიხილეთ. ყურადღებას რუსეთის თამაშზე გავამახვილებ. ბელგიელებთან შეხვედრაში მწვრთნელს რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. რომანცევმა მოედანზე უძლიერესი ფეხბურთელები გაიყვანა. მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმი ბელგიელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა. შეხვედრის მსვლელობამ დაადასტურა, რომ რუსეთის დღევანდელი ნაკრების ყველაზე სუსტი წერტილი დაცვაა. ნიგმატულინის კარში გასული სამი გოლიდან, ორი დაცვის შეცდომების გამო მოხდა. თანამედროვე ფეხბურთში არ შეიძლება მშვიდად მიაღებინო ბურთი და დამუშავების საშუალება მისცე - მოედნის არც ერთ მონაკვეთზე, მით უმეტეს, საჯარიმოში.

გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის ნაკრები აქტიურად იწყებს მეორე ტაიმს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აგებს. რუსეთის ნაკრების გადარჩენა ისევ და ისევ ახალგაზრდა სიჩოვს შეეძლო. მან ყველაფერი გააკეთა - ჯერ ბესჩასტნიხს გაატანინა, შემდეგ კი თავადაც გაიტანა. ბელგიელებს კი არაფრით გავუკვირვებივართ. მათ ითამაშეს ის ფეხბურთი, რომელსაც ყოველთვის ასრულებდნენ - დალაგებული, მშვიდი თამაში და თავდამსხმელების სწრაფი აფეთქებები. ალბათ, რომანცევს მოხსნიან. შეიძლება ნაკრების ბირთვიც შეიცვალოს, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ჩვენ მოვემზადოთ.

კვლავ დავუბრუნდეთ რუსეთის ნაკრებს. მე ვთვლი, რომ შეიძლება მათი დამარცხება, აგრეთვე სხვა გუნდებისაც. ირლანდიელების თამაშებსაც ვუყურეთ. არც ეს გუნდია გადაულახავი ბარიერი. ხომ ხედავთ, რაც ხდება. ფრანგები აგებენ სენეგალთან, გავარდა არგენტინა, ბეწვზე გადარჩა იტალია. ამ ფონზე სულაც არ იქნება საოცარი საქართველოს ნაკრების ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა. მეორე საკითხია, თუ რა არის ამისთვის საჭირო. გვჭირდება კარგი მოსამზადებელი პერიოდი და მოედანზე შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა. ჩვენ კლასი არ გვაკლია, მთავარია მონდომება. დღეს იმარჯვებს ის, ვისაც ეს ძალიან უნდა და ამისთვის ყველაფერს გაიღებს. იაპონია-კორეის მსოფლიო ჩემპიონატმა ცხადყო, თუ რამოდენა მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ მომზადებას. მიმაჩნია, რომ არც საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს აკლიათ ფიზიკური მომზადება. თავის გუნდში ყველა ნორმალურად გამოიყურება.

აგვისტოში ნაკრები ერთ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ჩვენი მზადებაც აქედან დაიწყება. სექტემბრის გეგმების შესახებ კი ჯერჯერობით არაფერი ვიცი.

## დაიჯესტი

### ონიგბინდე დაითხოვეს

ფესტუს ონიგბინდეს ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიდი დღე არ ეწერა. გუნდმა, ეგრეთ წოდებულ "სიკვდილის ჯგუფში", ბოლო ადგილი დაიკავა და შინ შერცხვენილი დაბრუნდა. ნიგერიელებმა წინ შვედეთის, ინგლისისა და არგენტინის გუნდები გაუშვეს.

ბუნებრივია, რომ წარუმატებლობა, უპირველესად, ონიგბინდეს უუნარო ხელმძღვანელობას დაბრალდა და ბატონი ფესტუსი ამიერიდან ნაკრების ტექნიკური დირექტორის ფუნქციებს შეასრულებს. ონიგბინდე ტექნიკური დირექტორის პოსტზე ადრეც მუშაობდა და, როგორც ჩანს, წარმატებითაც. ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობა უახლოეს მომავალში გაირკვევა.

### ჰონკონგის პოლიციამ ტერაქტი აიცილა

ჰონკონგის პოლიციამ გააუვნებელყო ბომბი, რომელიც უცნობმა იპოდრომზე დატოვა. ინციდენტი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის ტრანსლაციის დროს მოხდა. იპოდრომზე შეკრებილი ათასობით გულშემატკივარი ფეხბურთს დიდ ეკრანზე უყურებდა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. სამართალდამცავი ორგანოების ოფიციალურმა წარმომადგენელმა, კარმენ ჩონმა თქვა, რომ გამნაღმველები მას შემდეგ გამოიძახეს, როცა დამლაგებელმა აღმოაჩინა საეჭვო მასალის პატარა შეკვრა. გაირკვა, რომ ბომბის შემადგენლობაში ასაფეთქებელი ნივთიერების გარდა, ლურსმნებიც შედიოდა.

### მალდინის ახალი რეკორდი

იტალიის ნაკრების მცველმა, პაოლო მალდინიმ, შეუცვლელად ჩატარებული მატჩების ნომინაციაში მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდი დაამყარა. მექსიკის წინააღმდეგ ახალმა რეკორდსმენმა, შეუცვლელად 22-ედ ითამაშა. ადრე ეს მიღწევა 1966 წლის გერმანიის ნაკრების კაპიტანს, უვე ზეელერს ეკუთვნოდა.

ამჟამად, მალდინი 33 წლისაა და "სკუადრა აძურას" შემადგენლობაში 125 მატჩი ჩაატარა. ეს ჩემპიონატი მალდინისთვის ბოლო იქნება, მაგრამ მას შანსი აქვს, უფრო მნიშვნელოვანი რეკორდი მოხსნას. თუ იტალიის ნაკრები ნახევარფინალამდე მიაღწევს და მალდინი ყველა შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას, ფეხბურთელს, საერთო ჯამში, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე 26 თამაში დაუგროვდება. ამ მაჩვენებლით, მალდინი გაუსწრებს, ჯერჯერობით, საუკეთესო გერმანელ ლოთარ მათეუსს.

### ბრაზილიელთა მიღწევა

ბრაზილიის ნაკრებმა დამაჯერებლად განვლო ფინალური ეტაპის ჯგუფური ტურნირი და 44 წლის წინანდელი მიღწევაც გაიმეორა. მან კოსტა-რიკის ნაკრების კარში 5 გოლი გაიტანა. ფინალურ ეტაპებზე კი ამდენი გოლი ტეტრაკამპეონებმა 1958 წელს გაიტანეს, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ტურნირის მასპინძლები დაამარცხეს (5:2).

### ბასთურქი უკმაყოფილოა

ლევერკუზენის "ბაიერისა" და თურქეთის ნაკრების ნახევარმცველი ილდირაი ბასთურქი, გუნდის მთავარ მწვრთნელთან, შენოლ გიუნეშთან კონფლიქტამდეა მისული. 23 წლის ნახევარმცველი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ გიუნეშმა ჩინეთის ნაკრებთან მატჩში შეცვალა. "ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ გუნდი მერვედფინალში გავიდა, მაგრამ ამავე დროს უკმაყოფილო ვარ მწვრთნელის მოქმედებით, რომელმაც სამივე შეხვედრაში შემცვალა. გიუნეშს ამ თემაზე აუცილებლად დაველაპარაკები," – თქვა დაღონებულმა ბასთურქმა.

### ზიდანი 2004 წლამდე

29 წლის ზინედინ ზიდანი ამბობს, რომ იგი ნაკრებიდან 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ წავა. "ჩემი მიზანია 2004 წელს პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშო და შემდეგ საერთაშორისო კარიერა დავამთავრო," – თქვა მადრიდის "რეალისა" და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა.

### კუევასი პირველ ტაიმს გამოტოვებს

პარაგვაელი ფეხბურთელი ნელსონ კუევასი, რომელმაც ორი გოლი გაუტანა სლოვენიის ნაკრებს და გუნდი მერვედფინალში გაიყვანა, გამოტოვებს გერმანელებთან მატჩის პირველ ნახევარს. ამის შესახებ პარაგვაის ნაკრების იტალიელმა მწვრთნელმა, ჩეზარე მალდინიმ ისაუბრა.

"მან ტერფი დაიზიანა, რადგან ბურთი ძალიან ძლიერად დაარტყა. საბედნიეროდ, სერიოზული არაფერია და კუევასი მწყობრში ჩადგება, მაგრამ პირველ ტაიმს გამოტოვებს, ვინაიდან არ ვარ დარწმუნებული, რომ ნელსონი 90 წუთის განმავლობაში სირბილს შეძლებს," – თქვა მწვრთნელმა. რაც შეეხება გერმანიის შანსებს, მალდინი ამბობს: "გერმანიის ნაკრები ძალიან ძლიერია, ამიტომ სწრაფად უნდა ვითამაშოთ".

### სად მაქვს ფული...

მსოფლიო ჩემპიონატიდან არგენტინის ნაკრების გავარდნა ქვეყანას დიდ ფინანსურ პრობლემად გადაექცა. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკები ამჟამად იმაზე ბჭობენ, თუ როგორ გაისტუმრონ ფეხბურთელთა პრემიები, ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ტექნიკური პერსონალი.

არავინ იცის, სად მოიპოვოს ფული. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის ფიფამ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას 3 მილიონ 363 ათასი დოლარი გადაურიცხა, მაგრამ ვალების გასტუმრებას ამ თანხის ნახევარი არ ეყოფა. საგულისხმოა, რომ ნაკრების მწვრთნელის, მარსელო ბიელსასადმი დავალიანება 490 ათას დოლარს შეადგენს.

### ცოლები თურქების დასახმარებლად

თურქეთის ნაკრები მერვედფინალში გავიდა. ეს რაღაც ახალია თურქული ფეხბურთის ისტორიაში. უფრო მეტიც, გიუნეშის შეგირდები იაპონელებს დაუპირისპირდებიან და მართალია ფსიქოლოგიური უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იქნება, არავინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდება.

თურქებს მადა გაეხსნათ. ისინი ფიქრობენ, რომ შანსი არც ისე მცირეა, ამიტომ თამაშის წინ ცდილობენ ფეხბურთელებს მაქსიმალური კომფორტი შეუქმნან. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ნაკრების წევრებს, მეუღლეებითურთ, უკვე შეპირდა სინგაპურში სამდღიან დასვენებას.

ახლახან კი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, ფეხბურთელთა ცოლები იაპონიაში თავისი ხარჯით გაგზავნოს.

# ინგლისელები პენალტებისთვის ემზადებიან

დღეს ინგლისის ნაკრები დანიელებს დაუპირისპირდება. ერიკსონი დიდი მონდომებით ემზადება და თავის ფეხბურთელებს... თერთმეტმეტრიანების შესრულებაში ავარჯიშებს. საოცარი ფაქტია, თუმცა, თუ ისტორიას გადავხედავთ, ბევრი რამ გასაგებია. 1990 და 1998 წლების მსოფლიოს პირველობებზე ინგლისის ნაკრები ფინალურ ეტაპს სწორედ თერთმეტმეტრიანი სერიის წაგების შედეგად გამოეთიშა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ინგლისელი ჟურნალისტების ყურადღება მიიქცია ერიკსონის თანაშემწემ, სტივ მაკლარენმა. მან სენსაციური განცხადება გააკეთა. როგორც გაირკვა, ერიკსონი მატჩის დაწყების წინ აპირებს ხუთი "პენალტისტის" შერჩევას. "სვენმა რამდენჯერმე დარეკა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ოფისში. მას ყველას აზრი აინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ინგლისის ნაკრების მწვრთნელია, საკითხს შვედური პედანტურობით უდგება. მას არც ერთი დეტალი არ გამოეპარება და ყველაფრისთვის წინასწარ ემზადება,"- თქვა მაკლარენმა. 12 წლის წინათ, ინგლისელები ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც პენალტების სერიაში გერმანელებთან წააგეს. იგივე მოხდა 1996 წლის ევროპისა და 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე. გასაგებია, რომ ერიკსონი თავს იზღვევს.

ცნობილია ერთი ფეხბურთელის გვარი, ვინც პენალტების სერიის დანიშვნის შემთხვევაში ბურთთან მივა - დევიდ ბექჰემი. მან არგენტინას გაუტანა. ნაკრების მცველს, სოლ კემპბელს სასაცილოდ არ ყოფნის ერიკსონის გადაწყვეტილება: "მართალი გითხრათ, პენალტებში ვარჯიში, უბრალოდ, დროის დაკარგვაა. რა თქმა უნდა, სვენმა იცის, რასაც აკეთებს, მე კი მიმაჩნია, რომ ყველაფერი 90 წუთში დასრულდება." შეიძლება, მართლაც ასე მოხდეს. დანიელებს არ ეყოლებათ გუნდის ლიდერი, ჰოლანდიის "ფეიენოორდის" ბომბარდირი, უეფას თასის მფლობელი იონ დალ ტომასონი. მან ტრავმა მიიღო ფრანგებთან მოგებული შეხვედრის დროს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტომასონმა მიმდინარე ჩემპიონატის მატჩებში ოთხი გოლი გაიტანა, ცხადია, თუ რა დაკარგა დანიის გუნდმა.

ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა კარგად იცნობს დანიის ნაკრების ლიდერებს. იესპერ გრონკიაერი "ჩელსიში" თამაშობს, ტომას გრავესენი "ევერტონში", სტიგ ტოფტინგი "ბოლტონ-უონდერერსში", სორენსენი "სანდერლენდში" და კლაუს იენსენი "ჩარლტონში". მატჩი დაძაბული იქნება. ფავორიტად მიიჩნევენ ინგლისელებს.





REUTERS

# ტოტალიზატორი "კოპა"

## ცოცხალი 15.06.2002

| გერმანია - პარაგვაი | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5810 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5811 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5812 | 1 კუთხური | 1.55 | | 1.95 |
| 5813 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5814 | 1 გოლი | 1.50 | | 2.00 |
| 5815 | 1 გაფრთხილება | 1.80 | | 1.70 |
| 5816 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5817 | ბარათების რაოდენობა | 4და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 5- 3.00 | 6და მეტი- 1.90 |
| 5818 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 5819 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.80 | (2-3) 1.80 | (4-6) 3.00 |
| 5820 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.70 | | ერთ-ერთი 1.80 |
| 5821 | კლოზე * | გაიტანს 2.00 | | ვერ გაიტანს 1.50 |
| 5822 | ჩილავერტი * | გაიტანს 3.50 | | ვერ გაიტანს 1.10 |

| დანია - ინგლისი | | | | 16:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5830 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5831 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5832 | 1 კუთხური | 1.80 | | 1.70 |
| 5833 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5834 | 1 გოლი | 1.80 | | 1.70 |
| 5835 | 1 გაფრთხილება | 1.75 | | 1.75 |
| 5836 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5837 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.80 |
| 5838 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.80 | | (31-90)- 1.70 |
| 5839 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.80 | (2-3) 1.80 | (4-6) 3.00 |
| 5840 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |
| 5841 | ოუენი * | გაიტანს 2.10 | | ვერ გაიტანს 1.45 |
| 5842 | დალ ტომასონი * | გაიტანს 2.10 | | ვერ გაიტანს 1.45 |

| ჯგუფური ცოცხალი | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5845 | კუთხურები 2 თამაშში | 20და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 22და მეტი- 1.90 |
| 5846 | ბარათები 2 თამაშში | 8და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 0- 0.00 | 10და მეტი- 1.80 |
| 5847 | გოლები 2 თამაშში | 4და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 0- 0.00 | 5და მეტი- 1.70 |

## გასვლა

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 280 | 15-06-2002 | 11:30 | გერმანია-პარაგვაი | 1.30 | 2.80 |
| 281 | 15-06-2002 | 16:30 | დანია-ინგლისი | 2.20 | 1.45 |
| 282 | 16-06-2002 | 11:30 | შვედეთი-სენეგალი | 1.45 | 2.20 |
| 283 | 16-06-2002 | 16:30 | ესპანეთი-ირლანდია | 1.35 | 2.60 |

## მსოფლიო ჩემპიონატი

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 101 | 15-06-2002 | 11:30 | გერმანია-პარაგვაი | 1.70 | 3.10 | 4.70 | 1.10 | 1.87 | 1.25 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 103 | 15-06-2002 | 16:30 | დანია-ინგლისი | 3.60 | 3.00 | 1.90 | 1.64 | 1.16 | 1.24 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 105 | 16-06-2002 | 11:30 | შვედეთი-სენეგალი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.62 | 1.27 | 1.80 | 2.5 | 1.70 |
| 107 | 16-06-2002 | 16:30 | ესპანეთი-ირლანდია | 1.75 | 3.00 | 4.50 | 1.11 | 1.80 | 1.26 | 1.75 | 2.5 | 1.75 |

# ტოტალიზატორი "ტოტო 2000"

## ცოცხალი 15.06.2002

| გერმანია - პარაგვაი | | 15/06 | 11:30 | | |
|---|---|---|---|---|---|
| კოდი | პოზიცია | შედეგები | | | |
| 341 | Iტაიმის შედეგი | 1<br>1.85 | X<br>1.65 | 2<br>3.10 | * |
| 342 | ვინ დაიწყებს | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 343 | პირველ აუტს მოაწვდის | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 344 | პირველ კუთხურს მოაწვდის I ტაიმში | 1<br>1.60 | | 2<br>2.00 | |
| 345 | პირველ კუთხურს მოაწვდის II ტაიმში | 1<br>1.60 | | 2<br>2.00 | |
| 346 | პირველი მოხვდება თამაშგარეში | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 347 | პირველი დაჯარიმდება | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 348 | კარში დარტყმების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11--12<br>3.00 | 13და მეტი<br>1.80 | |
| 349 | მეტჯერ დაარტყამს კარში | 1<br>1.15 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>2.45 | |
| 350 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11<br>3.50 | 12და მეტი<br>1.80 | |
| 351 | მეტ კუთხურს მოაწვდის | 1<br>1.25 | თანაბრად<br>3.50 | 2<br>2.35 | |
| 352 | მეტი კუთხური ტაიმებში | I ტაიმი<br>1.95 | თანაბრად<br>3.50 | II ტაიმი<br>1.65 | |
| 353 | თამაშგარე მდგ. რაოდენობა | 5 და ნაკ<br>1.95 | 6<br>3.50 | 7 და მეტი<br>1.65 | |
| 354 | მეტჯერ მოხვდება თამაშ. მდგომ | 1<br>1.60 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>2.00 | |
| 355 | ჯარიმების რაოდენობა | 33 და ნაკ<br>2.00 | 34-35<br>3.50 | 36 და მეტი<br>1.60 | |
| 356 | მეტჯერ დაჯარიმდება | 1<br>1.90 | თანაბრად<br>5.00 | 2<br>1.70 | |
| 357 | I ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.90 | | 2<br>1.70 | |
| 358 | მეტ ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>2.00 | თანაბრად | 2<br>1.60 | |
| 359 | ყვითელი ბარათების რაოდენობა | 3 და ნაკ<br>2.00 | 4<br>3.00 | 5 და მეტი<br>1.60 | |
| 360 | წითელი ბარათი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 361 | პენალი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 362 | I შეცვლას გააკეთებს | 1<br>1.80 | | 2<br>1.80 | |
| 363 | I შეცვლა ტაიმებში | I ტაიმი<br>2.50 | შესვენებაზე<br>2.20 | II ტაიმი<br>1.70 | |
| 364 | I გოლს გაიტანს | 1<br>1.50 | | 2<br>2.10 | |
| 365 | ვინ გაიტანს | ორივე<br>1.70 | | ერთერთი<br>1.80 | |
| 366 | I ტაიმში გატანილი გოლები | 1და ნაკ<br>1.15 | | 2და მეტი<br>2.00 | * |
| 367 | გოლების რაოდენობა | 0-1<br>3.00 | 2-3<br>1.70 | 4-6<br>3.00 | * |
| 368 | მეტი გოლი ტაიმებში | I ტაიმი<br>3.00 | თანაბრად<br>2.80 | II ტაიმი<br>1.90 | * |
| 369 | I გოლი გავა | 1-30წთ.<br>1.80 | 31-90წთ.<br>1.80 | არ გავა<br>5.00 | * |

| დანია - ინგლისი | | 15/06 | 16:30 | | |
|---|---|---|---|---|---|
| კოდი | პოზიცია | შედეგები | | | |
| 371 | Iტაიმის შედეგი | 1<br>2.90 | X<br>1.60 | 2<br>2.10 | * |
| 372 | ვინ დაიწყებს | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 373 | პირველ აუტს მოაწვდის | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 374 | პირველ კუთხურს მოაწვდის I ტაიმში | 1<br>1.90 | | 2<br>1.70 | |
| 375 | პირველ კუთხურს მოაწვდის II ტაიმში | 1<br>1.90 | | 2<br>1.70 | |
| 376 | პირველი მოხვდება თამაშგარეში | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 377 | პირველი დაჯარიმდბა | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 378 | კარში დარტყმების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11--12<br>3.00 | 13და მეტი<br>1.80 | |
| 379 | მეტჯერ დაარტყამს კარში | 1<br>2.10 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.50 | |
| 380 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11<br>3.50 | 12და მეტი<br>1.80 | |
| 381 | მეტ კუთხურს მოაწვდის | 1<br>2.10 | თანაბრად<br>3.50 | 2<br>1.50 | |
| 382 | მეტი კუთხური ტაიმებში | I ტაიმი<br>1.95 | თანაბრად<br>3.50 | II ტაიმი<br>1.65 | |
| 383 | თამაშგარე მდგ. რაოდენობა | 5 და ნაკ<br>1.95 | 6<br>3.50 | 7 და მეტი<br>1.65 | |
| 384 | მეტჯერ მოხვდება თამაშ. მდგომ | 1<br>2.00 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.60 | |
| 385 | ჯარიმების რაოდენობა | 33 და ნაკ<br>1.80 | 34-35<br>3.50 | 36 და მეტი<br>1.80 | |
| 386 | მეტჯერ დაჯარიმდება | 1<br>1.60 | თანაბრად<br>5.00 | 2<br>2.00 | |
| 387 | I ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.80 | | 2<br>1.80 | |
| 388 | მეტ ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.70 | თანაბრად | 2<br>1.90 | |
| 389 | ყვითელი ბარათების რაოდენობა | 3 და ნაკ<br>1.80 | 4<br>3.00 | 5 და მეტი<br>1.80 | |
| 390 | წითელი ბარათი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 391 | პენალი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 392 | I შეცვლას გააკეთებს | 1<br>1.80 | | 2<br>1.80 | |
| 393 | I შეცვლა ტაიმებში | I ტაიმი<br>2.50 | შესვენებაზე<br>2.20 | II ტაიმი<br>1.70 | |
| 394 | I გოლს გაიტანს | 1<br>1.90 | | 2<br>1.70 | |
| 395 | ვინ გაიტანს | ორივე<br>1.65 | | ერთერთი<br>1.85 | |
| 396 | I ტაიმში გატანილი გოლები | 1და ნაკ<br>1.15 | | 2და მეტი<br>2.00 | * |
| 397 | გოლების რაოდენობა | 0-1<br>3.00 | 2-3<br>1.70 | 4-6<br>3.00 | * |
| 398 | მეტი გოლი ტაიმებში | I ტაიმი<br>3.00 | თანაბრად<br>2.80 | II ტაიმი<br>1.90 | * |
| 399 | I გოლი გავა | 1-30წთ.<br>1.80 | 31-90წთ.<br>1.80 | არ გავა<br>5.00 | * |

* - ით აღნიშნულიპოზიციები არ ებმება ერთმანეთს
ერთ მოთამაშეზე მეორე ყვითელი ბარათი ითვლება მხოლოდ წითლად
**ცოცხალზე მოგებები გაიცემა ფიფას ოფიციალური ოქმის (fifaworldcup.yahoo.com) გამოქვეყნების შემდეგ**

## 1/8 ფინალი. გასვლა

| თარ. | დრო | კოდი | წყვილი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 15/06 | 11:30 | 041 | გერმანია - პარაგვაი | 1.30 | 3.00 |
| 15/06 | 16:30 | 042 | დანია - ინგლისი | 2.30 | 1.50 |
| 16/06 | 11:30 | 043 | შვედეთი - სენეგალი | 1.50 | 2.30 |
| 16/06 | 16:30 | 044 | ესპანეთი - ირლანდია | 1.30 | 3.00 |

## 1/8 ფინალი

| თარ. | დრო | კოდი | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | 12 | X2 | 2,5მეტ | 2,5ნაკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15/06 | 11:30 | 022 | გერმანია - პარაგვაი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.24 | 1.85 | 1.65 | 1.85 |
| 15/06 | 16:30 | 023 | დანია - ინგლისი | 3.40 | 3.10 | 2.05 | 1.60 | 1.26 | 1.21 | 1.70 | 1.80 |
| 16/06 | 11:30 | 024 | შვედეთი - სენეგალი | 2.15 | 3.10 | 3.15 | 1.25 | 1.26 | 1.54 | 1.75 | 1.75 |
| 16/06 | 16:30 | 025 | ესპანეთი - ირლანდია | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.24 | 1.85 | 1.70 | 1.80 |

# ПРОРВЕМСЯ!




მანანა და მიხაილ კაზაკოვები

ბესო გულაშვილის ფოტო

## მიხაილ კაზაკოვი: კულტურა არ შეიძლება "ერთსისხლიანი" იყოს

ანა კორძაია-სამადაშვილი
ნინო სვანიძე

წლებმა, როგორც ჩანს, თეატრისა და კინოს ვარსკვლავს ვერაფერი დააკლო. მიხაილ კაზაკოვი ძველებურად მომხიბვლელი და გალანტურია. თუმცა ჩვენი შეხვედრა გვიან ღამით შედგა, რესტორნიდან დაბრუნებულ, "ღამის კურიერის" სტუდიიდან გამოსულ, და, ალბათ, დაღლილ ბატონ მიხაილს პეწი მაინც არ დაუკარგავს და მასთან ურთიერთობისას კარგად მივხვდით, რით იტაცებდა ჩვენს დედებს ადამიანი-ამფიბია.

"თბილისი ფაქტობრივად ჩემი ქალაქია. მე ვოცნებობ, რომ ამ ქალაქში რამეს გავაკეთებ. ახალგაზრდა აღარ მეთქმის, 68 წლის ვარ. სულ ვეუბნები ლევანს (წულაძეს): გააკეთე რამე, რომ მე ვითამაშო, მანანამ ითამაშოს, კირილმა ითამაშოს. სამი მსახიობი ვართ ოჯახში, ბოლოსდაბოლოს. მოიგონე პიესა, რომ მთელი მსოფლიო მოვიაროთ. რუსულენოვანი აუდიტორია ყველგან გვეყოლებოდა – საქართველოშიც, რუსეთშიც, ამერიკაშიც და ისრაელშიც. თუ სპექტაკლი კარგი იქნა, მაყურებელი არ მოგვაკლდება. საქართველოში რუსული კულტურა რუსულენოვან მოსახლეობის გარდა, ალბათ, ქართველებსაც აინტერესებთ. მით უმეტეს, ეს ორი კულტურის შერწყმა გამოვა, ძველი კარგი ტრადიციის აღდგენას დაემსგავსება.

ახალი სისხლი ძალიან ბევრს ნიშნავს. ამის მოწმე ისრაელშიც გავხდი: ბავშვებს ვაკვირდებოდი. საერთოდ, შერეული სისხლის ბავშვები არაჩვეულებრივები არიან.

ჩვენი ხალხი – რუსები და ქართველები – მეტისმეტად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ ასე იოლად დავივიწყოთ ჩვენი კულტურული ერთობა. კულტურა არ შეიძლება "ერთსისხლიანი" იყოს. ჩვენ მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში ვქმნიდით ერთიან კულტურას: პოეტები, რეჟისორები...

თბილისში სულ რამდენიმე დღე ვარ, ობიექტური აზრი ვერ მექნება, მაინც ლევანის და მანანას თვალით ვუყურებ. ბევრი სიახლეა, სიახლე კი კარგსაც გულისხმობს და ცუდსაც. ისევე, როგორც თავისუფლება, რომელიც გაწუკითხაობაც შეიძლება იყოს და ჭეშმარიტი შემოქმედების საწყისიც.

აი, თქვენც ახალი გაზეთი გაქვთ. ახალგაზრდა და თავისუფალი. სინამდვილეში თავისუფლება მძიმე ტვირთია, გაფრთხილება უნდა. მე მჯერა, რომ ყველაფერი საუკეთესოდ წარიმართება. ნამდვილი ხელოვნება – ვიმეორებ – ახალ სისხლს, ახალ ძალას მოითხოვს. თქვენ ეს უკვე გაქვთ. თქვენ გაქვთ გაზეთი. ეცადეთ, შეინარჩუნოთ ისეთად, რომ თქვენი ქვეყნის კულტურულ პოტენციალს შეესაბამებოდეს. მე მჯერა საქართველოსი და თქვენი წარმატების."

დამშვიდობებისას ბატონი მიხაილი გალანტურად გვეამბორა ხელზე და დაგვაიმედა: "Прорвемся!". ჩვენც ამის იმედად ვიყოთ.

## ბასა ჯანიკაშვილის სვეტი

# პომიდორი

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ ის პომიდორი ხართ, რომელიც გასულ შაბათს თავზე დაასხეს თქვენსავე მიერ გამოგონილ პროფესორ კარტოფილს. როგორ არ გახსოვთ? თქვენ და პროფესორი კარტოფილი ხომ ერთსა და იმავე ბაღჩაში იზრდებოდით. უკვე სტუდენტობისას თქვენი გზები გაიყარა და აღმოჩნდით მაცივარში სადაც ისე გაგყინეს, რომ მთელი ახალგაზრდობა ჩაგიშხამეს და გაგხადეს მარად ახალგაზრდა წითელი პომიდორი, რომელსაც არც მეგობარი შერჩა, არც ოჯახი და მითუმეტეს არც საყვარელი. საყვარელი წითელი პომიდორი, სექსუალური, განსაკუთრებით დიდი დეკოლტეთი და პატარა მკერდით, რომელსაც მსხლის ფორმა აქვს. მსხლისფორმისებრ ძუძუებიან პომიდორს თქვენც მოეწონეთ და რაოდენ სამწუხაროა, რომ ისიც ისეთივე გაყინულია როგორც თქვენ, იმიტომ რომ ქალაქის ცენტრალურ მაცივარში ინახებით და არაფრის თავი არა გაქვთ.

არსებობს მხოლოდ ერთი გზა: იფიქროთ, იფიქროთ და ისევ იფიქროთ, თუ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ფიქრი, იმიტომ, რომ ხართ გაუნათლებელი, მარად ახალგაზრდა, ამბიციებით სავსე წითელი პომიდორი, რომელიც არამც და არამც არ ეგუება საკუთარ ბედისწერას.

გაგონდებათ ბავშვობა, მშობლები, დედმამიშვილები და მამის მეგობრები, რომლებიც კვირაში ერთხელ შემოივლიდნენ. მამათქვენი კი, როგორც ნამდვილი ქართული პომიდორი, ხელგაშლილი ეგებებოდა სტუმრებს. ფეხზე ადგომით სვამდნენ საქართველოს, ნათესავების და ახლობლების, დედმამიშვილების, პატარების, მომავლის, წასულების, მოგონებებისა და შორეული ნათესავების სადღეგრძელოს. ბოლოს კი, შეზარხოშებულნი სუფრასთან გიწვევდნენ და გაიძულებდნენ, გენახებინათ ბიძიებისთვის კუტა. უკვირდათ თქვენი წარმატებები, ხმამაღლა იცინოდნენ და იშლებოდნენ მომავალ კვირამდე.

კიდევ გახსენდებათ პაპანაქება მზე, როგორ ეკიდეთ ყუნწზე და ოცნებდით წასულიყავით სადმე სოფელგარეთ, მაგალითად ქალაქში. მშობლებს კი არსად არ დაჰყავდით, იმიტომ რომ მამა მუშაობდა და დედას თქვენს გარდა კიდევ ათიოდე პატარა პომიდვრისთვის უნდა მიეხედა. და თქვენ, როგორც უფროსი შვილი, იჩაგრებოდით და მისჩერებოდით იმ ბედნიერ დღეს, როდესაც გექნებოდათ საკუთარი ოთახი.

ერთი პატარა მწვანე ოთახი, სადაც ჩამოკიდებდით საყვარელი მწერლების პორტრეტებს, ფერადი ნათურებით გაანათებდით კედლებს, წაიკითხავდით ბევრ წიგნს და იქნებოდით აბიტურიენტი პომიდორი. ივლიდით ქართულზე, ინგლისურზე და ფიზიკაზე. ერთად-ერთი, რასაც შეეძლო, ხელი შეეშალა თქვენი განათლებისთვის, ეს მეზობლის კომპიუტერია, რომელშიც უამრავი თამაში ინახებოდა ბოევიკ წითელ პომიდვრებზე, თუ მუტანტ მწვანე კიტრებზე და იქნებოდით საოცრად ბედნიერი იმით, რომ თამაშობთ და იგებთ.

მიუხედავად ამისა, მაინც აბარებთ გამოცდებს და ეწყობით ბოსტნეულთა სახელმწიფო ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკურ უფასო ფაკულტეტზე, ისევე, როგორც თქვენი ბავშვობის მეგობარი, მომავალში პროფესორი კარტოფილი. თქვენით ამაყობს მთელი ოჯახი, განსაკუთრებით მამათქვენი და დიდ სუფრაზე, რომელიც თქვენს სასახელოდ იშლება, აღარ გთხოვენ, ანახოთ ბიძიებს კუტა - სამაგიეროდ ფეხზე ადგომით სვამთ ყანწს! დილით კი საშინელ თავის ტკივილზე გწყვეტენ და ნაბახუსევს გიწევთ მგზავრობა მომავლისკენ, რომელიც უკვე ცნობილია: სხვა წითელ პომიდვრებთან ერთად მოიხარშებით და თქვენგან გააკეთებენ გემრიელ საწებელას, რომელიც დაესხმება პროფესორ კარტოფილს და ორივენი ერთად იქნებით საოცრად გემრიელნი...

მანამდე კი თქვენი წარმოდგენილი წითელი პომიდორი ქალაქის მთავარ მაცივარში იყინება და არავინ უწყის, ვის სუფრაზე დაასრულებს სიცოცხლეს.

## ამბები

### ცრუ განგაში რუსთაველის თეატრში

გუშინ საღამოს, დაახლოებით 16.00-16.30 საათზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსთაველის თეატრში, სადაც 18.00 საათზე სპექტაკლი უნდა დაწყებულიყო, ბომბი იყო დამონტაჟებული. ანონიმური ზარი, რომელიც ქალაქის პოლიციის სამმართველოში გაისმა, საბედნიეროდ, ცრუ განგაშის მაუწყებელი აღმოჩნდა. მაგრამ სპექტაკლი მაინც გადაიდო. როგორც თეატრის დირექტორმა, ბატონმა გია თევზაძემ სატელეფონო საუბარში გვითხრა, ეს ზარი გამიზნულ ქმედებას, რაღაც ჩანაფიქრს უფრო ჰგავს, რომელიც ალექსანდრეს ბაღში გუშინწინდელ აფეთქებას უკავშირდება. თუმცა ეს ჩემი სუბიექტური აზრია, - დასძინა მან.

რუსთაველის თეატრში ასეთი შემთხვევა სამი წლის წინაც მოხდა, როდესაც თეატრში სპექტაკლის მსვლელობის დროს დარეკეს.

### ვაჟა ზუბაშვილის იუბილე კინოს სახლში

კინო-დოკუმენტალისტიკას საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. დღეს ამ ჟანრში მოღვაწეობით ბევრი ვერ დაიკვეხნის, თუმცა კინოდოკუმენტალისტები არც ადრე იყვნენ პოპულარობითა და ყურადღებით განებივრებულნი. გუშინ კინოს სახლში ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი კინო-დოკუმენტალისტის ვაჟა ზუბაშვილის საიუბილეო საღამო მოეწყო.

50 წელი კინოში დიდი თარიღი არ არის, თუმცა ვაჟა ზუბაშვილის შემთხვევაში ამ თარიღის აღნიშვნა კოლეგებისა და კინომოყვარულების მხრიდან განსაკუთრებული სიყვარულისა და პატივისცემის ნიშანი იყო. დიდი პომპეზურობით გუშინდელი საღამო არ გამოირჩეოდა: დითირამბებსა და კომპლიმენტებს იუბილარის პროფესიის არ იყოს, საქმე და ფაქტები ამჯობინეს და ვაჟა ზუბაშვილის ფილმების რეტროსპექტიული ჩვენება მოაწყვეს. სული ხუთი ფილმი იყო წარმოდგენილი - დაწყებული სტუდენტობის პერიოდიდან 90-იანი წლებით დამთავრებული. განსხვავებული სტილისა და ესთეტიკის მატარებელ ფილმებს ორიგინალური ხედვა და იუმორისა და სევდის დახვეწილი გრძნობა აერთიანებდა. განსაკუთრებით სენტიმენტალური ერთ-ერთი ბოლო ფილმი – "ხევსურები" იყო. დაცარიელებული ხევსურეთის კადრები თავად ავტორმა ქართული კინოხელოვნების დღევანდელ მდგომარეობას შეადარა. ვაჟა ზუბაშვილმა უკანასკნელი ფილმი 1996 წელს გადაიღო – "მთავრობის სასახლე" საქართველოს ისტორიის იმ ძირითადი მოვლენებს ასახავს, რომლებიც დღევანდელი პარლამენტის წინ ვითარდებოდა.

ბოლო ფილმის კომენტირება ზუბაშვილმა მეტად სევდიან ნოტაზე დაასრულა "დღეს კინოს აღარავინ იღებს საქართველოში".

### კულტურის სამინისტრომ ფიროსმანის მემკვიდრეობა აღრიცხა

პროგრამა, რომელმაც კულტურულ ღირებულებათა უსაფრთხოების დაცვა უნდა შეძლოს, კულტურის მინისტრის თქმით, აქამდეც უნდა განხორციელებულიყო. მაგრამ მუშაობა მხოლოდ მას შემდეგ გახდა რეალურად შესაძლებელი, რაც კულტურული მემკვიდრეობა სახელმწიფო პრიორიტეტად გამოცხადდა და ხელისუფლებამ გარკვეული თანხაც გამოჰყო მისთვის. ამის შემდეგ გაკეთდა მოძრავი ძეგლების აღრიცხვა-პასპორტიზაციის მიზნობრივი პროგრამა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმები.

პროგრამაში ჩართულია კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მომუშავე თითქმის ყველა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი. წლევანდელი პროგრამით გათვალისწინებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შესწავლა-აღრიცხვა დარგების მიხედვით. კერძოდ, ესენია: არქეოლოგია, სახვითი ხელოვნება (შუა საუკუნეების, თანამედროვე) , ხელნაწერები, გამოყენებითი ხელოვნება (ხალხური ხელსაქმე), აღმოსავლური ხელოვნება, ავეჯი, ნუმიზმატიკა.

პროგრამის პირველი ნაწილი, ფიროსმანის მემკვიდრეობის აღრიცხვა უკვე დასრულდა. გაკეთდა ფიროსმანის ნამუშევრების 179 პასპორტი. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მხოლოდ საქართველოში არსებული ძეგლების აღრიცხვას ითვალისწინებს და კონფიდენციალობას იცავს. წლევანდელ პროგრამაში შედის დავით კაკაბაძის მემკვიდრეობის აღრიცხვა-პასპორტიზაცია; გაისად, კი ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას მიხედავენ.

# რომანი მათთვის, ვისაც კითხვა არ უყვარს

ქარვასლაში "ალი და ნინოს" პრეზენტაცია გაიმართა

თამარ სუხიშვილი

გუშინ ქარვასლაში ყურბან საიდის რომანის დიდი ხნის ნანატრი პრეზენტაცია გაიმართა. ასეთი უჩვეულო და ეგზოტიკური პრეზენტაცია წიგნის თბილისელ მოყვარულებს ალბათ არც კი ახსოვთ. ქარვასლის ისედაც აღმოსავლური გარემო გამომცემლებმა კიდევ უფრო ორიენტალური გახადეს - თარზე მომღერლით, კედელზე გაკრული და აივანზე გადაფენილი ჭრელი ხალიჩებით, ქიშმიშ-რაჰათ-ლუჰუმიანი აღმოსავლური ალაფურშეტითა და კიდობანში ჯინივით ჩაკეტილი ახალი წიგნებით, რომლებმაც დღის სინათლე მხოლოდ პრეზენტაციის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ იხილეს; ოფიციალურს პირობითად ვამბობ, თორემ ისე არ ვიცი, შეიძლება თუ არა ოფიციალური ვუწოდო პრეზენტაციას, რომელიც თარის ჰანგების თანხლებით მიმდინარეობს და რომელზეც "დიოგენეს" დირექტორი აღმოსავლურ ყაიდაზე ჩაცმული წარდგება აზიური სიცხით გათანგული ხალხის წინაშე.

ბაქოელი ალი ხანისა და ქართველი ნინო ყიფიანის სიყვარულის ისტორიაზე დიდი ხანია მთელი მსოფლიო ალაპარაკდა. დღეს ეს რომანი უკვე ბესტსელერად არის აღიარებული.

რამდენიმე შტრიხი ყურბან საიდის იდუმალებით მოცული ბიოგრაფიიდან: ყურბან საიდი მწერლის ფსევდონიმია. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ლეო ნუსიმბაუმი. მართალია, ის მეოცე საუკუნეში ცხოვრობდა, მაგრამ მის ბიოგრაფიაში, ისევე, როგორც მის რომანში, ჭორ-მართალი ერთმანეთშია არეული. ზუსტად არ არის ცნობილი მისი დაბადების თარიღი. როგორც ვარაუდობენ, მწერალი 1905 წელს დაიბადა ბაქოში ნავთობის მაგნატის, ებრაელი მილიონერის ოჯახში. იმასაც ამბობენ, რომ მისი მამა თბილისში დაბადებულა, დედა კი წარმოშობით გერმანელი ყოფილა. 1919 წელს ნუსიმბაუმების ოჯახი ბაქოდან გაიქცა, ბოლშევიკებისთვის თავი რომ დაეღწია. მათ ჯერ სტამბოლს მიაშურეს, მერე - რომსა და პარიზს. 1921 წელს ბერლინში ჩავიდნენ და იქ დასახლდნენ. სტამბოლში ვიზების მოლოდინში ლეო ისე მოხიბლა აღმოსავლურმა გარემომ, რომ ისლამი მიიღო, სახელი გამოიცვალა და ესსად ბეი დაირქვა...

რომანი "ალი და ნინო", რომელიც გერმანულ ენაზეა დაწერილი, 1937 წელს გამოქვეყნდა ვენაში, Tal Verlag-ში. მწერალი კავკასიური სიყვარულის ისტორიის დაწერიდან ხუთი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ქართველი მკითხველისათვის რომანის ქართული თარგმანის შექმნის ისტორიაც არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს. თარგმანი მაია მირიანაშვილს ეკუთვნის, რომელსაც კაფკას, ჰესესა და სხვა გერმანულენოვანი მწერლების თარგმანებით ვიცნობთ. ეს მისი პირველი წიგნია. არჩევანი შემთხვევითი იყო: "ჩემმა მეგობარმა, ზაზა ბუაძემ წიგნი მომიტანა და მთხოვა, კინოსცენარისთვის მჭირდება, იქნებ ძალიან მოკლე შინაარსი დამიწეროო. რომანმა ისე გამიტაცა, რომ... ერთი სიტყვით, შემომეთარგმნა" (რომანის თარგმნას მაია მირიანაშვილმა ერთი თვე მოანდომა). ზაზა ბუაძე ჯერ შეწუხდა, მაგრამ თარგმანი რომ წაიკითხა, ისე მოეწონა, რომ მაიასთან ერთად პირდაპირ გამომცემლობა "დიოგენეს" მიაშურა. აი, ამის მერე კი დაიწყო საავტორო უფლების მოპოვების ხანგრძლივი და რთული პროცესი. რთული იმიტომ, რომ, როგორც "დიოგენეს" დირექტორმა თამარ ლებანიძემ აგვიხსნა: "როგორც ჩანს, საქართველოსავით პატარა ქვეყნებს სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან და მსგავს პროცედურებს დიდი დრო მიაქვს ხოლმე". მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა მიზეზებიც არსებობდა. რომანზე საავტორო უფლების პატრონის ვინაობაც ისეთივე გასაიდუმლოებული აღმოჩნდა, როგორც მისი ავტორი. ბოლოსდაბოლოს, დიოგენემ მიზანს მიაღწია.

მთარგმნელმა გიორგი ლობჟანიძემ წიგნი ერთ ღამეში წაიკითხა, თანაც - დიდი სიამოვნებით. კითხვით მიღებულ სიამოვნებას თარგმანის ხარისხი აორკეცებდა: "იშვიათად შემხვედრია ასე სწორად დასმული მხატვრული აქცენტები, ასე სწორად გადათამაშებული ერთი ენიდან მეორეზე", - ამბობს გიორგი ლობჟანიძე.

"გამომცემლობამ წიგნის სარეკლამოდ ასეთი ლოზუნგი შეთხზა: "მარადიული სიყვარულის კავკასიური ისტორია." მარადიული სიყვარულის ამბავს, როგორც ჩანს, რაღაც მაგნიტური ძალა აქვს; "დიოგენეს" დირექტორის რეკომენდაციით თუ ვიხელმძღვანელებთ, რომანი ძვირფასი შენაძენი იქნება არა მარტო მათთვის, ვისაც ლიტერატურა უყვარს, არამედ მათთვისაც, ვისაც საერთოდ არ უყვარს კითხვა.

პრეზენტაციას, "დიოგენეს" მონაცემებით, უამრავ ხალხთან ერთად 12 ნინო ყიფიანი დაესწრო, მოარული ხმები კი ამბობდნენ, რომ გუშინ ქარვასლას 50-მდე ნინო ყიფიანი ეწვია.



მაია მირიანაშვილი

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# ჯინის გამოშვება

დღეს კინომსახიობთა თეატრში "ჯულიეტა და რომეოს" საპრემიერო ჩვენება გაგრძელდება

მალხაზ ხარბედია

"ჯულიეტა და რომეო", ასე ჰქვია სპექტაკლს, რომლის პრემიერაც კინომსახიობთა თეატრში 11 მაისს შედგა. რეჟისორმა გოგი მარგველაშვილმა სპექტაკლი თავდაპირველად თეატრალურ ინსტიტუტში დადგა და იგი მოცულობითაც უფრო დიდი იყო, ვიდრე მისი საბოლოო ვერსია, თუმცა წარმოდგენა მაინც ე. წ. long play-ს კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ, რადგან იგი სამ საათზე მეტ ხანს გრძელდება.

სცენაზე პირველი ლორენცო (მიხეილ ჯოჯუა) ჩნდება, იგი ღრმა ორმოდან ამოძვრება და ჰამლეტის მესაფლავესავით, თავის ქალებით "ჟონგლიორობას" იწყებს, ბანქოს ქაღალდივით ჩამოარიგებს რომეოს, ჯულიეტასა და პარისის მჩატე თავისქალებს და თხრობას შეუდგება. მაყურებელი პირველივე სცენიდან აცნობიერებს, რომ სპექტაკლში ყველა და ყველაფერი ლორენცოზე ჰკიდია: ჯულიეტაც, რომეოცა და მერკუციოც. ისინი თითქოს მის ლოთურ წარმოსახვაში ბინადრობენ და რეჟისორიც სწორედ მისი წარმოსახვის იმედად ტოვებს ამ უძველეს პერსონაჟებს. მათ სიძველეზე ისიც მეტყველებს, რომ დასაწყისში მთავარ გმირებს მივიწყებული, დაკარგული სათამაშოებივით დაეძებენ და შემდეგ ძალზე უცნაურ ადგილებში პოულობენ. მაგალითად, ჯულიეტა (იამზე სუხიტაშვილი) ნაჭრის ტიკინასავით ჭერშია ჩამოკიდებული და ფეხებს აქნევს ნიადაგს მოწყვეტილი თუ საფუძველგამოცლილი. მაგრამ შემდეგ, მთელი სცენიური მოქმედება მისი დამიწებისკენ მიდის, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით: ანუ, ერთი მხრივ რეჟისორი ცდილობს გაცვეთილი ლიტერატურული მოტივის მოდერნიზებას, მეორე მხრივ კი თავად ჯულიეტა ისწრაფის გარკვეული დასასრულისკენ, ფინალური ქმედებისკენ, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, იმ ორმოშივე (თუ საფლავში) ვითარდება.

პერსონაჟებს თბილისურად (უფრო სწორად, თბილისის გარეუბნის ყაიდაზე) აცვიათ და საქციელსა თუ მეტყველებაშიც საკმაოდ შეიძლება ამგვარი დროის ნიშნების ამოცნობა - მიწისძვრა იქნება ეს, ე.წ. "ხლაპუშკები" თუ "არგო"-"ბორჯომის" ბოთლების ტრიალი. მსახიობების მეტყველებაც ხანდახან თავს აღწევს სავარჯიშოებისთვის დამახასიათებელ ფუჭ ენამოქნილობას და ძალზე საინტერესო აქცენტებით ავსებს კლასიკურ ტექსტს. აღნიშვნის ღირსია გიორგი ყიფშიძის მერკუციო, რომელიც ხმის უცნაური მოდულაციით ლათინურ-იტალიურ ჟღერადობას ანიჭებს ქართულ სიტყვებს (მაგალითად ტიბალტისთვის საბაბის მისაცემად საკმარისი ხდება მერკუციომ უბრალოდ ზუსტი აქცენტებით წარმოთქვას სიტყვა საბაბი). თუმცა, მეორე მხრივ არიან ჯულიეტა და ძიძა (რუსუდან ბოლქვაძე), რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთმანეთის სახელებს "ამუღამებენ" და მთელი სპექტაკლის მანძილზე სხვადასხვანაირად წარმოთქვამენ ამ ორ სიტყვას.

საერთოდ სპექტალი საკმაოდ მრავალსახოვანი გამოვიდა, მასში კულტურული მითებით სტურუასეული გატაცების გარდა თუმანიშვილური სილაღეც იგრძნობა (რომელსაც ძირითადად რუსუდან ბოლქვაძე აფრქვევს), თუმცა მგონი ზედმეტ სილაღედ უნდა ჩავუთვალოთ რეჟისორს ალან პრაისის კინომუსიკის გამოყენება სპექტაკლში. საქმე იმაში გახლავთ, რომ ლინდსეი ანდერსონმა თავის დროზე სწორედ თეატრიდან, ბრეხტის თეატრიდან წამოიღო ეს იდეა და შესანიშნავ მეწყვილესაც მიაგნო პრაისის სახით, გოგი მარგველაშვილი კი, როგორც ჩანს, მოერიდა პირდაპირ დასესხებოდა ბრეჰტს და რადგან ქართველ კურტ ვაილსა და ტომ უეიტსს (რომელიც ბოლო დროს ძალზე აქტიურად თანამშრომლობს რობერტ უილსონთან) ვერ მიაგნო, კინომუსიკის თავისივე მშობლის წიაღში დაბრუნება გადაწყვიტა.

ასევე საწყისებთან დაბრუნებად უნდა აღვიქვათ ლორენცოს "ჯადოქრობის" სცენაც. ამ სცენას კომპოზიციურად უნდა შეეკრა სპექტაკლი. იგი უძველესი მისტერიებისა თუ სატანისტური რიტუალის სტილიზაციას წარმოადგენს და მას განსაკუთრებული ზემოქმედება უნდა მოეხდინა მაყურებელზე (ძირითადად დიამანდა გალასის მუსიკის წყალობით), რათა კონტრასტს კიდევ უფრო მეტად გაესვა ხაზი ბოლო სცენის (და ზოგადად სპექტაკლის) თამაშებრივ, "სალაღობო-სამღერელ" ხასიათზე. ბოლო სცენა კი დაახლოებით ასეთია: მკვდარი ჯულიეტა ლორენცოს კისერზე ჰკიდია და ჯულიეტას გარდა, ლორენცო მთელ განვლილ მოქმედებასაც იკიდებს, უფრო სწორედ, თავს იძვრენს მისგან, რადგან თეატრის მუშები და დამლაგებლები შემოუსწრებენ. მას თავის მართლებაც აღარ შველის და ორიოდე ყლუპი არყის შემდეგ ლორენცოს იმავე ორმოში ჩაუძახებენ, საიდანაც ამოიკლაკნა (ანუ "ფსიქოს" ენაზე რომ ვთქვათ, ქვეცნობიერში გამოკეტავენ), ორმოში, რომელიც სცენიური მოქმედების მანძილზე ხან საფლავი იყო, ხან სარეცელი, ხან კი საკუჭნაო.

ხშირად ხდება ხოლმე ასე, გამოუშვებენ თეატრალური საკუჭნაოდან ჯინს (ანუ კლასიკას), რამდენიმე საათი ათამაშებენ და შემდეგ ისევ უკან მიერეკებიან. ვნახოთ, ეს ჯინი რამდენ ხანს მოახერხებს გარეთ დარჩენას.



ლორენცო - მიხეილ ჯოჯუა

იური ლობოდინის ფოტოები



რომეო - დათო როსტომაშვილი, ჯულიეტა - იამზე სუხიტაშვილი.

# "კასაბლანკა" პირველია

## ამერიკელებს სჯერათ, რომ კინოხელოვნება იხსნის სამყაროს




გიორგი გვახარია

"კასაბლანკა" ეკრანებზე მაშინ გამოვიდა, როცა ჯერ კიდევ ბევრს არ სჯეროდა ნაცისტებზე გამარჯვების. ფილმმა უდიდესი გავლენა მოახდინა მოკავშირეთა ქმედებაზე - ამერიკელმა მეომრებმა ირწმუნეს, რომ ბოროტებას ბოლოს მოუღებდნენ" - წერდა ინგრიდ ბერგმანის ბიოგრაფი, რეჟისორი ალან ბორჯესი ჯერ კიდევ 1981 წელს, დიდი მსახიობის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე.

1942 წელს ინგრიდ ბერგმანი, - როცა უნგრელი ემიგრანტის, მაიკლ კერტიცის ეს ფილმი ამერიკის ეკრანებზე გამოვიდა, - ჰოლივუდის პირველი ვარსკვლავი გახდა და პოპულარობით თავის თანამემამულეს, გრეტა გარბოსაც გაუსწრო. მაგრამ ომის დასრულების შემდეგ ბერგმანმა "ჰოლივუდის კოდექსი" დაარღვია; შეიძლება ითქვას, "საქვეყნოდ" უღალატა ქმარს, მიატოვა ოჯახი, გაემგზავრა იტალიაში და რობერტო როსელინიზე დაქორწინდა. იმხანად მას არ აპატიეს. ფილმებს, რომელშიც იგი მთავარ როლებს ასრულებდა, ამერიკელი დიასახლისები "ბოიკოტს უცხადებდნენ".

ამერიკელები დღეს "კასაბლანკას" ყველაზე რომანტიკულ ფილმად აცხადებენ ჰოლივუდის ისტორიაში. სამი დღის წინ ამერიკის კინოინსტიტუტის გამოკითხვაში "საუკეთესო ასი ფილმი სიყვარულზე" - მაიკლ კერტიცის ფილმმა თვით "ქარწაღებულებსაც" კი გაასწრო და პირველ ადგილზე გავიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკელებმა არა მარტო აპატიეს ინგრიდ ბერგმანს, არამედ გარკვეული თვალსაზრისით მისი ბიოგრაფიაც რომანტიკული სასიყვარულო ისტორიის "რაკურსში" მოიაზრეს. როგორც ჩანს ჰოლივუდში დღეს სხვაგვარად ესმით სიყვარული, ვიდრე თუნდაც 60 წლის წინ, როცა "კასაბლანკა" ეკრანებზე გამოვიდა.

არა და, ერთი შეხედვით, ამ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ "ასი საუკეთესოს" სიას რომ გადავხედოთ, ვიფიქრებთ, რომ ამერიკელებს საბოლოოდ გაუტყდათ გული თანამედროვე კინოზე და უმწიკვლო კლასიკას ანიჭებენ უპირატესობას. ფაქტია, რომ კინოინსტიტუტის გამოკითხვაში, რომელშიც 1800-მა კინოკრიტიკოსმა, რეჟისორმა და მსახიობმა მიიღო მონაწილეობა, ძირითადად ძველი ფილმები ჭარბობს (ახალი ფილმებიდან ასეულში მოხვდა მხოლოდ "შეყვარებული შექსპირი", გადაღებული 1998 წელს), ერთ-ერთი სურათი, გრიფიტის "გზა აღმოსავლეთისკენ" კი საერთოდ, 1921 წელსაა გადაღებული. გარდა ამისა, თავად "კასაბლანკაც" ხომ ჰოლივუდის კონსერვატორული მორალის ეტალონად ითვლება; ინგრიდ ბერგმანის გმირი ემშვიდობება შეყვარებულს (ჰემფრი ბოგარდს) და მიჰყვება მეუღლეს (პოლ ჰენრაიდს). "უმწიკვლო ქალებითა" და "ასპროცენტიანი მამაკაცებით" ჰოლივუდისთვის ტრადიციულ ტკბობას წარმოაჩენს ისიც, რომ "ასი სასიყვარულო ისტორიის" სიაში ყველაზე ხშირადაა მოხსენიებული ფილმები კეტრინ ჰეპბერნის (ექვსი ფილმი), ოდრი ჰეპბერნის (ხუთი ფილმი, მათ შორის მეოთხე ადგილზე გასული "რომაული არდადეგები"), კერი გრანტის (ექვსი ფილმი) და ჰემფრი ბოგარდის (ხუთი ფილმი) მონაწილეობით.

და მაინც, კინოინსტიტუტის გამოკითხვას ყურადღებით რომ ჩავხედოთ, უაღრესად საინტერესო ტენდენციას აღმოვაჩენთ. პირველ ათეულში მოხვედრილი ფილმებიდან სასიყვარულო ამბავი "ჰეპი-ენდით" მხოლოდ სამ ფილმში სრულდება. გარდა ამისა, ირკვევა, რომ ამერიკელ კინემატოგრაფისტებს საკმაოდ ორიგინალური დამოკიდებულება აქვთ ისეთი გრძნობის მიმართ, რასაც "სიყვარული" ჰქვია, როცა მე-18 ადგილზე გაჰყავთ ალფრედ ჰიჩკოკის ფილმი "თავბრუსხვევა" - სურათი ადამიანზე, რომელსაც უბრალოდ არ შეუძლია სიყვარული, უფრო სწორად, რომელსაც ეშინია სიყვარულის.. ასეთივე მოულოდნელობაა "ასეულში" ისეთი სურათების მოხვედრა, როგორიცაა "კინგ-კონგი", "გამოიცანი, ვინ ივახშმებს ჩვენთან"... და მთავარი სიურპრიზი - 48-ე ადგილზე გასული ბერნარდო ბერტოლუჩის "უკანასკნელი ტანგო პარიზში", რომელსაც ამერიკულ კინოსთან მხოლოდ ის აკავშირებს, რომ აქ მარლონ ბრანდოა გადაღებული, ხოლო რა საერთო აქვს ამ სურათს სიყვარულთან ("ჰოლივუდური გაგებით") და დანარჩენ 99 ფილმთან - ეს მხოლოდ იმ კინემატოგრაფისტებმა იციან, რომლებმაც ხმა მისცეს ბერტოლუჩის.

როგორც მოსალოდნელი იყო, ევროპულმა პრესამ ამერიკის კინოინსტიტუტის გამოკითხვაზე ბევრი იქილიკა (ისევე, როგორც წინა წლებში, როცა კინოინსტიტუტმა ასი საუკეთესო მსახიობი და ასი საუკეთესო ტრილერი დაასახელა), თუმცა "კასაბლანკას" გამარჯვება სნობიზმით ყოველთვის გამორჩეულ ევროპელ კრიტიკოსებზე უკეთ ახსნა ერთმა ფრანგმა ინჟინერმა www.club-internet.fr - ის "ჩატში": "კასაბლანკა" არის "ომი და სიყვარული" ამერიკულად, ამიტომ ეს ფილმი ისევ აიმედებს ამერიკელებს, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში გაიმარჯვებენ."

მაგრამ "კასაბლანკამ" ხომ "სასიყვარულო ფილმების" კატეგორიაში მოიგო... ე.ი. ჰოლივუდში სჯერათ, რომ კინო, უფრო სწორად, სიყვარული აუცილებლად იხსნის სამყაროს... გადამწყვეტ ბრძოლაში.

## ამბები

### ფუნჯით გაცოცხლებული „ულისე"

ირლანდიის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში 15 სექტემბრამდე ჯეიმს ჯოისის მოყვარულთათვის ძალზე საინტერესო გამოფენა იხსნება. წარმოადგენენ ცნობილი ბრიტანელი მხატვრის, რიჩარდ ჰამილტონის ნამუშევრებს "ულისეს" თემატიკაზე. როგორც ცნობილია, ჰამილტონმა ჯოისის ამ რომანის ვიზუალურ ხელოვნებაში გაცოცხლებას 50 წელიწადი მიუძღვნა. გამოფენის ორგანიზატორია ბრიტანეთის საბჭო და ლონდონის ბრიტანული მუზეუმი.

### ვენერა სენსაციურ ფასად გაიყიდა

ლონდონში "კრისტის" აუქციონზე ვენერას ანტიკური სკულპტურა გაიყიდა. ექსპერტების აზრით, ეს ქანდაკება 2 ათასი წლის უნდა იყოს. ვენერა უზარმაზარ თანხად – 11.7 მილიონ დოლარად გაიყიდა. ბუნებრივია, მყიდველის ვინაობა უცნობი დარჩა. თუმცა, მის მიერ ვენერაში გადახდილი თანხა მსოფლიო აუქციონების ისტორიაში ყველა რეკორდს ხსნის.

ექსპონატი ორი სახელით არის ცნობილი. მას ხან ჯენკინსის და ხანაც ბარბერინის ვენერას უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ მისი მფლობელი ერთხანს ინგლისელი ბანკირი ტომას ჯენკინსი იყო, 1765 წლამდე კი სკულპტურა რომში, პალაცო ბარბერინიში ინახებოდა.

### ყველაზე შემოსავლიანი მუსიკოსია...

სანამ U2-ს ვარსკვლავი, ბონო აფრიკელი ბავშვების საკითხს აშშ-ს ვაჭრობის მინისტრთან ლობირებდა, მის ჯგუფს ჟურნალმა "როლინგ სთოუნმა" წლის ყველაზე შემოსავლიანის ჯგუფის ტიტული არგუნა. ირლანდიელთა კვარტეტმა წლის განმავლობაში მოწყობილი ტურებიდან, გამოცემებიდან, ჩანაწერებიდან შინ 61.9 მილიონი დოლარი წაიღო. ამ მაჩვენებლით U2-მ დოქტორ დრის, "ბითლზს", "დეივ მეთიუს ბენდს" და მადონასაც გადაუსწრო.

"როლინგ სთოუნმა" 50 ყველაზე შემოსავლიანი მუსიკოსის სია მათ მენეჯერებთან, აგენტებთან ინფორმაციის დაზუსტების შედეგად შეადგინა.

U2-ს განსაკუთრებული ფინანსური წარმატება მოუტანა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში მოწყობილმა ტურნემ, რომელზეც ჯგუფმა ალბომი Elevation-ი წაიღო. ირლანდიელ როკერების შემდეგ, მეორე ადგილი დოქტორ დრიმ მოიპოვა, 51.0 მილიონი დოლარის შემოსავლით. მიუხედავად იმისა, რომ ლეგენდარული "ბითლზი" 30 წლის წინ დაიშალა, ჯგუფი თავისი შემოსავლებით დღესაც კი მესამე ადგილს ფლობს (მისი შემოსავალი 7.9 მილიონი დოლარია). "დეივ მეთიუს ბენდმა" კი წელს 3.4 მილიონი დოლარის შოვნა შეძლო და მეოთხე ადგილს დასჯერდა. საბოლოოდ, საუკეთესო ხუთეული მადონამ დააგვირგვინა თავისი 40.8 მილიონი დოლარით.

### ირლანდიური ფოლკლორი იამაიკური ვარიაციებით

2000 წლის შემდეგ შინედ ოკონორს მუსიკალურ სამყაროში ახალი არაფერი უთქვამს. ბოლო ალბომის Faith and Courage-ის შემდეგ შინედი მშობლიურ ირლანდიას უბრუნდება და ტრადიციული ირლანდიური სიმღერების ჩაწერას აპირებს. ალბომს Sean Nos Nua ერქმევა და იგი 8 ოქტომბერს გამოვა.

შინედ ოკონორის ამ წამოწყებას ირლანდიური ფოლკლორული მუსიკის ცნობილი შემსრულებლები უჭერენ მხარს. მათ შორის: შერონ შენონი და სტივ ვიკჰემიც. ოკონორის თქმით, სამუშაო პროცესი ივლისში უნდა დასრულდეს. "ვცდილობთ, ჩაწერისას ეს ძველი სიმღერები ახლებური რიტმითა და ინტონაციით ისეთი "სექსუალური" გავხადოთ, რომ ახალ სტილში ჩაჯდეს", - განმარტავს ოკონორი.

სწორედ ამ გეგმის ნაწილია ალბომზე სამუშაოდ იამაიკელი მუსიკოსების მიწვევაც. მათ ირლანდიურ მელოდიებს ეგზოტიკური ხიბლი უნდა მიანიჭონ. თანაც, იამაიკა და ირლანდიური მუსიკა შორი-შორს ისედაც არ დგანან. საუკუნეების წინ ირლანდიელი ტყვეები იამაიკაზე გაიქცნენ და კუნძულის ადგილობრივ მუსიკალურ ტრადიციებზე დიდი გავლენა მოახდინეს. ახლა, ირლანდიურ ფოლკლორში იამაიკური რიტმების ჩართვა ამ ურთიერთგავლენის წრის შეკვრა იქნება.

### უოკენი დიკაპრიოს მამასთან ერთად

ბარი ლევინსონის ახალ ფილმში, "შური" კრისტოფერ უოკენი ბენ სტილერსა და ჯეკ ბლეკთან ერთად ითამაშებს. Rock/Dream Works-ის ეს ახალი პროექტი ასახავს ორი ძველი მეგობრის ისტორიას, რომელთაც ურთიერთობა ერთ-ერთის გამდიდრების შემდეგ უფუჭდებათ. იგი ჰყიდის თავის გამოგონებას, მდიდრდება, მეორე კი შურით ივსება...

კრისტოფერ უოკენი Dream Works-სთან ბოლოს ფილმზე "დამიჭირე თუ შეგიძლიას" გადაღებებზე თანამშრომლობდა. სურათში უოკენთან ერთად ლეონარდო დიკაპრიოს მამაც მონაწილეობს.



# ყველა ჯეიმს ბონდის თავყრილობა



"მოქმედი" ბონდი თავის ქალებთან – ჰოლი ბერისა და როზამუნდ აიკთან – ერთად REUTERS

"ჯეიმს ბონდის" 40 წლის იუბილეს ლონდონის მეცნიერების მუზეუმშიც აღნიშნავენ. შემოდგომიდან იქ ბონდის ფილმების რეკვიზიტების გამოფენა მოეწყობა.

ღონისძიებას ასეც ჰქვია: "ბონდი, ჯეიმს ბონდი", რომელზეც წარმოადგენენ ბონდის კუთვნილ ავტომობილებს, კოსტიუმებს და სხვადასხვა ნივთებს 19 ფილმიდან.

"გამოფენა ბონდის თემატიკას მაინც განსხვავებულად შეეხება. ჩვენ შევეცდებით, საზოგადოებას სცენის მიღმა დეტალები ვაჩვენოთ. მაგალითად, შევეცდებით, აღვწეროთ დიზაინერების მუშაობის პროცესი, როცა ისინი ჯეიმს ბონდის იმიჯს ქმნიდნენ", - აცხადებს მუზეუმის წარმომადგენელი.

ზედ ზღურბლთან ასტონ მარტინის იმ მოდელს მოათავსებენ, რომელსაც "გოლდფინგერში" შონ კონერი მართავდა. სხვათა შორის, ამ მარკის ავტომობილი "თამაშობს" ჯეიმს ბონდის ახალ ფილმშიც, Die Another Day, რომელიც დიდ ეკრანზე შემოდგომიდან გამოვა. მეცნიერების მუზეუმში გამოფენის საზეიმო გახსნას კი ყოფილი და "მოქმედი" ჯეიმს ბონდებიც დაესწრებიან.

# ჯექსონი და მისი მინისტრი მეგობრები

მაიქლ ჯექსონი ბრიტანეთის მთავრობის წრეში გაერია. ამაში მას ძველი მეგობარი ლეიბორისტი ლორდი ჯანერი დაეხმარა. უფრო ზუსტად, ჯექსონის ვიზიტი ლონდონში პირადად ჯანერმა მოაწყო. გუშინ პოპ-ვარსკვლავი უესტმინსტერის სასახლესაც ეწვია. მას თანური გელერი, სახელგანთქმული ექსტრასენსი ახლდა. ჯექსონი ლორდ ჯანერთან ერთად, გელერთანაც მეგობრობს. მთავრობის სასახლის ორივე პალატის მონახულების შემდეგ ამერიკელი პოპვარსკვლავი ხაზინის ახლადდანიშნული მინისტრის პოლ ბოტენგის წვეულებას დაესწრო. გუშინ ბოტენგი გამინისტრებასაც აღნიშნავდა და დაბადების დღესაც. თუმცა, სანამ ბრიტანელ მაღალჩინოსნებთან ერთად მოილხენდა, ჯექსონმა ტრადიცია არ დაარღვია და საქველმოქმედო შოუ მოაწყო – შემოსული თანხა, ისევ ტრადიციულად, შიდსით დაავადებული აფრიკელი ბავშვების ფონდში გადაირიცხა.



მაიკლ ჯექსონი ლორდთა პალატაში REUTERS

# ლაგერფელდი ტანგოს ცეკვავს

მოდის მაესტრო, კარლ ლაგერფელდი, ბოლო ხანს, განსაკუთრებულად მხიარულობს. CFDA-ს დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ, ჩაინათაუნის ღამის კლუბში შეკრებილ მოდის სამყაროს ლაგერფელდმა კოქტეილები საკუთარი ხელით დაუმზადა. მომდევნო ღამე კი Neue Galerie-ში ტანგოს ცეკვაში გაატარა. რაც მთავარია, ლაგერფელდს პარტნიორობას ოსკარ დე ლა რენტა უწევდა. მოდის მაგნატებმა ტანგოს წარმოდგენა გერმანული და ავსტრიული ანტიკვარების ფონზე გამართეს – გალერეაში ამჟამად სწორედ 1890-1940 წლების გერმანული და ავსტრიული ხელოვნებისა და ავეჯის გამოფენა მიმდინარეობს. მაღალი მოდის "ფართის" მარიო ტესტინო, კრისტინა რიჩი და კიდევ სხვა ვარსკვლავებიც ესწრებოდნენ. მუსიკალური ფონი ტანგოს მოცეკვავეებს ავსტრიულმა როკბენდმა Vive la Fete-მ შეუქმნა. "გარშემო ბევრი არავინ ყოფილა, ამიტომ ოსკართან ცეკვა მომიხდა. ის მშვენიერი მოცეკვავეა. ბოლოსდაბოლოს, ლათინური წარმოშობის არის და რა გასაკვირია. თანაც, ტანგო ხომ კაცებისთვის შექმნილი ცეკვაა", - ასე აუხსნა ლაგერფელდმა "ნიუიორკ დეილი ნიუსს" ტანგოს პარტნიორად ოსკარ დე ლა რენტას შერჩევის მიზეზი.



ტანგოს დაწყებამდე... კარლ ლაგერფელდი მომღერალ მერიენ ფეითფულთან REUTERS

# TV პროგრამა 15 ივნისი

## რუსთავი - 2

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი
09.50 სერიალი "პოლტერგეისტი"
10.50 მულტსერიალი
12.00 სერიალი "ნიკიტა"
12.50 მხ.ფილმი
14.20 სიმფსონები
14.50 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა
15.40 მხ.ფილმი
17.00 ჯაზი
18.00, 00.00 კურიერი
18.20 მხ.ფილმი
20.00 ჯეოპოპი
21.00 კურიერი P.S.
22.00 ფსიქო. მხ.ფ. "ჩემს დას" რეჟ. კატრინ ბრია
00.15 მხ.ფ. "ალქაჯი ბლერიდან". მთ.როლებში: ჰერეზ დონაჰიუ, მაიკლ უილიამსი
02.00 ღამის ჯაზი

## პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
08.40 "გემრიელად მიირთვით, ბავშვებო"
08.55 ამბები ჩვენზე
09.20 "თქვენთვის, თქვენზე და თქვენს შესახებ"
09.35 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა
10.00 "დილის პაემანი"
11.00 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალური მატჩი
13.30 ბავშვები უპირველეს ყოვლისა
13.55 პოეზიის საღამო
15.00, 00.05 მოამბე
15.15 "საუკუნის გიგანტები"
16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალური მატჩი
18.30 ტელე-სინე-ვიდეო
19.00 ვესტნიკი
19.35 ტელეზღაპარი
20.00 ტაიმაუტი
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალური მატჩი (ვიდეოჩანაწერი)
22.50 ქიმერიონი
23.30 მეალომანია
00.15 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.35 მხ. ფილმი "პოლიციის კომისრის აღსარება რესპუბლიკის პროკურორისადმი"

## მეორე არხი

18.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
20.30 აფხაზეთის ტელევიზია
21.00 კონცერტი
22.00 "მოამბე" მეორე არხზე
22.10 მხ.ფილმი "ვარსკვლავეთის კარიბჭე"

## ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "ფუფლო"
12.00 პროგრამა "სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 მულტფილმი
16.00 ლაბირინთი
16.30 სერიალი "საიდუმლო ნიშანი"
17.30 თქვენი ადვოკატი
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
20.00 თინეიჯერი
21.35 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში"
22.00 ...და ღმერთმა შექმნა ქალი
22.40 თეატრალური შეხვედრები
23.40 მსოფლიო სპორტი"

## იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 09.50, 11.40, 20.20, 22.00, 23.55 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "ცხელი ზაფხული"
10.00 მხ.ფ. "ქალთა მოლხენა"
20.25 მხ.ფ. "არ თქვა არაფერი"
22.10 მხ.ფ. "მიწიერი სურვილები"

## პირველი სტერეო

07.30 "ცხოვრება სიტყვაში"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
13.00 "ცენტრი" განმეორებით
14.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
14.45 "მო" განმეორებით
18.00 "სველი ხაზი" განმეორებით
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძირობანა
22.00 "პაპარაცები" განმეორებით
23.00 პრეს-პრესი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "კოლეჯი", "ბლეიდი 2", "დიდი მსუქანი მატყუარა"
02.00 "ღამურა" მხ.ფ. "ნავახო - ბლუზი". მთ. როლებში სტივენ ბაუერი, შარლოტა ლიუისი
03.30 ნონ-სტოპი

## კავკასია

12.00 მხ.ფ. "მისი უდიდებულესობის სამსახურში"
14.10 მხ.ფ. "გასეირნება ამერიკაში"
16.00 მხ.ფ. "ჯერი მაგუაიერი"
19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
19.20 მულტფილმი
21.00 მხ.ფ. "ბრილიანტის ხელი"
00.40 მხ.ფ. "მულენ რუჟი"
01.00 მხ.ფ. "ალქაჯი ბლერიდან"

## მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 ლიმონი და ლიმონათი
09.35 მულტფილმი "ალექსი" მე-10 სერია
10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა"
11.20 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-10 სერია

11.50, 22.10, 23.30, 00.20 მუსიკა
12.05 მხ. ფილმი "ბანდიტები და ჯადოსნური რუქა"
14.00 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
14.45, 17.45 მულტფილმი "მხიარული მელოდიები"
16.20 მთავარი თემა
17.00, 19.40 დისქავერი
18.00 დოკ. ფილმი "უცნობი ჩაპლინი" მე-2 ნაწილი
19.00 გადაცემა "ჭკუის კოლოფი"
21.10 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.20 მხ. ფილმი "საცოლე ფოტოთი". მთ. როლებში იუკი კუდო, აკირა ტაკაიამა
00.40 მხ.ფ. "ძაღლის აჩრდილი" მთ. როლებში ფორესტ ვიტეკერი, ვიქტორ არგო

## აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 დრამა "უკანასკნელი სურვილი"
11.00 მსოფლიოს ხელოვნების ოსტატები "რემბრანტი"
11.40 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი
12.00,16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "კატები ძაღლების წინააღმდეგ"
13.40 "მზე აქ შემიჩერებია"
13.55 ვესთერნი "ახალგაზრდა მსროლელები"
16.15 მულტფილმი "პრინცი ჰოდონი და პრინცესა რანრანი"
17.30 სათავგადასავლო ფილმი უკანასკნელი რაინდი" 1 სერია
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "პრესდაიჯესტი"
19.40 "ყველანი ვართ პატარები"
19.50 სათავგადასავლო ფილმი "იამაკასი- ახალი სამურაები"
21.40 "ფოკუსი"
22.50 "პერსონა"
23.20 "Улово"
00.40 მხატვრული ფილმი "შვიდი წელი ტიბეტში"
03.30 თრილერი "აბსოლუტური ძალაუფლება"

## VII არხი

18.00, 21.45,23.00,01,55 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.25 აფიშა
18.30 მუსიკალური ტაიმაუტი.
19.00 "აჩიკუდა"
19.25 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით.
19.50 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
20.40 "ღამის კაპრიზი"
21.30 რაგბი. ზელანდია - იორდანია 1
22.40 კალათბურთი. ნ.ბ.ა.
23.50 მხ.ფ.ჟანრებში: - "პუდრა"
01.35 მუსიკალური ტაიმაუტი.
01.50 პრესის მიმოხილვა.

## ОРТ

07.45 х.ф. "ЛЕТУЧАЯ МЫШЬ" 1-я с.
09.00, 11.00, 16.00,
19.00 Новости.
09.15 "Незнайка на луне"
09.45 Слово пастыря.
10.00 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
11.45 ФУТБОЛ. 1/8 ФИНАЛА.
13.30 В мире животных
14.10 Здоровье
14.50 "Чтобы помнили". М. Глузский.
15.30 Дисней-клуб.
16.10 "Русский стлуэт".
16.40 х.ф. "МЕСТА ТУТ ТИХИЕ"
18.20 "Десятый бал" Александра Малинина.
20.05 Шутка за шуткой.
21.00 "Кто хочет стать милионером?"
22.00 Время
22.30 х.ф. "ТРЮКАЧ".
01.05 "Лучшие кинотрюки года"
02.35 х.ф. "ГОНКИ "ПУШЕЧНОЕ ЯДРО".

## РТР

07.15 х.ф. "ЗАСТАВА В ГОРАХ"
08.50 Кино-истории Глеба Скороходова
09.00 Диалоги о рыбалке.
09.30 Сериал "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ"
10.15 Военная программа.
10.30 Золотой ключ.
10.50 Здоровье и жизнь
11.25 Доброе утро, страна!
12.00 Телеигра "Сто к одному"
13.00 Наука и техника
14.05 Диалоги о животных.
15.05 Вокруг света.
16.00, 21.00 Вести
16.20 ФУТБОЛ. 1/8 ФИНАЛА.
18.30 Вести-Москва
19.00 Моя семья
19.55 Аншлаг
21.25 Зеркало
22.00 Фильм "ШУТ БАБА-ЛЮБА!"
23.40 Дневник чемпионата мира по футболу.
00.40 х.ф. "ДВОЙНИК" (США)
03.00 Церемония закрытия 13-го кинофестиваля в г. Сочи.

## НТВ

07.45 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО" 1-я с.
08.35 Ох, уж эты дети!
09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
09.15 фильм "КАЩЕЙ БЕСМЕРТНЫЙ"
10.20 Доктор Бранд. "Без рецепта".
11.20 "Чистосердчное признание"
11.50 "Женский взгляд" С. Немоляева.
12.25 Квартирный вопрос.
13.25 фильм "ИСПЫТАТЕЛЬНЫЙ СРОК"
15.25 Путешествия натуралиста.
16.05 Своя игра.
17.25 Профессия -репортер.
17.55 "Продолжение следует".
18.55 Док. сериал "Неизвестная планета".
20.45 фильм "ОХОТА НА ЗОЛУШКУ".
21.55 фильм "ДОЛГИЙ ПОЦЕЛУЙ НА НОЧЬ" (США)
00.00 Суперпоединок: Гатти и Робинсон.
01.30 фильм "ТАЙНАЯ ЖИЗНЬ" (США).

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო"ინფორმაზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 54, მე-14 სართული. ტელ: 32 23 71 იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში



ეკა ჯაფარიძის ალბომიდან "სადარბაზოები"

გურამ ციბახაშვილის ფოტო

...ფეტრის ძველ ქუდსაც
პაპის ხელით სიგრძივ
ჩაკეცილს
ისე ეკუთვნის მსახურება,
როგორც გვირგვინს,
ძვირფასი ქვებით განათებულ
სამეფო გვირგვინს...

...ძველი ნივთების
გაშლილ ბაზრობებს
შესევიან მეკობრეები.

ირიბ წარწერას -
"გაყიდულია",
ისე ეცნობი,
როგორც ნეკროლოგს.

გაცლილ ოთახს კი
ნესტიანი თუთუნის კვამლი
ფიქრებით ავსებს.

...და წერს პოეტი
ლარნაკების
კონსტიტუციას.

დათო მაღრაძე

C2 ჩვენთან, თბილისში
C3 არტ-კლუბი
C5 ქალაქური პროზა
C6 პერსონაჟები რომანისათვის
C8 SOS!

კონტექსტი

# საქართველოს ICOMOS-ის კომენტარები და განმარტებანი

## მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ბიუროს XXV საგანგებო სესიის მასალების გამო

### მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია

1972 წლის 16 ნოემბერს UNESCO–ს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია, 1946) გენერალურ კონფერენციაზე პარიზში მიღებული იქნა კონვენცია მსოფლიოს კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (იგივე მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია), ხოლო 1975 წელს იგი რატიფიცირებულ იქნა 20 სახელმწიფოს მიერ და ძალაში შევიდა. მას შემდეგ 118 ქვეყნის ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი 700-ზე მეტი კულტურის თუ ბუნების ძეგლი ირიცხება მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია ეფუძნება პრინციპს, რომ არსებობს გამორჩეული ღირებულების კულტურული და ბუნების მემკვიდრეობა, რომელთა დაცვა, კონსერვაცია და მომავალი თაობისთვის შენარჩუნება არა მარტო იმ ქვეყნის მოვალეობაა, სადაც ის აღმოცენდა, არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოებისა.

კონვენციის ძირითადი საზრუნავია ის ფაქტი, რომ იზრდება საფრთხე კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების და გაქრობისა, არამარტო დროის ფაქტორით გამოწვეული მიზეზების გამო, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გამო, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას და ართულებს საფრთხის აღკვეთას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად კონვენცია ძირითად პასუხისმგებლობას ძეგლის მოვლა-პატრონობისთვის მაინც ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრებს, თუმცა აღიარებს ამ საქმეში საერთაშორისო საზოგადოებრიობის მონაწილეობის აუცილებლობას.

### კონვენციის ადმინისტრირება

კონვენციის ადმინისტრირება ხდება უნივერსალური კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის დაცვის სამთავრობათაშორისო კომიტეტის (იგივე მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი) მეშვეობით, რომელსაც სამ წელიწადში ერთხელ ირჩევენ კონვენციის წევრი სახელმწიფოების გენერალურ კონფერენციაზე. კომიტეტი კონვენციის სუვერენული ერთეულია UNESCO-ს სისტემაში, იგი მოქმედებს ნაწილობრივ ავტონომიურად, რაც საშუალებას აძლევს კონვენციის არაწევრ ქვეყნებს, აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს, დარჩნენ ასოცირებულ წევრებად. ორი არასამთავრობო ორგანიზაცია - ICOMOS-ი (ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო კომიტეტი) და IUCN (ბუნების დაცვის საერთაშორისო გაერთიანება) წარმოადგენენ კონვენციის ოფიციალურ მრჩეველ ორგანიზაციებს. მესამე მრჩეველია ICCROM (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შესწავლის და რესტავრაციის საერთაშორისო ცენტრი) სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ზემოთ ხსენებულ ინსტიტუტებთან ერთად პასუხისმგებელია წარდგენილი ძეგლის შეფასებაზე, მასზე მიმდინარე მოქმედებების მონიტორინგზე და მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდიდან დახმარების მოთხოვნის შემთხვევაში ტექნიკური დახმარების შეფასებაზე.

### მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდი

კონვენცია ასევე აფუძნებს მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდს, რომელიც მოწოდებულია დახმარება გაუწიოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ძეგლისთვის საფრთხის თავიდან ასაცილებელ სპეციფიურ პროექტებს.

### მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესრულების სახელმწიფო პრინციპები

კონვენციის შესრულება ხდება სპეციალური დოკუმენტის – "მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესრულების სახელმძღვანელო პრინციპები" - მიხედვით. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს, როგორც კულტურის, ისე ბუნების ძეგლის ნუსხაში შესატან კრიტერიუმებს; ძეგლის წარდგენის, შეფასების, შეტანის და მონიტორინგის პროცედურას, ისევე, როგორც ძეგლის ნუსხიდან ამოღების პროცედურას და სხვა მრავალ მეთოდოლოგიურ თუ პროცედურულ საკითხებს.

საქართველომ, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის წევრმა ქვეყანამ, 1999 წლის დეკემბერში მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად წარუდგინა ორი ძეგლის ნომინაცია: ვარძია-ხერთვისის ისტორიული არეალი და თბილისის ისტორიული ნაწილი. ორივე ძეგლზე ნომინაციები მოამზადა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველომ.

მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში საქართველოდან უკვე ირიცხება: ქალაქი-მუზეუმი მცხეთა, ბაგრატის საკათედრო ტაძარი და გელათის სამონასტრო კომპლექსი (ქუთაისი), სოფელი ჩაჟაში (უშგულის თემი, ზემო სვანეთი).

მონუმენტი, შენობათა ჯგუფი ან ღირსშესანიშნაობა, რომელიც წარდგენილია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად, კონვენციის თანახმად, განსაკუთრებულად უნივერსალური ღირებულების მქონედ ჩაითვლება მაშინ, როცა ძეგლი უპასუხებს არსებული კრიტერიუმებიდან ერთს ან მეტს და აკმაყოფილებს ავთენტურობის ტესტს.

როგორც უკვე აღინიშნა, კონვენცია ძირითად პასუხისმგებლობას ძეგ-



ლის მოვლა-პატრონობისათვის თვით წევრ-ქვეყანას აკისრებს. შესაბამისად, მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად წარდგენილი ძეგლის მდგომარეობა და მენეჯმენტი უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესრულების სახელმძღვანელო პრინციპებს. ეს სწორედ ის პუნქტია, რომელიც ვერ დააკმაყოფილა საქართველოს მიერ წარდგენილმა ვერც ერთმა ძეგლმა.

### შეფასების პროცედურა და შედეგები

დადგენილი პროცედურა ძეგლის წარდგენის შემდეგ ითვალისწინებდა ICOMOS-ის მიერ ძეგლის შეფასებას. ამიტომ 2001 წლის მარტ-აპრილში, საქართველოში, შესდგა ICOMOS-ის მისია, რომელიც შეხვდა ხელისუფლების წარმომადგენლებს, შესაბამის სამსახურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ადგილზე გაეცნო ორივე ნომინირებული ძეგლის კონსერვაციულ მდგომარეობას, მათი მენეჯმენტის მდგომარეობას. ამის შემდეგ მისიამ ანგარიში წარუდგინა ICOMOS-ს, რის საფუძველზეც ICOMOS-მა გამოიტანა დასკვნა და რეკომენდაციები, რასაც შემდეგ უკვე დაეთანხმა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი და ორივე ნომინირებული ძეგლის შეტანა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში სამომავლოდ გადადო. საგულისხმოა, რომ ორივე შემთხვევაში მიზეზი ერთი და იგივეა: არადამაკმაყოფილებელი ადმინისტრირება, მართვის სტრუქტურის გაუმართაობა, უფრო სწორად, არარსებობა. ეს ფაქტი საკმაოდ ზუსტად ახასიათებს საზოგადოდ, საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დარგში შექმნილ მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ბიურომ ვარძია-ხერთვისის ისტორიული არეალი თავიდანვე, პირველი განხილვისთანავე აღიარა, როგორც გამორჩეული უნივერსალური ღირებულების მქონე ღირსშესანიშნაობა, მაგრამ მისი შეტანა ნუსხაში გადადო იმ დროისათვის, როცა წევრი ქვეყანა უზრუნველყოფს ძეგლის შესაფერის მენეჯმენტის სტრუქტურის დაგეგმვას. რაც შეეხება თბილისს, იგი მიიღეს პირველი განხილვით, მაგრამ არ დაუმტკიცებიათ, დაუბრუნეს ICOMOS-ს კიდევ ერთხელ განსახილველად, რათა საბოლოო რეკომენდაცია წარმოედგინა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ბიუროს XXV, საგანგებო სესიაზე ჰელსინკში. სწორედ ამ სესიაზე გადაწყდა საბოლოოდ: მიუხედავად იმისა, რომ ძეგლის გამორჩეული უნივერსალური ღირებულება ეჭვს არ იწვევს და დამაკმაყოფილებელია მისი ავთენტურობა, ისტორიული თბილისის შეტანა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში გადავადდეს. ICOMOS-ი ძეგლის ნუსხაში შეტანისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ქალაქის დასაცავად წამოწყებული ძალისხმევა, რათა შეიქმნას ისტორიული ქალაქის შესაფერისი ადმინისტრირების - მართვისა და დაგეგმვის მექანიზმები. ამასთან ერთად ICOMOS-ი გამორჩეულ ყურადღებას იჩენს ძეგლის მდგომარეობისადმი და აკეთებს განცხადებას - "ICOMOS-ი ასევე მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას მთელი ძალისხმევით დაეხმაროს ქვეყანას ამ მნიშვნელოვან საქმიანობაში.", ხოლო საბოლოო ფორმულირება გადაწყვეტილებისა შემდეგნაირია: "ძეგლის შეტანა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში გადავადდეს, რათა შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო გარემო, მართვის სტრუქტურა და ძეგლის რეაბილიტაციის, რესტავრაციის და ნომინირებულ არეალში ცვლილებებზე კონტროლის დაწესებისათვის აუცილებელი სახელმძღვანელო პრინციპები."

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ თბილისი, როგორც ქვეყნის დედაქალაქი, უკონტროლო განვითარების წნეხის ქვეშ იმყოფება და ვარძია-ხერთვისის არეალი ამ მხრივ შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. და მაინც, თბილისს ამ ეტაპზე გაცილებით მეტი შანსი ჰქონდა, მიეღო სტატუსი. როგორც ჰელსინკის სესიის მასალებიც მოწმობს, ამის ერთადერთი მიზეზი ის გახდა, რომ მისიამ ძალზე დადებითად შეაფასა თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვისათვის წამოწყებული საზოგადოებრივი ინიციატივები. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ შესაბამისი უწყებების მოუქნელობის ფონზე, ძალიან საინტერესო მექანიზმები ყალიბდება პროცესების სწორად წარმართვისათვის - თბილისის გარშემო ყურადღების კონცენტრაცია (სხვადასხვა პროგრამები, საგანგებო საპარლამენტო კომიტეტის შექმნა და ა.შ.) მისი ადმინისტრირების მოწესრიგების გარკვეულ გარანტად იქნა აღქმული, თუმცა არასაკმარისად. ამიტომ, საბოლოოდ მაინც გადავადდა მისთვის სტატუსის მინიჭება. ასე რომ, არაკორექტულია ფორმულირება, რაც ხშირად ფიქსირდება საინფორმაციო საშუალებებში, რომ ისტორიული თბილისი არ იქნა შეტანილი ნუსხაში აქ მიმდინარე უკანონო მშენებლობების გამო. სინამდვილეში, მართლაც ნეგატიურად შეფასებული თანამედროვე ჩარევები კი არ გახდა ამის მიზეზი, არამედ, არასაკმარისი ღონისძიებები, რომლებმაც ეს საფრთხე უნდა ააშოროს ძეგლს თავიდან.

კიდევ ერთი მცდარი ინფორმაცია ვრცელდება საინფორმაციო საშუალებებით, კერძოდ ის, რომ საქართველოს უარი ეთქვა თბილისის ისტორიული ნაწილის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანაზე (ვარძია-ხერთვისზე აქცენტი საერთოდ არ კეთდება). ეს ძალიან სერიოზული უზუსტობაა. დადგენილი პროცედურის მიხედვით, ძეგლის შეფასებასა და განხილვას 3 ტიპის გადაწყვეტილება შეიძლება მოყვეს: მიღებულია, გადავადდეს და უარი ეთქვას. უარი ნიშნავს, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი აღარ აპირებს ძეგლის განხილვას და იგი საბოლოოდ უარყოფილია. აღსანიშნავია, რომ შარშან, როცა თბილისსა და ვარძია-ხერთვისს განიხილავდნენ, 7 ძეგლს მართლაც უარი ეთქვა. ეს ფაქტი მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის პოზიციის გამკაცრებაზე მეტყველებს. ამ ფონზე მით უფრო სასიამოვნოა ისტორიული თბილისის გამორჩეული უნივერსალური ღირებულების ისეთი შეფასება, რომელიც ICOMOS-მა წარუდგინა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი საკითხი ზუსტად გაარკვიოს და გაითავისოს შესაბამისმა უწყებებმა, ხელისუფლებამ და სრული ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებას. რადგან, დადგენილი პროცედურის შესაბამისად, 6 თვის შემდეგ წევრმა ქვეყანამ უნდა მოაწყოს ე.წ. სემინარი, სადაც უნდა შეფასდეს, რა მდგომარეობაა ორივე ნომინირებული ძეგლის გარშემო, არის თუ არა პროგრესი მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის რეკომენდაციებთან მიმართებაში და ანგარიში მიაწოდოს კომიტეტს, რათა იგი თავის მხრივ გაერკვეს, არის თუ არა დრო ხელახალი განხილვისა. ჰელსინკის სესიის მასალებიდან კი ჩანს, რომ კომიტეტი თბილისთან მიმართებაში, სულ მცირე, მოელის, რომ: საგანგებო საპარლამენტო კომიტეტი დაამუშავებს საგანგებო კანონს, ქალაქის არქიტექტურული სამსახურები უზრუნველყოფენ დახვეწილი მენეჯმენტის სააგენტოს დაფუძნებას, სტრუქტურის განვითარებას და იზრუნებენ სარეაბილიტაციო პროგრამის შექმნაზე. ჰელსინკის საგანგებო სესიის მასალები ადასტურებს თბილისისადმი განსაკუთრებულ თანადგომას და მზადყოფნას დახმარებისათვის. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი ამ შანსის გამოყენებასაც ელოდება წევრი ქვეყნისგან. ანუ საქართველოს შეექმნა ხელსაყრელი გარემო, მიმართოს საერთაშორისო საზოგადოებას დახმარებისათვის იმ კონკრეტულ ღონისძიებებში, რაც მითითებულია კომიტეტის რეკომენდაციებში. ეს დახმარებები არა მხოლოდ ფინანსური უნდა იყოს, არამედ უფრო ტექნიკური (გამოცდილების და ცოდნის გაზიარება). რაღა თქმა უნდა, თუკი ქვეყანას ამ შანსის გამოყენების სურვილი და უნარი გააჩნია. სამწუხაროდ, არც რაიმე ქმედება ჩანს ამ მიმართულებით და არც სურვილი. ალბათ ისევ საზოგადოების აქტიურ პოზიციას შეუძლია, აიძულოს ხელისუფლება, გადადგას ეს ნაბიჯი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ძეგლი საპატიო სტატუსია და მას სულაც არ მოყვება მექანიკურად რაიმე გარანტირებული ფონდები, როგორც ეს ხშირად არის გაგებული. მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდის გრანტები, როგორც წესი, ძალიან მოკრძალებული პროგრამული და ტექნიკური დახმარებებია, მაგრამ, ნებისმიერი ქალაქის მერი თავდაუზოგავად იბრძვის ამ სტატუსის მოსაპოვებლად, სწორედ იმიტომ, რომ ამ პრესტიჟს შემდგომ იყენებს ქალაქის განვითარებისათვის. ანუ ეს წოდება ძეგლის მფლობელს უქმნის ხელსაყრელ პირობებს არა მხოლოდ გრანტების მისაღებად, არამედ ტურიზმის განვითარებისთვის, ინვესტიციების მოზიდვისთვის, შესაბამისად ქალაქის, რეგიონის თუ ქვეყნის განვითარებისათვის. თბილისის (ასევე ვარძია-ხერთვისის) შემთხვევაში კი ხელისუფლება ცდილობს, უგულებელყოს შექმნილი სიტუაცია და იმის მაგივრად, რომ იმოქმედოს, წუხილს გამოთქვამს ძეგლის ნუსხაში არშეტანის გამო.

*ნატო ცინცაბაძე*

ჩვენთან, თბილისში

თბილისის ურბანული განვითარებისა და მემკვიდრეობის საზოგადოებრივი სამეთვალყურეო საბჭოს

# საპროგრამო დებულებანი

**დედაქალაქის იერსახის გადასარჩენად შეიქმნა თბილისის ურბანული განვითარებისა და მემკვიდრეობის სამეთვალყურეო საბჭო, რომელშიც გაერთიანდნენ: ICOMOS-ი, კავშირი "ძველი თბილისი", ხელოვნების ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორია, ურბანული განვითარების ცენტრი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები, საქართველოს მოდერნის დაცვის ჯგუფი და გაზეთი "რეზონანსი". გთავაზობთ ამ გაერთიანებული საბჭოს მიერ შემუშავებულ საპროგრამო დებულებებს.**

თბილისის ურბანული განვითარებისა და მემკვიდრეობის საზოგადოებრივი სამეთვალყურეო საბჭოს მიზანია ცივილიზებული ურბანული პოლიტიკის მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ მიმართული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამოაშკარავება.

მუშაობის პრინციპი გულისხმობს სახელისუფლებო სტრუქტურებში მიმდინარე საპროექტო და სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესისადმი მონიტორინგის დაწესებას, სათანადო ინფორმაციის მოპოვებას და გავრცელებას, ინტერდისციპლინარული ანალიზის განხორციელებას და დასაბუთებულ რეკომენდაციათა მომზადებას. თბილისის ურბანული მემკვიდრეობის ღირსეული დაცვისათვის აუცილებელია მისი, როგორც საერთაშორისო დონეზე აღიარებული ურბანული ძეგლის ფართო პროპაგანდა. გამოსაკვეთია დედაქალაქის მთელ რეზერვთა გამოყენების აუცილებლობა ძველ თბილისში არსებული საყოფაცხოვრებო პრობლემების გადასაწყვეტად, მით უფრო, რომ განაშენიანების ეს სივრცე წარმოადგენს მთელი ქალაქის ძირითად ეკონომიკურ კაპიტალს. საბჭოსათვის არსებითია კონტაქტები მასმედიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მოსახლეობასთან და დაინტერესებულ სპეციალისტთა წრეებთან.

საბჭო ურბანული პოლიტიკისადმი საკუთარი დამოკიდებულების საფუძველზე, შესაძლებლობების ფარგლებში შეიმუშავებს დასაბუთებულ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართული იქნება არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

ადამიანს აქვს უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში, სახელმწიფოში არსებულ კანონთა ფარგლებში და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განკარგოს საკუთარი უძრავი ქონება. ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების დაკმაყოფილება არ უნდა მოხდეს დედაქალაქის ისტორიული ნაწილის ხელყოფის ხარჯზე, რაც ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს.

თბილისის ურბანული მემკვიდრეობის ჩართვა აუცილებელია მსოფლიო ურბანული მემკვიდრეობის ნუსხაში.

თბილისის ურბანული მემკვიდრეობა "ძველი თბილისი" არის საყოველთაოდ აღიარებული მსოფლიო მნიშვნელობის ურბანული ძეგლი. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ბიუროს მიერ მენეჯმენტის უქონლობის და შეუფერებელი ახალმშენებლობის გამო 2001 წლის 7-8 დეკემბერს მოხდა მსოფლიო ურბანული მემკვიდრეობის ნუსხაში "ძველი თბილისის", როგორც ერთიანი ურბანული ძეგლის შეტანის მხოლოდ გადავადება, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს შექმნილ საგანგაშო ვითარებას. უნდა შესრულდეს იუნესკოს რეკომენდაციები. უნდა გადარჩეს, აღდგეს პირველსახით და განვითარდეს თბილისის ურბანული მემკვიდრეობა "ძველი თბილისი", რათა მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ურბანული მემკვიდროების მსოფლიო ნუსხაში, იარსებოს, როგორც გამორჩეულმა, ცოცხალმა ურბანულმა ძეგლმა.

### დამოკიდებულება სახელმწიფო დაცვის ისტორიული ზონისადმი

თბილისში იურიდიულად არსებობს სახელმწიფო დაცვის განაშენიანების ისტორიული ზონა. მისი საზღვრები უნდა მოვიდეს შესაბამისობაში ისტორიულ ურბანულ ქსოვილთან. სახელმწიფო დაცვის ზონად გამოცხადდეს ქალაქის მთელი ისტორიული ნაწილი. გამოცხადდეს მორატორიუმი მშენებლობის წარმოებაზე და დაცული იყოს მორატორიუმი საპროექტო და სამშენებლო ნებართვების გაცემაზე, რაც იურიდიულად უკვე ძალაშია 2002 წლის 9 მაისიდან თბილისში მოქმედი ნორმატიული აქტის "უფლებრივი ზონირება" (რეგლამენტის) მოთხოვნათა საფუძველზე. უნდა მოხდეს ამ ზონის ფიქსაცია (მისი მომავალში პირველადი სახით აღდგენისათვის) იმ დრომდე, სანამ არ შეიქმნება მყარი (დღეს არარსებული) საკანონმდებლო და ფინანსური საფუძველი, რაც აუცილებელია ჩვენი ურბანული მემკვიდრეობის ღირსეული აღდგენა-რესტავრაციისთვის.

ისტორიულ ზონაში არსებული შენობები, რომლებიც ექვემდებარება კონსტრუქციულ გამაგრებას, უნდა გამაგრდეს, უსაფრთხო გახდეს ადამიანთა სიცოცხლისათვის და გამაგრებული სახით შენარჩუნდეს (პირველადი სახით აღდგენამდე). უნდა მოხდეს ისეთი შენობების ფიქსაცია (შემდგომში პირველადი სახით აღდგენის მიზნით) და დაშლა, რომლებიც არ ექვემდებარება კონსტრუქციულ გამაგრებას. იურიდიულად უნდა განისაზღვროს აღნიშნულ ნაგებობათა ტერიტორია და არსებულ მესაკუთრეთა უფლებები. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შენობის მეპატრონეები შესაბამისი საცხოვრებელი ფართით შენობის აღდგენამდე. ავარიული შენობის მესაკუთრის მხრიდან საკუთარი უძრავი ქონების გაყიდვის სურვილის შემთხვევაში სახელმწიფომ, შესაბამისი თანხის გადახდით უნდა შეიძინოს (სახელმწიფო დაცვის) განაშენიანების ისტორიულ ზონაში არსებული უძრავი ქონება.

### დამოკიდებულება განაშენიანების რეგულირების ზონისადმი

თბილისში იურიდიულად არსებობს განაშენიანების რეგულირების ზონა, რომლის საზღვრებიც უნდა გაფართოვდეს. ძეგლთა კატეგორიაშია ასაყვანი ამ ზონაში არსებული გამორჩეული შენობები, მათ შორის საბჭოთა პერიოდისა. 2001 წლის 9 აგვისტოდან საკრებულოს გადაწყვეტილებით მოქმედებს ნორმატიული დოკუმენტი "უფლებრივი ზონირება" (რეგლამენტი), რომელიც ქალაქის ხელისუფლების მხრივ იგნორირებულია. აუცილებელია "რეგლამენტის" რეალური ამოქმედება, რადგან იგი შექმნილ ვითარებაში ყველაზე მოხერხებულად დაიცავს განაშენიანების რეგულირების ზონის ურბანულ სახეს. ამ ზონაში არსებული ავარიული შენობები, რომლებიც აღდგენას ექვემდებარება, უნდა გამაგრდეს, ხოლო რომელთა აღდგენაც შეუძლებელია, უნდა დაიშალოს და აშენდეს ახალი, არსებული კანონმდებლობის მკაცრი დაცვით.

### დამოკიდებულება სხვა ურბანული ზონებისადმი

თბილისის სხვა ურბანულ ნაწილებში არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობა უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფალი, ოღონდ განხორციელდეს არსებული კანონმდებლობის მკაცრი დაცვით. ამასთან, დასადგენია იმ ობიექტთა ნუსხა, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენენ უახლოესი წარსულის ურბანულ მემკვიდრეობას. საგულისხმოა, რომ საჭიროებას წარმოადგენს თავად ძეგლთა ნუსხის გაფართოება და მათი დაცვის ხარისხების ზედმიწევნით განსაზღვრა. ეს შეეხება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ზონას. ქალაქის ამ ნაწილში უნდა მოხდეს ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტის მხარდაჭერა, რაც ტვირთად აწევს თბილისის ისტორიულ ნაწილს (სატრანსპორტო, საწარმოების, საცხოვრებელის და სხვა).

### დამოკიდებულება ლანდშაფტის დაცვის ზონისადმი

მკაცრად უნდა იქნას დაცული ყველა ის მოთხოვნა, რაც ეროვნული და საერთაშორისო ნორმებით არის აღიარებული ლანდშაფტური ტერიტორიებისადმი. უნდა გამოირიცხოს უხეში ჩარევები და უნდა გამოსწორდეს უკვე ჩადენილ უკანონობათა შედეგები.

### დამოკიდებულება სრული თვითმმართველობისადმი ქალაქ თბილისში

თბილისში აუცილებლად უნდა განხორციელდეს სრული თვითმმართველობა. სრული თვითმმართველობის არგანხორციელება ქვეყნის მმართველი ხელისუფლების მხრიდან არის თბილისში ხელისუფლების უზურპაცია და მოსახლეობის შეურაცხყოფა, ხოლო მოსახლეობის მხრიდან მერის არჩევითობის მკაცრად არმოთხოვნა - საკუთარი უფლებების შეზღუდვა. მხოლოდ სრული თვითმმართველობაა (მერის პირდაპირი არჩევნები) ჩვენს ქალაქში არსებული საყოფაცხოვრებო თუ საზოგადოებისათვის მტკივნეული პრობლემების მოგვარების გზა. მხოლოდ სრულად განხორციელებული თვითმმართველობის შედეგად მოსულ ხელისუფლებას ექნება ძალა იმისა, რომ სრულად დაიცვას ქალაქისა და მისი მოსახლეობის ინტერესები.

### დამოკიდებულება კანონმდებლობის აღსრულებისადმი

თბილისში არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებით საქმიანობაში მოქმედი კანონმდებლობა არ არის სრული, უმეტესწილად კი გამოუსადეგარია შეცვლილ ვითარებათა გამო, არ შეიძლება ითქვას, რომ იგი არ არსებობს. ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ ქალაქ თბილისში 2001 წლის 9 აგვისტოდან მოქმედი ნორმატიული აქტის "უფლებრივი ზონირების" (რეგლამენტის) მოთხოვნათა უგულებელყოფაზე აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მისი არქიტექტურული სამსახურის მხრიდან, რომელთა პრაქტიკული მოღვაწეობა წინააღმდეგობაშია ამ დოკუმენტთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღსრულებისათვის სავალდებულო დოკუმენტია. ამის დადასტურებაა ის, რომ (ჩვენი ინფორმაციით) არქიტექტურის სამსახურს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არცერთხელ არ უხელმძღვანელია ამ კანონით. ამასთან, "უფლებრივი ზონირების" (რეგლამენტის) წესებით განსაზღვრულია გარდამავალი პერიოდის მოთხოვნები და ვადები (9 თვე ქალაქის ცენტრალური ნაწილისთვის, 12 - პერიფერიისთვის), რაც ზონირების რუკების მომზადებაში უნდა გამოხატულიყო. 9 თვეზე მეტი გავიდა ამ კანონის იურიდიული ამოქმედებიდან, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. შექმნილ ვითარებაში 2002 წლის 9 მაისიდან "რეგლამენტის" მოთხოვნათა მიხედვით ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საპროექტო და შესაბამისად სამშენებლო ნებართვების გაცემა უკანონოა.

### დამოკიდებულება ინსტიტუციური მოწყობის მიმართ

უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ურბანულ და არქიტექტურულ სფეროებთან დაკავშირებული ინსტიტუტების რეფორმა, მათი მხრიდან მდგრადი ურბანული განვითარების, საჯარო ინტერესების და სამართლებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფის მიზნით.

კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვისათვის, ამ უმნიშვნელოვანესი დარგის სრულფასოვნად შესრულებისათვის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს უნდა დაუბრუნდეს და განესაზღვროს სახელმწიფო სტატუსი.

არტ-კლუბი

# ვინ ალა-მაჰმად ხანის მემკვიდრეა, ვინ - გმირებისა

## საუბრობენ დათო მაღრაძე და ლევან ჭოლოშვილი

დათო მაღრაძე: **- მინდა, ჩვენი საუბარი დავიწყო იმ ეპიზოდის გახსენებით, რაც გადმოცემით ვიცით. როცა რიყეს ანგრევდნენ, ელენე ახვლედიანი იდგა და ნერვიული სისწრაფით ხატავდა დასაღუპად განწირულ იმ სახლებს, ხელისუფლებამ ბულდოზერი რომ მიაყენა; ცდილობდა, მოლბერტზე მაინც გადაერჩინა, შემოენახა ხელისუფლების მიერ გასანადგურებლად გამეტებული შენობები... რა შეიცვალა მას მერე? შეიცვალა თუ არა ტენდენციები, დამოკიდებულება სიძველეთა მიმართ?**

ლევან ჭოლოშვილი: - იმ პერიოდში ბულდოზერები მარტო შენობებს კი არა, გამოფენებსაც მიაყენეს... გამოტეხილად რომ ვთქვათ, ბევრი არაფერი შეცვლილა. დღესაც ბევრი ჩემი მეგობარი დარბის ფოტოაპარატით, კინოაპარატით და ცდილობს, გადაიღოს დასაღუპად განწირული სახლები. ერთი ეგაა, რომ ადრე თუ მხოლოდ ელენე ახვლედიანი და ალბათ კიდევ რამდენიმე ადამიანი ცდილობდა ამ შენობების თუნდაც გამოსახულებების შენარჩუნებას, დღეს ასეთები ბევრნი არიან. სამწუხაროდ, სხვა არაფერი შეცვლილა. ამ საუკუნეში თბილისი უკვე მესამედ ინგრევა. პირველად - 20-იან წლებში, როცა მთელ საქართველოში დაანგრიეს ტაძრები, ეკლესიები და, ბუნებრივია, სხვა ნაგებობებიც; მეორედ - მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა გაანადგურეს თბილისიც, სხვა ქალაქებიც, მათ შორის, მოსკოვიც; და ეს პროცესი ხელახლა იწყება დღეს - როცა მსოფლიოს უამრავ ქალაქში ძალიან კარგადაა დაყენებული სიძველეთა გადარჩენის საქმე, თბილისი კვლავ ინგრევა.

**- ბოლო ათწლეულში უფრო მასშტაბური ხასიათი მიეცა ძველი უბნების განადგურებას. ახდა დავით კაკაბაძის წინასწარმეტყველება - მოვა ვერაგული ხელი და სარგებლის სანახავად დაანგრევს, მოსპობს სიძველეებსო; სამწუხაროდ, სწორედ ასე ხდება, ქალაქის საუკეთესო უბნები ნადგურდება ვიღაცის სარგებლისთვის და ვიღაცის ავადმყოფური ფანტაზიის განსახორციელებლად. ამ ტემპით თუ გაგრძელდება ძველი უბნებისადმი აგრესია, დაგრჩებათ კი მხატვრებს რამე დასახატი, მოლბერტით რომ გახვალთ ამ ქალაქში, იქნება კი რამე ღირებული?**

- ღირებული იქნება - იმ თვალსაზრისით, რომ გამოჩნდება, რა დამართეს ქალაქს - უარყოფითი კონტექსტით. თბილისი ისედაც პატარაა (ძველ უბნებს ვგულისხმობ) და თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა ნგრევა, რასაკვირველია, მალე აღარაფერი დარჩება. უბედურებაა, როცა მხატვრებს და პოეტებს უხდებათ ამაზე ზრუნვა. ერთი პოეტი წერდა, დენთში ვინც მღერის, ის პოეტი არ არისო. ეს, რა თქმა უნდა, ლამაზი სიტყვები იყო, რადგან თვითონ ის პოეტი დენთში მღეროდა. მაგრამ ის კი სიმართლეა, რომ როცა არ მოქმედებს კანონი, მაშინ უნდა იმოქმედოს საზოგადოებამ. მხატვრები და პოეტები არ ცდებიან, ისინი წინასწარმეტყველურად ხედავენ, ალღოთი გრძნობენ ბევრ რამეს. ეს მათი დანიშნულებაცაა. ამიტომაც არ მიკვირს, რომ პოეტები და მხატვრები პირველები იცავენ სილამაზეს.

საუკუნის დასაწყისში ბევრ ცნობილ არქიტექტორს - მაგალითად, კორბუზიეს - ჰქონდა რევოლუციური იდეები, იტაცებდა წმინდა რევოლუციური მოძღვრებები, - თუნდაც ფუტურიზმი, - და თავისი პროექტების განსახორციელებლად ყველაფრის დანგრევა სურდა. დრომ დაამტკიცა, რომ ეს რევოლუციური მსოფლმხედველობა, ეს უკიდურესობები არ იყო სწორი. დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქრისტიანული ფასეულობები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შემთხვევითი, რევოლუციური იდეები. ჩვენთან - იქნებ, იმის გამო, რომ არქიტექტორებს ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ - არიან ადამიანები, ვისაც დღესაც უნდათ ამ რევოლუციური იდეების გაგრძელება. კორბუზიე დღესაც იდეალია ბევრისთვის. უცნაური კია, თავის დროზე, როცა არქიტექტურის ფაკულტეტზე ვაბარებდი, მკითხეს, რომელი არქიტექტორი გიყვარსო; ვუპასუხე, კორბუზიე და რაიტიმეთქი და გასაუბრებიდან კინაღამ გამომაგდეს. დღეს კი კორბუზიეს იდეალად აცხადებენ ის არქიტექტორები, ვინც სტუდენტებს მის ხსენებას უკრძალავდნენ. თან ყველაზე მეტად აღტაცებას ჰგვრით ის, რაც ცუდი ჰქონდა - ნგრევისადმი სწრაფვა.

თანამედროვე, ნიჭიერი არქიტექტორი ძალიან კარგია თავის ადგილზე. მშვენიერია, როცა იგი ახალ ქალაქს აშენებს. ხანდახან ჩვენი არქიტექტორები მეცოდებიან კიდეც - აშენებენ კარგ შენობას, და იმის გამო, რომ მას სიონის ან მეტეხის გვერდით დგამენ, სულ მალე, ახალი თაობა იტყვის, როგორ შეიძლება, აქ ეს სახლი იდგესო და შენობაც დაინგრევა. არ შეიძლება, ძეგლის გვერდით დაიდგას ახალი შენობა. ეს არ შეიძლება რეგლამენტით, არ შეიძლება ელემენტარული წესების მიხედვით. არ შეიძლება ქრისტიანული ძეგლის, მისი გარემოს განადგურება. ბიზნესმენები ძველ ქალაქს იმიტომ ეტანებიან, რომ იციან - ეს ადგილია ფასეული. მაგრამ თუ ძველი ქალაქი მოისპო, მისი ფასეულობაც მოისპობა. ცოტაა ადამიანი, ვისაც ესმის, რომ ძველ ქალაქში უნდა აშენო გარემოს შესაბამისად, ისე, რომ ქსოვილი არ დაზიანდეს. საბოლოოდ აუცილებლად დაზარალდებიან ის ბიზნესმენები და არქიტექტორები, ვინც დღეს ასეთ ბარბაროსობას სჩადის. არადა, მათ შეუძლიათ ააშენონ შენობა, რომელიც შესაბამისი იქნება ძველი უბნისა, არა მარტო მასშტაბით, არამედ გარეგნული იერითაც. აგერ, მოსკოვში არბატი აღადგინეს. შენობები გარედან სრულიად ახალია, შიგნიდან კი შენარჩუნებულია ძველი ქალაქის იერი.

XX საუკუნეში მოხდა უდიდესი გარდატეხა ტექნიკაში და 10-20-იანი წლების შემდეგ სრულიად შეიცვალა არქიტექტურის სახე. ჩვენში რატომღაც არ ესმით, რომ საქმე ის კი არ არის, ყველა შენობა შედევრი იყოს, არამედ საქმე ისაა, ყველა შენობა ეპოქას შეესაბამებოდეს. ნევის პროსპექტზე შენობების უმეტესობა არ არის შედევრი, მაგრამ ეს პროსპექტი იმიტომაა შესანიშნავი, რომ გადმოსცემს ძველი ეპოქის სულს. ასეთია ძველი თბილისიც. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა და უცნაურია, რომ დღეს ამ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს. მითუმეტეს, რომ არსებობს საბჭოთა კავშირში შექმნილი რეგლამენტი და იგი დღესაც უნდა მოქმედებდეს.

ჩვენი არქიტექტორების მთავარი შეცდომაა ძველი, ტრადიციული ფასეულობების მოსპობა. ახლის ღირებულებას კი მომავალი გამოაჩენს. თბილისი იშვიათი ქალაქია; ესაა ქალაქი, რომელსაც ტოლსტოი პეტერბურგს ადარებდა, რომელზეც კნუტ ჰამსუნი წერდა, უნიკალური რელიეფი აქვსო, ქალაქი, სადაც XIX საუკუნის უდიდესი რუსი მწერლები მუშაობდნენ. არავითარი უფლება არა გვაქვს, დავანგრიოთ ეს სამყარო, რომელიც მარტო ჩვენ კი არ გვეკუთვნის, არამედ საერთაშორისო კულტურის ცენტრია, როგორც ნებისმიერი მნიშვნელოვანი ქალაქი; როგორც ქალაქი, რომელიც მდებარეობს ევროპასა და აზიას, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის; ქალაქი, სადაც შერწყმულია ძველი, ქრისტიანული ტრადიცია და მოდერნიზმი. და არ არის სწორი, დღეს ეს ყველაფერი მოვსპოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი ტექნოლოგიები განვითარდა. ეს არ ხდება არც ერთ კულტურულ ქვეყანაში. დემაგოგიაა ლაპარაკი იმაზე, რომ რაც დაინგრა, იმას აღარაფერი ეშველება. აღადგინეს მიწასთან გასწორებული ხიროსიმა, ვარშავა, აღადგინეს მოსკოვის ძველი ქუჩები, ბაქოშიც ცდილობენ, ახლის შენებისას დაიცვან ძველი უბნების სტილი. არ შეიძლება, იმ ადგილას, სადაც ვახტანგ გორგასალმა თბილისი დააარსა, სადაც მეტეხის, სიონის, ანჩისხატის უძველესი ტაძრები დგას, აშენო ის, რაც ძალიან ჰგავს თურქეთის პროვინციული ქალაქების იაფფასიან მშენებლობებს, იმ ქალაქებისა, სადაც კვალიც წაიშალა ოდესღაც არსებული ქრისტიანული კულტურისა. არ შეიძლება, ამგვარი იაფფასიანი მშენებლობები განხორციელდეს ერთადერთ მართლმადიდებლურ ქალაქში, რომელიც გადაურჩა ისტორიის ქარტეხილებს.

**- ეს ნამდვილი მკრეხელობაა, უკულტურობაა.**

- რასაკვირველია, უკულტურობაა, პროვინციალიზმია, მკრეხელობაა, ილია ჭავჭავაძე და ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანებად არიან შერაცხულნი. მათი სახლების დანგრევა იმიტომ, რომ იმ ადგილებში საცხოვრებელი კორპუსები ჩადგა და ხელი მოითბო, რა თქმა უნდა, მკრეხელობაა.

**- წეღან ბრძანეთ, დენთის სურნელში პოეტები არ მღერიანო... ელენე ახვლედიანის კულტურულ აქტს, რომლის გახსენებითაც დავიწყეთ, სიმღერას ვერ დავარქმევთ; იგი იმ წუთში კი არ მღეროდა, შველოდა, რითაც შეეძლო, იმით შველოდა დასაღუპად განწირულ სახლებს, იმ გარემოს გედის სიმღერა გადმოჰქონდა მოლბერტზე. ეს იყო მისგან "განწირულის სულისკვეთება", რომელსაც ცუდად არ უნდა ჩაევლო. ესაა ჭეშმარიტი ხელოვანის პოზიცია - მხატვარი აკეთებდა იმას, რაც შეეძლო. ეს ადამიანი სხვა ვერაფრით ვერ აღუდგა წინ საბჭოთა რეჟიმს, რაც შეძლო, ის მოახერხა და შთამომავლობას ტილოებზე შეუნარჩუნა ხელისუფლების აგრესიით პირისაგან მიწისა აღგვილი სახლები. დღეს, როცა საბჭოეთი დაიშალა, ხელოვანს მეტის მოხერხება შეუძლია. მიმაჩნია, რომ ხელოვანის მოვალეობაა, წინ აღუდგეს ძალადობას, რომელიც განპირობებულია უმეცარი ხელისუფლების პოზიციით. რომ არაფერი ვთქვათ ჩვენს ემოციებზე, იმაზე, რომ სილამაზე მუდამ შთაგონების წყაროა, ჩვენი უპირველესი მოვალეობა დღევანდელი საზოგადოების, მომავალი თაობის, თუნდაც წარსულის წინაშე არის ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა... ვისაც ასეთ პირობებში ემღერება, ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ როცა ქვეყანა იქცევა და გინადგურებენ იმას, რაც ყველაზე მეტად გეძვირფასება, პასიური პოზით ცქერა იმისა, თუ რა ხდება გარშემო, გაუმართლებელია. ეს უფრო ნარცისიზმია, ვიდრე ხელოვანის წმიდათაწმინდა მოვალეობის აღსრულება.**

- რა თქმა უნდა, ნარცისიზმია. მეტსაც გეტყვით - რაღაც მაზოხისტურიც არის საკუთარი ქვეყნის ხელაღებით განადგურებაში. რატომაა, რომ ყველა დიდი ავტორიტეტი - თუნდაც იგივე დავით კაკაბაძე, გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ის ახალგაზრდა მეცნიერები, ყველაზე უკეთ რომ ერკვევიან სიძველეების დაცვის სპეციფიკაში და თავგამოდებით ცდილობენ მათ გადარჩენას (მათ შორის ბევრი პროფესიონალი არქიტექტორია), ყველა დროში იცავს ძველ ქალაქს. ამ დროს უსინდისოდ გადმოდგება ვიღაც და პროფესიონალიზმზე გვიწყებს ლაპარაკს. როგორ გგონიათ, ჩემს მიერ ჩამოთვლილი ადამიანები არ იყვნენ პროფესიონალები და დღევანდელი თანამდებობების პირები ან არქიტექტორები, ვისაც სიძველეების დანგრევა უნდათ საეჭვო ღირებულებების შენობების წამოსაჭიმად, პროფესიონალები არიან? დემაგოგიაა, როცა ისინი პროფესიონალიზმზე გველაპარაკებიან. ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებზე უფრო მაღალი რანგის პროფესიონალები არ არსებობენ, არც საქართველოში და არც მსოფლიოში.

**- მე მეჩვენება, რომ ყველა პროფესიონალს თავისი ადგილი აქვს. მაგრამ ქალაქის ყოფა, ქალაქის გარემო არ არის მხოლოდ არქიტექტორების განსასაზღვრი. არქიტექტორთა ამქარი არ არის ერთადერთი, ვინც შეიძლება, მონოპოლია გამოაცხადოს ქალაქზე, რომელიც თითოეული ჩვენგანის კუთვნილებაა. ნებისმიერი საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ყველა მოქალაქეს სრული უფლება აქვს თავისი ქალაქის განვითარების მოწმე კი არა, მონაწილე იყოს. მით უფრო, ამის უფლება აქვს არტისტულ საზოგადოებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება თხუთმეტსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქალაქს, როგორიცაა თბილისი.**

- მე არ მინდა მკვახედ ვილაპარაკო, პირიქით, ვცდილობ, ჩვენკენ მოვაბრუნოთ ხსენებული თანამდებობების პირები და გავაგებინოთ - მათთვისვე აჯობებს, რომ მათმა შვილებმა იცხოვრონ ისეთ ქალაქში, რომელსაც აქვს ძველი უბანი.

**- ჩვენთან შეიქმნა ასეთი მექანიზმი: მოდის ნუვორიში თავისი განუსაზღვრელი მატერიალური შესაძლებლობებით, რომელსაც ყური მოუკრავს, რომ ძველ ქალაქში ცხოვრება პრესტიჟულია და უნდა აქ დამკვიდრება. მას ხელს უწყობს ჩინოვნიკური სამყარო და ეხმარება გარიგებებში ჩინოვნიკებთან დაახლოებულ ზოგიერთ არქიტექტორთან. მათი მეშვეობით ნუვორიში ახორციელებს თავის მიზანს - ძველ უბანში იშენებს საკუთარი გემოვნების შესაბამის შემზარავ სახლს და ამ ჯაჭვის ყველა რგოლი კმაყოფილდება. ზოგი - ქრთამით, ზოგი - თავისი აგრესიული პროექტების განხორციელებით. ნუვორიშს მიაჩნია, რომ ამ აქციით დაიმკვიდრა ადგილი ისტორიულ გარემოში, მექანიკურად გახდა ამ კულტურის მატარებელი და ახლა არავიზე ნაკლები აღარ არის, ჰგონია, რომ გარეგნული ატრიბუტიკის შეძენით სწორად და ჭკვიანურად წაიყვანა თავისი ოჯახის საქმე, რადგან ჩინოვნიკთან და არქიტექტორთან ერთად მოახერხა, გაენადგურებინა ისტორიული გარემო. ეს ყველაზე მკაფიოდ ჩანს აბანოთუბანშიც, ენგელსის ქუჩაზეც, ფეთხაინთანაც, მამადავითის ახლო-მახლოსაც. ჩვენი შეშფოთება გაათმაგდა მას მერე, რაც მიწისძვრით დაზიანდა ქალაქი და ამან სტიმული მისცა აგრესორებს. აქამდე თუ ფრაგმენტულად ანადგურებდნენ ძველ თბილისს, ახლა შეიძლება ამან მასშტაბური ხასიათი მიიღოს.**

- ამის გამო ხშირად ამბობენ, რომ მიწისძვრით დაზარალებულებს საცხოვრებელი უნდა მივცეთ. ეს არ არის არგუმენტი ძველი სახლების დასანგრევად. ახალი სახლის, მითუმეტეს, კორპუსის აშენებას, ნებისმიერ შემთხვევაში, რამდენიმე წელი დასჭირდება. ამ პერიოდში ქუჩაში დარჩენილი ადამიანები სადმე უნდა დააბინავო. დანგრევა და ახლის აშენება სასწრაფოდ არ გამოვა. ადამიანების დასახლებას კი სულაც არ უშლის ხელს ეპოქის შესაბამისი სახლის აშენება...

რაც შეეხება ჯანსაღი, კულტურული საზოგადოების ძალისხმევასა და ნუვორიშებს. ახლად გამდიდრებული უზირი კაცი საკუთარ თავს ვნებს. იგი ემსგავსება იმ ადამიანს, რომელიც მაღალ საზოგადოებაში მიიწვიეს, მაგრამ არ ესმის, რომ მაღალ საზოგადოებას თავისი წესები აქვს; რომ არ შეიძლება თავისი ახალი მანქანით დაეჯახოს მაგიდას იმ არგუმენტით, რომ ეს ავანგარდისტობაა, ან თანამედროვე საქციელია. სწორედ ესაა მისი პროვინციალიზმი. თუ უნდა, ძველი უბნის მკვიდრი გახდეს, ეს უბანი კი არ უნდა დაანგრიოს, არამედ პირიქით, უნდა შეინარჩუნოს; რაც უეჭველად დაუფასდება. ისიც ხომ უნდა იფიქროს, სად იცხოვრებენ მისი შვილები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიდი ცოდვაა, გაანადგურო ჩვენი უძველესი კულტურის ძლივძლივობით გადარჩენილი ნაწილი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: თბილისი - ისევე, როგორც ქართული მხატვრობა და პოეზია - სინთეზია აღმოსავლური და დასავლური კულტურისა. მეტსაც ვიტყვი: თბილისის რელიეფი, ნაშთი უძველესი გეგმარებისა, უძველესი ხნიდან მოდის. სასაცილოა, ამაზე ლაპარაკი რომ გვიწევს. წეღან მხატვრის ძალისხმევაზე, განწირულის სულისკვეთებაზე ბრძანეთ. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მხოლოდ მათ შემოქმედებაში გადარჩეს ჩვენი ფასეულობები. ხელოვანის მოვალეობაა რაღაცის გადარჩენა. ჰომეროსიდან მოყოლებული, ხელოვანი უმღერის იმას, რაც დაიღუპა - გმირს, ქალაქს - ტროას, პარიზს. თვით რევოლუციის გენერალმა და დიქტატორმა ნაპოლეონმაც კი უარი თქვა პარიზის ქუჩებში ბრძოლაზე და ქალაქის დანგრევას არჩია, დანებებოდა ინგლისელებს. თქვენ ხშირად ამბობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ის ძველი გარემო, ის კეთილშობილი სამყარო, სადაც უნდა დაიბადოს შემოქმედი. გეთანხმებით. ფიროსმანი განსაკუთრებული შემოქმედი კი არა, ევროპელი მოდერნისტების მიერ დაფასებული ერთ-ერთი მხატვარი იქნებოდა, რომ არა მისი გარემო - ერთი მხრივ, მართლმადიდებლური ხელოვნების ტრადიცია, რაც სწორედ ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა. და მეორე მხრივ, თბილისის გარემო, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი მოდერნისტები - ზდანევიჩები, კაკაბაძე, გუდიაშვილი. სწორედ ამ გარემომ - ტრადიციულის შერწყმამ უახლესთან - შექმნა ფიროსმანი. თუ შევინარჩუნებთ ძველ ქალაქს და თან განვახორციელებთ ახალ, ნოვატორულ იდეებს, ამგვარი სინთეზი აუცილებლად მოგვცემს კარგ შედეგს. სხვაგვარად შეგვრჩება იაფფასიანი შენობებით გაშენებული ქალაქი, სადაც ძველი აღარ იარსებებს. ეს მოგვიტანს ისეთივე შედეგს, რაც მოიტანა XX საუკუნის დასაწყისში უკიდურესობებით გატაცებამ. აღიარებულია, რომ მხოლოდ ძველის და ახლის სინთეზი იძლევა შემოქმედებით წარმატებებს.

**- წეღან ჰომეროსი ახსენეთ. მან ისეთი საინტერესო სამყარო შექმნა, რომელმაც ტროას გათხრებს მისცა სტიმული. მთელი კაცობრიობა დაინტერესდა, მართლა არსებობდა თუ არა იგი, ბოლოს, მიაგნეს და შთამომავლობას შეუნარჩუნეს, როგორც რეალური სამყარო. ჩვენთან პირიქით ხდება - ფიროსმანის სამყაროს ცხვირწინ გვინგრევენ და საზოგადოება ამ ვანდალიზმის არამარტო მოწმე, არამედ მონაწილეც ხდება, რადგან ამას ეგუება.**

- მაინც რა ხდება, რატომ ეგუება ამას საზოგადოება? ეს ხომ უმარტივესი, აღიარებული ჭეშმარიტებაა: სიძველე უნდა გადარჩეს. ძალიან უცნაურია საზოგადოების ასეთი პასიურობა ამ მხრივ. თუმცა იმ რამდენიმე ჯგუფის ძალისხმევა, ვინც ამ მოვლენას ებრძვის, განწირული მაინც არ არის. გარკვეულ შედეგებს უკვე ვხედავ. უკვე ალაპარაკდნენ იმ წრეებში, სადაც ამაზე არავინ ფიქრობდა. ეს შედეგია კავშირი "ძველი თბილისისა" და იმ ადამიანების ძალისხმევისა, ვინც ან თავისი სტატიებით ან ლამის ხელჩართული ბრძოლით უწევს წინააღმდეგობას ძველი თბილისის განადგურებას. ზოგი არქიტექტორი, მშენებელი თუ სპონსორიც დაფიქრდა ამ საკითხზე... დიდი იმედი მაქვს ეკლესიის მხარდაჭერისა. ეკლესია არ შეეგუება, რომ მისი სიწმინდეები და ქართველი ერის სიძველეები განადგურდეს.

მახსენდება ოთარ იოსელიანის ერთი ფილმი, რომელიც მან საფრანგეთში გადაიღო. ფილმში კვდება ძველი თაობის წარმომადგენელი, შემდეგ მოდის გამდიდრების წყურვილით შეპყრობილი უვიცი ადამიანი და ბოლოს, იაპონელი აშენებს იაპონურ სახლს პარიზში, ფრანგული შატოს ადგილას. ჩვენთან ასეთი რამ არ მოხდება იმ ხალხის და უწყების დახმარებით, ვისაც აღელვებს ჩვენი ქალაქის იერი.

**- ამ საქმით სტუდენტებიც დაინტერესდნენ. ეს კარგი ნიშანია.**

- რა თქმა უნდა. თავის დროზე დავითგარეჯის კომპლექსის გამო სტუდენტების გამოსვლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სტუდენტები ალბათ დღესაც დაგვეხმარებიან. რა თქმა უნდა, იმას კი არ ვგულისხმობ, რომ ამის მერე არქიტექტორები სტუდენტებს მიმართავენ კონსულტაციებზე. უბრალოდ, სტუდენტი იცავს სიძველეს. იცის, რომ ეს საჭიროა. დიდი განსწავლულობა არ სჭირდება იმის ცოდნას, რომ სიონი არ უნდა დაინგრეს და მისი მიმდებარე

გაგრძელება C4 გვერდზე











# ვინ ალა-მაჰმად ხანის მემკვიდრეა, ვინ - გმირებისა

## საუბრობენ დათო მაღრაძე და ლევან ჭოღოშვილი

C3 გვერდიდან

ტერიტორია არ უნდა დამახინჯდეს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა აშენდეს რამე და როგორ მოხდეს რესტავრაცია, სწორედ საამისოდ არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია. ეს უკვე მათი საქმეა და იმ არქიტექტორებისა, ვისაც სინდისი არ დაანებებს ძეგლების განადგურებას.

**- ჩვენში, მაღალი იერარქიიდან დაწყებული, ყველაზე დაბალი საფეხურის ჩინოვნიკების ჩათვლით, იმეორებენ, რომ დღეს, ამ სიტუაციაში, თბილისში აღორძინების პროცესი დაიწყო, რომ ქალაქი შენდება და მშვენდება, რომ ბევრი რამ კეთდება. იქნებ არტისტულმა საზოგადოებამ მიაწოდოს ამ ხალხს სარკე, რომ უფრო მკაფიოდ დაინახონ თავიანთი პოზიცია. თუნდაც თქვენს ესთეტიკაზე რომ ვთქვათ. უფრო სწორად, იმ პერსონაჟებზე, რომლებსაც მოიხმობთ თქვენს ესთეტიკაში. ესენი არიან ადამიანები, ვინც პირდაპირ კავშირშია იმ ფასეულობასთან, რასაც ძველ თბილისს ვუძახით. იქნება ეს ოფიცრობა, მათი ოჯახები...**

- ინტელიგენცია, სამღვდელოება...

**- ის არისტოკრატია, ვინც სულიერად ემემკვიდრა სამხედრო არისტოკრატიას. ეს ხალხი თავისი გარემოთი განუყოფელი ნაწილია ამ შენობებისა, ძველი ქალაქის სახეს რომ ქმნიან. მათი გამომეტყველება გაქრა დღევანდელი ფოტოებიდან, მართალია, მთლიანად არა, მაგრამ ისეთი სიმძაფრით აღარ შემოგვრჩა. მათი მშობლიური გარემოსადმი ასეთი მტრობა ხომ არ არის გადასხვაფერებული აგრესია, რასაც ხელისუფლება ახორციელებდა რეპრესიების დროს. იმ რეპრესიების გამტარებელთა სულიერი მემკვიდრეები ხომ არ არიან ავანსცენაზე, ჩვენი ქალაქის საუკეთესო ნაწილს რომ სპობენ ასეთი გამეტებით.**

- რაც შეეხება გამომეტყველებას... ძველი ფოტოგრაფიებიდან მუშაობა რომ დავიწყე, დავინახე, რომ განწყობილებით, გამომეტყველებით ძველ ფოტოებზე აღბეჭდილი ადამიანები მოგვაგონებდა ჩვენს ძველ ფრესკებს. მაშინ საქართველოში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ქრისტიანული, ფეოდალური სული. იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ შუასაუკუნეებში ცუდი არაფერი ყოფილა, მაგრამ რაც კარგი იყო, იმან საუკუნეებს გაუძლო და თავისი საუკეთესო გამოვლინებით მოაღწია. ეს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ახალ ეპოქას არ ჰქონდა განადგურებული. მერე ეს ხალხი ფიზიკურად გაანადგურეს. მხოლოდ ფოტოგრაფიები დარჩა. მათი გამომეტყველება იმიტომ იყო განსაკუთრებული, რომ ის ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ეპოქას ეკუთვნოდა (ვგულისხმობ არა ჩვენს რევოლუციას, არამედ მსოფლიოში რევოლუციურ გარდატეხებს). ასეთივეა დღეს ეს ძველი ქალაქი. მსოფლიოს უდიდესი მხატვრების გამოფენებზე შეგიძლიათ ნახოთ ორი ქართველის ნამუშევრები - ფიროსმანის ნახატები და ერმაკოვისა და როინიშვილის ფოტოები. რატომ? იმიტომ, რომ მათ აქვთ ის, რაც სხვაგან არსად არის. ფიროსმანს - ხატწერის მართლმადიდებლური ტრადიციიდან მომდინარე სიღრმე. ფოტოებზე კი ძველი თბილისის უნიკალურობაა აღბეჭდილი. თქვენ წარმოიდგინეთ, ძველი თბილისის ფოტოებიც კი საფრანგეთში ისევე ფასობს, როგორც, მაგალითად, პიკასოს ნახატები. ეს ხომ შემთხვევითი არ არის. ის, რის გადარჩენაც ჩვენ გვინდა, ფრანგისთვისაც ისეთივე ფასეულია, როგორც მისი საუკეთესო მხატვრის ნამუშევარი. აი, რას ვიცავთ, უფრო სწორად, რისი ნაშთის გადარჩენას ვცდილობთ. სხვათა შორის, 70-80-იან წლებში ხელისუფლებამ ძეგლთა დაცვასთან ერთად გარკვეული წვლილი შეიტანა სიძველეთა მოვლა-პატრონობის საქმეში. შექმნა რეგლამენტი, დააწესა საზღვრები, ჩაატარა ძეგლების რესტავრაციები. უცნაურია, რომ ხელისუფლება ამ საქმეს არ აგრძელებს. საბჭოთა კავშირის დანგრევის წინ დაწყებულ ტენდენციას არ აგრძელებს ახლა, როცა შესაძლებელი გახდა ქრისტიანობის აღორძინება, ძეგლების დაცვა... საყოველთაო ტრაგედია იქნება, XXI საუკუნეში თუ ჩვენს ქალაქს ვერ მივხედეთ.

**- თუმცა პარალელურად იქმნებოდა რესპუბლიკის მოედანი, ესე იგი, ნადგურდებოდა ზემელი, იმ პერიოდში სოლოლაკის არაჩვეულებრივ გარემოს უცბად თავზე დაამხეს მაშინდელი "ცეკას" და დღევანდელი კანცელარიის შენობა.**

- რაღა თქმა უნდა, ჯობდა, ასეთი შენობები საბურთალოზე ან თუნდაც ვაკეში ჩაედგათ. მაგრამ მაშინ შეუძლებელი იყო წინააღმდეგობის გაწევა, თუ მთავრობა რაღაცას გადაწყვეტდა. ისიც ხშირად მიფიქრია, რომ ნებისმიერ დროში საქართველოს ხელისუფლების ნაკლი არ არის მხოლოდ სუბიექტური მიზეზებით განპირობებული. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, და ვითვალისწინებთ კიდეც, რომ ხანდახან კომპრომისი საჭიროა. ხანდახან უბედურება ხდება, მაგრამ ამას ისეთი ობიექტური მიზეზები აქვს, რომ ყველა თანამდებობის პირს ვერ დაადანაშაულებ. არის სიტუაცია, როცა წინააღმდეგობის გაწევა არ ხერხდება. მაგრამ სავალალო ისაა, რომ დღეს ჩვენს თაობას მხოლოდ ადრე გაფუჭებული საქმეების გამოსწორება კი არ უხდება, არამედ ისევ და ისევ საჭიროა დაცვა სრულიად აშკარა ფასეულობებისა. ეს, უბრალოდ, გაუგებარია. არ მესმის, ვის რა დაუშავდება, რომ შევინარჩუნოთ ის ძველი ქალაქი, რომელიც ჩვენც გვეკუთვნის და მსოფლიოსაც.

**- თავს ვიტყუებთ, როცა წინასწარ ვგულისხმობთ, რომ ყველამ ვიცით ამ სიძველეების ფასი. გააჩნია, ვის მემკვიდრედ მიგაჩნია თავი შენი სულიერებით. როგორც არ უნდა შევალამაზოთ ჩვენი დღევანდელობა, ხელისუფლებისთვის ეს არ არის ფასეულობა. უბრალოდ, ამბობენ, რომ ამას უფრთხილდებიან და ეძვირფასებათ, მაგრამ ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვებია. ასე რომ არ იყოს, მაშინ არც ასეთი ქაოსური ვითარება იქნებოდა.**

- უცნაური კია: დღე და ღამე ჩვენი ტელევიზიით, მასმედიით მუსირებს თემა: ოღონდ ჩვენი ქალაქი იყოს კარგად... რა კარგია, რომ თბილისელი ვარ... აქებენ ძველ დროს, კინტოებს, თბილისის ქუჩებს... გამუდმებით ისმის სიმღერები - თბილისზე, ღვთისმშობელზე, ეკლესიაზე. ცოტა უცნაური ფონია საიმისოდ, რომ ასეთი გამალებით ანადგურო ის, რასაც აქებ.

**- ეგ პროპაგანდა ზუსტად ესადაგება იმ ტენდენციას, რომ ფასეულობები ნადგურდება. ასეთივე კამპანიური ხასიათისა იყო აქცია ძველი თბილისის გადასარჩენად, რაც იაფფასიან კოსმეტიკას დაერქვა. სხვათა შორის, მიწისძვრამ უფრო გამოააშკარავა იმ აქციის კამპანიური, ფარისევლური ხასიათი.**

- ასეთი ფარისევლობა რომ არ გაგრძელდეს, საჭიროა არა მხოლოდ გარეგნული გალამაზება, არამედ შენობების საფუძვლიანად აღდგენა - ისე, როგორც ხდება მთელ მსოფლიოში. თითოეული შენობა თავისი კომუნიკაციებით ძირფესვიანად უნდა იქნას შესწავლილი უკვე არსებული რეგლამენტით და უნდა ჩატარდეს აუცილებელი სამუშაოები მის გადასარჩენად. ზერელე შელამაზება არ არის საჭირო. იმ ადამიანს, ვისაც ჰგონია, რომ დაანგრევს და შერჩება, უნდა ეშინოდეს კანონის და იცოდეს, რომ ეს აკრძალულია, დანაშაულია მორალურადაც და კანონმდებლობითაც. დარწმუნებული ვარ, ის ადამიანები, ვინც იბრძვიან ძველი ქალაქის "გამომეტყველების" გადასარჩენად, დარჩებიან, როგორც ბარათაშვილის პოემაში ნახსენები უკვდავი გმირები, როგორც ის ადამიანები, ვინც თბილისი დაიცვეს; როგორც ის გმირები, ვისი სახელებიც არ ვიცით, და ვინც თავი გადადო დედაქალაქის გადასარჩენად.

**- ეგრეა, ზოგი ალა-მაჰმად-ხანის მემკვიდრეა, ზოგი იმ გმირებისა, ვინც სიცოცხლის ფასად დაიცვა დედაქალაქი.**

- არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯალალ-ედ-დინის შემოსევისას 100 000-მა თბილისელმა ღალატს სიკვდილი ამჯობინა. იმ წმინდანების მაგალითი მაინც არის საკმარისი, რომ რაც დაგვრჩა, ის გადავარჩინოთ.

## ტროტუარებო, წერეთ თქვენი მემუარები

ვახუშტი კოტეტიშვილი

# ჩემი ბავშვობის ქუჩა

ამ ქუჩას ადრე პეტრე დიდის ქუჩა რქმევია. მე იმ დროს არ მოვსწრებივარ. ბოლშევიკებმა, რასაკვირველია, "პეტრე არა, პავლეო" თქვეს და პირსისხლიანი ჩეკისტების ბელადის ძერჟინსკის ქუჩა დაარქვეს. ჩვენი ოჯახების უფროსი თაობის წარმომადგენელნი კომუნისტების ჯიბრზე მაინც პეტრე დიდის ქუჩას ეძახდნენ და ჩემს ბავშვურ მეხსიერებაშიც ამ სახელით არის აღბეჭდილი.

- ჩემი სახლი პეტრე დიდის ქუჩის თამადააო, - ასე ამბობდა თურმე მამაჩემი, ვახტანგ კოტეტიშვილი, როცა უნდოდა ვინმესთვის მიენიშნებინა ჩვენი სახლის ადგილმდებარეობა, რომელიც, თუმც მაშინდელი მთაწმინდის ქუჩაზე იდგა, მაგრამ ფასადის სარკმლებითა და მოჩუქურთმებული ულამაზესი აივნით სწორედ პეტრე დიდის ქუჩას გაჰყურებდა და აგვირგვინებდა.

ბავშვებისთვის სამყარო ხომ სარკმლიდან იწყება. მით უმეტეს, როცა ჯერ არც ეზოში გიშვებენ და ქუჩაში ბურთაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ჰოდა, ვიჯექ სარკმლის რაფაზე იდაყვდაყრდნობილი, ან კიდევ აივნის მოაჯირს ნიკაპჩამოდებული და გავცქეროდი გაძერჟინსკებულ პეტრე დიდის ქუჩას.

სად იყო მაშინ მანქანები? კვირაში ერთი-ორჯერ თუ აივლ-ჩაივლიდა ბორტებმორღვეული სატვირთო მანქანა და იმასაც ჟივილ-ხივილით ეკონწიალებოდნენ ქუჩაში მოთამაშე ბალღები. ამიტომაც იყო ქუჩა ბავშვების მიერ ეზოდ ქცეული. ტროტუარი გოგოების ასპარეზს წარმოადგენდა. საგულდაგულოდ ჰქონდათ "კლასობანას" სათამაშოდ დახაზული და იმათ ასკინკილა პარტყაპურტყს ხომ ბოლო არ ჰქონდა. თანაც რა გრაციოზულად გაიქნევდნენ ბაფთიან ნაწნავს და ტაკოგაბზეკილები, ვითომ სასხვათაშორისოდ, მაინც ბიჭებისკენ გააპარებდნენ ხოლმე მოჭუტულ თვალებს. შუა ქუჩა კი ბიჭებს საფეხბურთო მოედნად ჰქონდათ ქცეული. გამოლაგდებოდნენ უბნელი ბიჭები: გაიოზა, ლორიკა, ვანო, ალბერტა, იეზიდი რეზო და ვინ აღარ, გაიყოფოდნენ ორ გუნდად და გასდიოდა ბურიანგელი ბურთად წოდებულ, ჩვარ-ჩურებით გამოტენილ გაურკვეველ საგანს. მე ქუჩაში სათამაშოდ, რასაკვირველია, არ მიშვებდნენ. დიდედაჩემს, ფოფოდია ეკატერინეს, ამის თქმას, აბა, ვინ გაუბედავდა? ეტყოდი რამეს და სათანადო პასუხსაც მიიღებდი:

- მააშ, ჩემს საამაყო შვილებს ქუჩა-ქუჩა რო ერბინათ, განა იმდენ წიგნებს დაწერდნენ?! მტრედების ფშტვენა-ფშტვენაში იქნებოდნენ იაკინთეს პიანიცა ცოლისძმებივითა.

საოცარი ის იყო, რომ უბნელ ბიჭებში "სირისტიანის" სახელი მაინც არ მქონდა. ალბათ იმიტომ, რომ გრძნობდნენ, იმათაც ჩემი დიდედასნაირი ბებიები რომ ჰყოლოდათ, ასეთსავე დღეში იქნებოდნენ. ფოფოდიას სუსხი ყველას თავის კანზე ჰქონდა ნაგრძნობ-ნაწვნევი. ამიტომაც ბიჭები ჩემს მდგომარეობაში შედიოდნენ და ჩემდა სანუგეშოდ, მსაჯობას შემომთავაზებდნენ ხოლმე. ვიყავი აივანზე გადამდგარი და იქიდან ჩუმად ვმსაჯობდი, რომ დიდედას არ გაეგო, თორემ დაუყოვნებლივ შინ შემაგდებდა და ცხვირს გაშლილ წიგნში მიტაკებდა.

ერთ მშვენიერ დღეს ისეთი რამ მოხდა, რამაც შესძრა მთელი ჩვენი მყუდრო უბანი. ჩვენი მეზობელი ქალიშვილი, ზიზი, რომელიც ძერჟინსკის ქუჩის ბოლო ეზოში ცხოვრობდა, მოაცილა ახალგაზრდა კაცმა თავისი მსუბუქი მანქანით. ზიზი მანქანიდან ღაწვებშეფაკლული გადმოცქრიალდა, ხელში ლამაზი ყვავილების თაიგულით, თავის კავალერს ხელის დაქნევით დაემშვიდობა და ეზოში შესრიალდა.

უბნის დედაკაცებმა თვალები სჭყიტეს, ერთმანეთს რაღაც-რაღაცები გადაუჩურჩულეს და მრავლისმთქმელად გაისუსნენ.

მაგრამ საოცარი ის გახლდათ, რომ დედაკაცებს ჯერ ჩურჩულით, შემდეგ კი უკვე ღავღავით კაცებმა და ბიჭებმა გადააჭარბეს.

- ტო, ნახე ვინ იყო?

- ვიზე ამბობ?

- ვერ დაინახე, ზიზი ვინ მოაცილა?

- როგორ უნდა დამენახა, ტო, ტიპი მანქანიდან არც გადმოსულა.

- ბიჭო, რა გადმოსვლა უნდოდა? ნაღდი ბასა იყო, ტო.

- რომელი ბასა?

- ღოლობერიძე, გორსალ, თვალები ტ-ში გქონდა?

ეს ამბავი იმ საღამოს, რასაკვირველია, არ გარკვეულა. მეორე საღამოს იგივე სცენა რომ განმეორდა, მთელ უბანს უკვე ათასი თვალი გვქონდა გამოსხმული და ყურები ხომ ფიანდაზებად გვეფინა.

- ჰო, ბასაა ღოლობერიძე, ზიზის თხოულობს ცოლად, - დაგვიდასტურა გაიოზამ, რომელიც ამ საქმეში დიდი ავტორიტეტი იყო, როგორც ბიჭებზე უფროსი და ზიზის კარის მეზობელი.

გავიხარეთ, მაგრამ რა გავიხარეთ. ქართული ფეხბურთის ვარსკვლავი, მეორე ბორია პაიჭაძე, ჩვენი უბნის სიძე ხდებოდა. [illegible] კლასში [illegible] და მარტო ჩვენ, ბიჭ-ბუჭებს, კი არ გვიხაროდა, დიდებიც აღფრთოვანებულნი [illegible].

- ზიზი კაი გოგოა, [illegible] ლი, [illegible] ღმერთმა. [illegible] იბედნიერონ, [illegible] ალალია.

ასე დაასკვნა მთელმა მთაწმინდის უბანმა და ალალი სიხარულით და ზარ-ზეიმით გაისტუმრა საქორწილო მაყრიონი.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩემთვის ძერჟინსკის ქუჩა ბოლოდან ანუ ჩემი სახლიდან იწყებოდა და, ძირითადად, მეცნიერებათა აკადემიამდე გრძელდებოდა, სადაც ჩემი და, ლეილა, მუშაობდა მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. მე ეს მანძილი, რასაკვირველია, გაზომილი მქონდა. ჩვეულებრივ თუ ვივლიდი, ორას ნაბიჯამდე იყო, მაგრამ თუ რაიმეს ჩავიფიქრებდი, რისი ასრულებაც ძალიან მინდოდა, ასორმოცდაათ ნაბიჯში უნდა გამევლო, რასაც ვაივაგლახით, მაგრამ მაინც როგორღაც ვახერხებდი ხოლმე.

ჩემი სახლიდან რომ დავეშვებოდი, იქვე ტატიშვილების სახლი იდგა. ბელეტაჟის დიდი ფანჯარა კარგ ამინდში ყოველთვის ღია იყო. ვიცოდი, იქ მამაჩემის მეგობარი ერეკლე ტატიშვილი ცხოვრობდა. თუ მოპირდაპირე სადარბაზოს პატარა კიბეზე ფეხისწვერებზე დადგებოდი, თვითონ ძია ერეკლესაც დაინახავდი, საწერ მაგიდასთან მჯდომს და სქელტანიან წიგნებში ჩაფლულს. ოთახის კედლებზეც სულ წიგნებით გაჭედილი თაროები იყო. ეს იყო მთელი მისი ავლა-დიდება.

ვინ იცის, იქნებ სწორედ მაშინ ულრმავდებოდა იგი საკია მუნის სიბრძნეს ან კიდევ გულდასმით აყურადებდა, თუ რას ამბობდა ზარატუსტრა. [illegible]

[illegible] ცხოვრობდა ერეკლე და ვანო ტატიშვილების და, დეიდა ქეთო, დამსახურებული პედაგოგი, უგანათლებულესი ქალბატონი და უაღრესად კოლორიტული პიროვნება.

ტატიშვილების ოჯახის მომდევნო თაობა: თორნიკე, მზია, რატი და ირაკლი უკვე მეტ-ნაკლებად ჩემი ტოლები იყვნენ და მათთან მეგობრობა და სულიერი ძაფები მაკავშირებდა.

კიდევ ორიოდ სახლს ქვემოთ ცხოვრობდა ერთი ლამაზი გოგო, რომელიც ვინმე რამაზს უყვარდა "შექსპირული" ვნებათაღელვით (გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ). მთელი მთაწმინდის და ქალაქის სხვა უბნების კედელ-გალავნები აჭრელებული იყო წარწერებით: "ზიზი+რამაზი", რასაც ახლდა აგრეთვე ასეთი პოეტური შედევრი:

"ზიზი, ნუ ხარ ლამაზი,
მოგიტაცებს რამაზი,
შეგიკერავს ფაჩუჩებს,
ჩაგიკოცნის მაგ ტუჩებს."

ამ ოტელოსებური გზნების მხურვალებამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მაინც ვერ გაალღვო ზიზის გულის ყინული და ეს სევდიანი რომანი ცალმხრივ ღაღადისად დარჩა ძერჟინსკის ქუჩის უდაბნოსა შინა.

შემდეგ, ოდნავ სიღრმეში, იდგა ულამაზესი სახლი, რომელიც ადრე ალბათ აღმოსავლეთის რომელიმე ქვეყნის დიდებულ წარმომადგენელს ეკუთვნოდა, ვინაიდან ყოველი სარკმ- [illegible]

[illegible] ძია პავლე და ტკბილად მოჭიკჭიკე დეიდა ქეთო. არაჩვეულებრივი სილამაზის დიდი ბუხარი, უძველესი კაკლისა და წითელი ხის ავეჯი, უმდიდრესი ინგლისური და იაპონური ჭურჭლეული და, რაც მთავარია, ადამიანური სითბო, რომელიც გრადუსებით არ იზომება. ასეთ ატმოსფეროში დრო თითქოს ყოვნდებოდა და არ გადიოდა. როგორც შემდგომ მივხვდი, ის საათები სამუდამოდ გაჩერდნენ და დარჩნენ ჩემს გაცრეცილ მეხსიერებაში, როგორც რელიქვიად შემონახული სამუზეუმო ფოტოსურათები.

ამავე სახლში, ერთი სართულით ზემოთ, ცხოვრობდა ცნობილი ქართველი იურისტის შალვა მესხიშვილის ოჯახი. მე კარგად მახსოვს ბატონი შალვას კეთილშობილური იერი და მისი სიარულის დარბაისლური მანერა. ხოლო მის ვაჟებს, სპორტული აღნაგობითა და ჩაცმულობით გამორჩეულ გივი და ლადო მესხიშვილებს ხომ ყველა ბიჭი შევნატროდით და შევხაროდით. და როდესაც ისინი ჩვენს მოკრძალებულ სალამს შეამჩნევდნენ და სალმითვე გვიპასუხებდნენ, ჩვენს ბედს იმ დღეს ძაღლი აღარ დაჰყეფდა.

შემდეგი სახლი გამრეკლებისა იყო. ცნობილი თეატრალური მხატვარი ირაკლი გამრეკელი უკვე გარდაცვლილი ბრძანდებოდა. ღია სარკმლის მიღმა მოჩანდა სურათებით დახუნძლული კედლები. სარკმელში კი მხატვრის და - ქალბატონი ლიუტიკი, ტკბილმოუბარი და ალერსიანი ჩემსა და ლეილას მიმართ.

მომდევნო სახლში ცხოვრობდა ჩვენთვის განსაკუთრებით ახლობელი, ხიდაშელ-ვირსალაძეების ულამაზესი ოჯახი: შალვა ხიდაშელი, ელენე (ლოლოტა) ვირსალაძე და მათი შვილი, მანანა. ძია შალიკო და დეიდა ლოლოტა მამას ნასტუდენტარები იყვნენ და მისი დიდი თაყვანისმცემლები. ამ ოჯახში ვინ ვის სჯობდა შინაგანი თუ გარეგანი სილამაზით, ვერ გაარკვევდით. დეიდა ლოლოტა დედაჩემთანაც მეგობრობდა და როდესაც ორივენი ფეხმძიმედ იყვნენ, დედაჩემი ჩემზე და დეიდა ლოლოტა მანანაზე, ერთად სეირნობდნენ თურმე პეტრე დიდის, ანუ ძერჟინსკის ქუჩაზე.

დეიდა ლოლოტა ჩემთვის იყო ხატი სადედოფლო ქართველი მანდილოსნისა. უჭკვიანესი, უგანათლებულესი, დიდებული და, ამავე დროს, კდემამოსილი, თავის ირგვლივ საოცარ აურას ქმნიდა. შემდგომ, როდესაც მე მისი სიძე გავხდი, ღამეები თეთრად გვიტეხია 1937 წლის ამბების გახსენებებით, როდესაც იგი ოცდაოთხი წლის ასაკში დააპატიმრეს და სასწაულად გადაურჩა დახვრეტას. როგორ გაატარა ჯერ უკიდურესი ჩრდილოეთისა და შემდეგ შორეული აღმოსავლეთის საკონცენტრაციო ბანაკებში გადასახლების წლები, მაგრამ ვერ გააჩინეს კომუნისტმა ჯალათებმა მის გულში ბზარი, ვერ მოტეხეს, ვერ დათრგუნეს ამ საოცარი ქალის გმირული სული.

ელენე ვირსალაძეს ეს წიგნი დასაწერი დარჩა. მის ამ დაუწერელ მოგონებებს მელა შემოვრჩი ერთადერთ მემატიანედ. ეს იქნება "ჩემი წუთისოფლის" მეორე წიგნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავი. ამჯერად კი, რაც მოგახსენეთ, ამას ვიკმარებ.

ოდნავ ქვემოთ იდგა სუროთი დაფარული ულამაზესი სახლი, რომელშიც სანდრო შანშიაშვილის ოჯახი ბინადრობდა (ამჟამად მის ადგილზე საქართველოს პრეზიდენტის აპარატის შენობაა აღმართული). მის ქვემოთ კაკაბაძეების სახლი იდგა, რომელშიც საამაყო ძმები: ნოდარ და ზურაბ კაკაბაძეები ცხოვრობდნენ და მათი ბიძაშვილი, ცნობილი ჟურნალისტი და უჯიგრესი კაცი მიხეილ (კუწა) კაკაბაძე.

მომდევნო სახლში კი ცხოვრობდა ჩვენი თაობის ხატი, სიმბოლო ქართული უალალესი ნიჭიერებისა ლადო ასათიანი და ჭაბუკურ ასაკში ვაჟკაცურად ამარცხებდა ნაადრევად მომხდურ სიკვდილს.

და ბოლოს, აქ იდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ვის არ დაინახავდით მის უზარმაზარ კარიბჭესთან. ეს იყო ქართული აზრისა და გონის პარნასი. ეს ხალხი იყო, ვინც მშიერმა და მწყურვალმა, კისერზე მახვილდაღერებულმა და არაადამიანურ პირობებში ჩაყენებულმა, მაინც მოახერხა ქართული სულისა და გონის გადარჩენა, თაობები აღზარდა და საქართველოს სულიერი მთლიანობა შეუნარჩუნა.

დღეს ამ შენობის წინ ისევ ხალხმრავლობაა. მაგრამ აქ სულ სხვა ხალხი ირევა. აქეთ მოისწრაფიან მდიდრული "ჯიპებითა" და "მერსედესებით", "ფერარებითა" და "იაგუარებით" ისინი, ვინც სამთავრობო სავარძლებს ებღაჭებიან, ვინაიდან თავიანთი საჯდომების გარდა არაფერი ენაღვლებათ. ვერ გაიგებს კაცი, რაღა უნდათ? მათ წინამავალთა მიერ საქართველო ხომ უკვე გაყიდულია, დანამცეცებული და აკენკილი, მწყემსდაღუპული ფარასავით ნაპირებმორღვეული და შემოძენძილი.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, მე ორმოცდაათიოდე წლის მონაკვეთზე გესაუბრებოდი. ხომ არ გაფიქრებს ის მკვეთრი კონტრასტული სხვაობა, რომელიც ამ ერთი ქუჩის მაგალითზეც საკმაოდ ტრაგიკულად იკვეთება?

მართალი ყოფილა (წარმართობის მიუხედავად) ცხონებული ციცერონი: "ო ტემპორა, ო მორეს" რომ ჩიოდა. მართლაც "ვაჰ დრონი, ვაჰ ზნეობანი." თბილისურად რომ დავამთავროთ: "მახლას!".

**P.S. კომუნისტური რეჟიმის სასიკვდილო კონვულსიისას ქალაქის მერიაში გამომიძახეს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. დღის წესრიგში იყო ქუჩების სახელების გადარქმევა. თბილისის ბევრ ქუჩას აღუდგა მაშინ წართმეული სახელი, ან კიდევ უღირსი ღირსეულით შეეცვალა. დაისვა აგრეთვე ძერჟინსკის ქუჩის საკითხიც. კომისიის აზრი იყო, რომ მას მიკუთვნებოდა მამაჩემის, ვახტანგ კოტეტიშვილის სახელი. ბუნებრივია, ჩემი აზრის მოსმენაც ისურვეს. მე გამოვედი და ვთქვი: კომისიას დიდ მადლობას მოვახსენებ მამაჩემის ხსოვნისადმი პატივის მიგებისათვის, მაგრამ უმჯობესია, რომ ამ ქუჩას პავლე ინგოროყვას სახელი ეწოდოს, ვინაიდან ეს წმინდა პიროვნება აქ ცხოვრობდა-მეთქი. რაც შეეხება ვახტანგ კოტეტიშვილს, თუ მისი სახელის მიკუთვნება გნებავთ რომელიმე ქუჩისათვის, უმჯობესია ობოლაძის ქუჩას მიაკუთვნოთ, ვინაიდან ძერჟინსკის იმდენი ზიანი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც პირსისხლიანმა ჩეკისტმა ობოლაძემ მიაყენა-მეთქი.**

**კომისიის ზოგიერთმა წევრმა სინანულით აღნიშნა, ვახტანგ კოტეტიშვილის სახელისთვის ობოლაძის ქუჩა მეტისმეტად ვიწროა და მოკლეო.**

**ამაზე მე ვუპასუხე, ქუჩის სივიწროვეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვახტანგ კოტეტიშვილის სახლს თავის სახელობის ქუჩაზე ალბათ უფრო ემყუდროვება-მეთქი.**

**ასე მიენიჭა ერთმანეთს ჩახუტებულ ქუჩებს ძმასდნაფიცი შავჩოხოსნების პავლე ინგოროყვასა და ვახტანგ კოტეტიშვილის სახელები.**

**მე დაგვიანებულ მადლობას ვუხდი ქალაქ თბილისის მერიის მაშინდელ მრჩეველთა საბჭოს ჩემი წინადადების ყურადსღების გამო.**



ბესო გულაშვილის ფოტო

ქალაქური პროზა

აკა მორჩილაძე

# ძირს
# სიმინდის რესპუბლიკა!

- მე... - ნერწყვი გადაყლაპა - მე ვუთხარი, შევხვდეთთქო.

ღმერთო, რატომ გული არ გამისკდება. რატომაა ეს გოგო ასეთი საცოდავი?

- და მერე? მერე, რომ შეხვდები, რა?

- რა ვიცი, გაირკვევა.

- რა უნდა გაირკვეს? ამას ვილაც მესამე უპოვნია. რაღა უნდა გაირკვეს? მომისმინე. აი, როგორ იქნება. ეგ ისეთი ქალი ჩანს...

- გოგოა. გოგოს ხმა აქვს.

- გოგოა. მითუმეტეს. ეგ ისეთი გოგო ჩანს, აქ კაცის პოვნა არ გაუჭირდება. ეს შენი ბითური ზაზა მოიხმარა, თავი ჩამოაყვანინა, ბინა აქირავებინა და ახლა რაღათ უნდა? გაიხედა, გამოიხედა, სხვა კაცებიც დაინახა, - აღარ ვუთხარი, ეს შენი ლოქო რაღათ უნდათქო - შენ ვერ დაინახე, თორე... დაინახა და ამას იშორებს, ჰოდა გაუხეთქა საიდუმლო. გესმის?

- არა... მთლად მასე არ არის, - სიჯიუტე არანორმალური, - ეხლა ვერ გიხსნი. მაგრამ მთლად მასე არ არის. უნდა შევხვდე. ვილაც გოგო უპოვნია ქართველი. პატარა გოგო...

- ქართველი? - მშვიდობა შენდა ღმერთო, სად პოულობენ ამ გველეშაპის მუცელში ერთმანეთს ეს ქართველები?

- ინგლისელი მაინც ეპოვნა. უფრო გასაგები იქნებოდა.

- რატომ?

- რატომ და იმიტომ. თქვენ ტვირთი იქნებოდით მაგისთვის. იმ ქალისთვის კი თვითონ იქნება ტვირთი. ეგეთები ეხერხებათ ჩამოსულებს, ეგეთებს კადრულობენ?

- მე შევხვდები... მთლად ეგრე არ ჩანს. მე უფრო სხვა რამე ვიფიქრე.

სისულელე იყო. დიდი სისულელე. ეს ველარ გავიგე, დათოსთვის მეთქვა, თუ არა.

- მოვკლავ, - ისევ წამოისროლა.

- ჰო, კარგი, მოკალი, - ჩანთებს მივათრევდი სამზარეულოსკენ.

- არა. მე ვიცი, რასაც ვიზამ. ჯერ შევხვდები...

- მთავარია, გოიმობა არ გამოგივიდეს

## V თავი

ვა, რა მაგარი სტრანნი რამეა. ძაან სტრანნი რამე. ვინ არი ეგ ბიჭი, პაპა რიმსკია, ჰუ არ იუ, ტო? მანქანა სჭირდება, იასნია, უმანქანოთ ძნელია. პეპემ პრაკატიდან უნდა გაჩითოს, ძან სტრანნია. ორი ცოლი არ გეყოს... თან ვიკაიფებთ. ძაან მაგრათ ვიკაიფებთ. ეგება მიიწეწოს კიდეც. დაიშტრაფოს. აქაც რო გაეძრო სალაპარაკო? აქაც პლეხანოვია, ძმაო. სადაც მე ვარ, იქ პლეხანოვია... რა, ეგრე არ არი? ჰეი, მენ... ეგრე ითქმის, არა?

## მეფის თავი და რვა ზარი

- არ გგონია, რომ ამ წიგნებში ძალიან ცოტა ინგლისელია? - ეს ტელეფონშივე ვუთხარი. - ლონდონში მილიონობით ინგლისელი ცხოვრობს. აქ კი, რვაას გვერდზე მხოლოდ ორი ინგლისელია. ერთი ძველი მობსტერი, რომელიც, მგონი იმ ინვალიდის პროტოტიპია, ლუდის დასალევად რომ ჩამოვიდა რიო დე ჟანეიროდან, მეორე კი ინდუსი ბრძანდება და მასზე თაღლითი ძნელად რომ იპოვოს კაცმა, თანაც, პირველი კლავს მეორეს, უსახელო გმირს კი თავგზა აებნევა და ილინგში დასახლდება. თანაც, ეს სხვადასხვა წიგნებში ხდება. კიდევ ორია, მაგრამ... ჰო, მობსტერი ზალაპსკიც.

- ვერ დაგეთანხმები. ჯონათან სმოლი პირდაპირაა გადმოტანილი კონან დოილის წიგნიდან. მთელი ამბავი ამას ადასტურებს. ეს წიგნები კი Georgian London-ის ერთ ნაგლეჯს აღწერს. კარგი... როდის შევხვდეთ?

- დღესვე... ახლავე. ერთ საათში, - მაინც ვერ გადავეჩვიე მის წვალებას. საინტერესოა, მართლა ძალიან

*რომანის გაგრძელება. დასაწყისი იხ. "ქომაგი" NN9-10, 2002, „24 საათი" N0*

უნდა გიყვარდეს კაცი, როცა მის დაცინვა-გათამაშებას არაფერი გირჩევნია, თუ ეს ორი რამ ცალ-ცალკეა? - ოღონდ იმ პიცერიაში აღარ მოვალ. შენ და პიცა ერთად და ის "ბირა მოსეტი", შენ რომ სვამ ხოლმე, ძნელი გადასატანია ჩემთვის. ერთხელ მაინც კიანტი რომ შეგეკვეთა, კიდევ სხვა იქნებოდა. ასე კი, ვფიქრობ, რომ ჩემთან ყოფნით გაგითეთრდა თმა. ხვდები, რასაც ვგულისხმობ.

- ღმერთო ჩემო, მოდი, სამსახურში ვარ. აბა, სად და როდის? - როდის და ერთ საათში, პაბში, ერბანქმენტზე. ტომას მორის ძეგლი თუ გინახავს იქ? შეღებილი ტომას მორი არ გინახავს? იქით კიდევ არის ერთი შეუღებავი კაცის ძეგლი. გამოიცანი ვისი... აი, რომ გამოიცნობ, იმის უკანაა პაბი, "მეფის თავი და შვიდი ზარი". აი, იქ იჯდება ის ქალი. იცი, ვინც...

- მილ, დამცინი? კარლაილის ძეგლია. ოცჯერ მაინც ვყოფილვართ მანდ ერთად. ტომას მორზე მეტი საქმე მაქვს ახლა (სიტყვების თამაშია: more busy then Thomas More) შენ ხომ ფრანგული გიყვარს ყველაფერი.

- ლიტერატურის გარდა, - მოვუჭერი მე - კარლაილთან ვილაპარაკებთ, შენ ბელგიურ ლუდს დალევ, მე რომელიმე კაბერნეს. იქ აქვთ ბელგიური ლუდი. "სტელა დარტუა". ონკანი აქვთ. შენ გიყვარს ეგეთი ლუდები, - მგონი მეც ავიჭერი - ძეგლთან ვიდგები. აბა, გამოიცანი, ვის ძეგლთან?

- პიმლიკოში არ გამიშვა, - უკვე ის მოვიდა ხასიათზე.- მანქანას სად გააჩერებ?

- სადმე შიგნით. რა შენი საქმეა!

- მოკლედ. ახლავე გამოხვალ!

- ოც წუთში.

ათ წუთში ისევ დავურეკე.

- უკვე მანქანაში ზიხარ?

- ჯერ არა.

- არც მე. ჯანდაბას, ისევ იქ მოეთრიე, იმ ჩვენ "ძიციში".

- "ზიზიში"? ჩიზიკზე? - აი, როგორ გაეხარდა.

- ჰო. აბა, სად? თუ სხვა "ძიციში? სხვები დაგვყავდა? - ტელეფონი გამოვრთე და დავქოქე.

სულაც არ მშიოდა. არც კაბერნე მინდოდა. კაპუჩინო მედგა და ვუყურებდი, როგორ დასტრიალებდა პიცას და ბერძნულ სალათს. სამხრეთულად შენელებულ ზეთისხილებს ოსტატურად ითრევდა ჯამიდან. დიდი ქეიფი ჰქონდა, მოკლედ. ამ იტალიური ლუდის სმაც, მგონი, იტალიელებზე მადიანად შეეძლო. ორი დღის მშიერს ჰგავდა.

- ნერვიულობ და იმიტომ ჭამ ასე?

- როგორ ასე? ოთხი საათია. ლანჩის გარეშე ვარ. ბევრი საქმეა. საშინელება ხდება.

- რა საშინელება? მოდი, მარიხუანა მოვწიოთ და კარგად გახდები.

- გაგიჟდი? სადა გაქვს მარიხუანა? - იმხელა ლუკმა გადაყლაპა.

- ჩანთაში, - ჩანთას გადავწვდი.

- აქ არ ეწევიან. ეს ის კი არ არის...

- გარეთ მოვწიოთ, მანქანაში.

- მილ, მაცადე. რა მარიხუანა აგიტყდა.

- არაფერიც არა მაქვს, - გამეცინა მე - მართლა, იმ ექვსი წიგნიდან ხუთში რატომ არ ეწევიან მარიხუანას ან ჰაშიშს?

- ყველაფერი იმ მეექვსეში მოწიეს, - მართალიც იყო. - აბა, მითხარი, მილ, რას ფიქრობ? ლტოლვილებზე რას ფიქრობ?

- Georgian ლტოლვილი სულაც არ უნდა იყოს აქტუალური. ამაზე საერთოდ არ მიფიქრია. უფრო სხვა რამეებზე ვფიქრობდი, - მართლა ასე იყო. Georgian? - ამის მნიშვნელობა მე ვერ დავინახე. Georgian ქმარი რომ მყავდეს, სხვა იქნებოდა.

- ეს მითხარი, რომელი მოგეწონა ყველაზე მეტად? და ყველაზე უარესი რომელია? - დააძრო თავისი იტალიური ჩიბუხი და "სანდი ფენტეზის" კოლოფი - ყველაზე უკეთესი და ყველაზე უარესი. აი, ეს მინდა.

- ცალ-ცალკე არც ერთი არ ვარგა. ძალიან ჩვეულებრივია. ამ ხუთს ვგულისხმობ, იმიტომ, რომ ის მეექვსე ამათ ვერაფრით წაებმევა. ეს მოყვარულის დაწერილი წიგნებია, - სწორედ ასე იყო.

- ესე იგი, ურნა მოგიმზადო? - ეწყინა ჯიმის.

- მისტერ მაკენზი, მე არ ვიცი, შენ რა გინდა...

- მე მეგონა, დაგაინტერესა... მე მგონია, ვილაც აღმოვაჩინე, - შემომაფრქვია და შემომაფრქვია ის თავისი ორი წლის ნაზავის კვამლი, თვითონაც სულ გაიბურდა.

- ჰარი პოტერი ეს არ არის. გაიხედ-გამოიხედე, რა ხდება. გააკეთებ ჰარი პოტერს?

- ჰარი პოტერს ჰოლივუდი უნდა. ეს ბიჭი როულინგი არ არის. მეზღვაურის, ან დურგლის სახელი და გვარი აქვს. ხუთი რომანი აქვს, სავსე განცდებით, სექსით, დრამებით, წარსულით და ეს ყველაფერი ლონდონში ხდება. მე გეკითხები, რომელი უფრო მოგეწონა? შენ მპასუხობ, არც ერთი. მოგეწონა ერთი, რომელიც ამათ უნდა მოყვეს უკან. ასეა? - ისე ჩამოქნიდა მთელს აბზაცებს, ბზარს ვერ უპოვნიდი.

- აი, რა. მე ხუთივე ერთად მომეწონა, მაგრამ ხუთივეს ერთად ვერავინ წაიკითხავს. ცალ-ცალკე ნაგავია. ნაცრისფერია. ხუთივე ერთად იკითხება, მაგრამ ხუთივეს ერთად არავინ წაიკითხავს, სხვა რა გითხრა? - თითქოს არც მისმენდა, თავისას ფიქრობდა.

- ორმაგი ესპრესო, თუ შეიძლება და ამისთვის აირშქოფი...

- არა, მე არ მინდა... ორანჯი, მეტი არაფერი, - ძალიან მინდოდა, უფრო დაწვრილებით მელაპარაკა, მაგრამ ფიქრმა სხვა მხარეს გამაქანა. ვსხედვართ აქ და ვილაც არარსებული ადამიანის ლონდონურ ნაწვალებს ვარჩევთ, ის ვილაც კი საერთოდ აღარ არის ლონდონში და არსებობს თუ არა საერთოდ, ესეც არ ვიცით.

- კარგი, ყველაზე უფრო ვინ მოგეწონა ამ ხუთ წიგნში? - გამოცდას მიწყობდა.

- ბაბუა და შვილიშვილი. იცი, რატომაც, თუმცა, ყველაზე დიდ ტყუილს სწორედ ბაბუის ამბავი ჰგავს. ის ოჯახი არ მომეწონა, არც ის Georgian ყაჩაღი. თუმცა, მათი ამბავი ბევრად ნაღდია, ვიდრე ბაბუის. "ამჰერსტში" ოცი პატარა ისტორიაა, სულ სხვადასხვა ადამიანების. დანარჩენს ეს ქაქანებს. რა ვიცი, მენიპეაა? მენიპეაც არ არის. სიუჟეტების ზოგიერთი სვლა მშვენიერია.

- კვანძები, ხლართები? დასის სიკვდილი როგორია? როგორ... მე ეგ მირჩევნია.

- ხუთს ერთად არავინ წაიკითხავს. იცოდე, ჯიმი. ხუთივე ერთ წიგნად რომ იყოს, იმსისქე იქნება, რომ საერთოდ არავინ წაიკითხავს, იმიტომ, რომ საშინელებაა, იმიტომ, რომ ამ მოცულობით ეს სამყარო საინტერესო არ არის. ეს ყველაფერი რომ პარიზში ხდებოდეს, იქ უფრო დაინტერესდებოდნენ. ბერლინზე აღარაფერს ვამბობ, მშვენივრად იცი, რატომაც.

- რატომ? - თავი მოისულელა.

- გეტყვი რატომაც. ინგლისელისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინგლისელია. მერე ღმერთი. მერე არის უდიდესი სიცარიელე და ამ სიცარიელის შემდეგ დაბობლავენ ვილაც სხვები, კონტინენტის ადამიანები.

- ეგ ვინ თქვა? სვიფტის გაქანების ნათქვამია.

- ვინ და ბარიზონემ. ხომ გახსოვს? ლინგვისტია. ფლორენციაში ცხოვრობს...

- როგორ არა, ირლანდიელი ცოლი რომ ჰყავს.

- ანჯელა.

- ანჯელა როდის აქეთ ჰქვიათ ირლანდიელებს?

ახლა კი შემეძლო დამეცინა:

- ჰო, იტალიელია და ირლანდიელად ასაღებს თავს. ფრენკ მაკკარტის წიგნის ყდაც არ გინახავს?

- კი, "Angela's Ahes". (ნიუ იორკელი მასწავლებლის მოგონებათა პირველი წიგნი თავის ბავშვობაზე.)

- მერე ვიზეა?

- ირლანდიელებზე. კარგი, საქმეს მივხედოთ.

- იქაც ერთი იდიოტი ამბობს, ირლანდიელი როგორ იქნება, ანჯელა ქვიაო. მარტო ეს წინადადება ეყოფოდა პულიტცერს.

- ესე იგი, ერთი იდიოტი იქ ამბობს, მეორე აქ? - ცხვირი ჩაყო ფინჯანში და ორთქლმა დაუბინდა სათვალის შუშები.

- მისმინე, ჯიმი. მე შემიძლია, ერთადერთი რამ გავაკეთო შენთვის. ვფიქრობ, რომ გამომივა. ყოველ შემთხვევაში, იმაზე უკეთესი უნდა გამომივიდეს, რაც ახლაა. ხუთივე რომანი ერთ რომანად იქცევა.

თითქმის ისე დადუმდა, როგორც მაშინ. თითქმის.

- მაკრატელი? - იკითხა ბოლოს.

- რა თქმა უნდა, - მივუგე მე - არ მენდობი?

- რა სისულელეა, მაგრამ მისტერ ჯეფერსი რაღა შუაშია?

- მისი დაწერილია, - აღარაფერი უთქვამს - ეგ მისტერ ჯეფერსი უნდა ვნახოთ.

- ჰო.

- ძალიან გიყვარს Georgia?

- მილ. მე სულ სხვას ვფიქრობ.

- რას?

- როდის მაჩვენებ ყველაფერ ამას?

მეც სულ სხვას ვფიქრობ.

წამოვდექი, ჩანთა ავიღე და პალტო ჩამოვხსენი საკიდიდან.

- როცა... მოგწერ, ჯიმი. მითხარი შენი იმეილი.

- Jack.um Hyde. Dbl. uk.

- ღმერთო, ამგვარი რამ მაინც რომ იყოს ამ ხუთ წიგნში... წავედი.

- მოიცა, მეც მოვდივარ, - საფერფლეში ჩიბუხის ბერტყვას მოჰყვა.

- შენ არ მოდიხარ. უკვე კარგა ხანია...

და გამოვედი.

## "ისინი ჩამოვიდნენ"

ეს მოსალოდნელიც იყო, სხვანაირად არც იქნებოდა; დედას სამგზავრო ფუთა გამოკრული ჰქონდა და მთელი დღეები წინდებს ქსოვდა. ბიჭები სკოლიდან დაბრუნდებოდნენ და ხედავდნენ - კუთხეში მიმჯდარა და ქსოვს, არც უყურებს ჩხირებს, თვალები კი რაღაცისთვის გაუშტერებია. წინდები სხვადასხვა ზომისა იყო, წყვილ-წყვილად ელაგა ბუფეტის თაროზე. პატარა, ზუსტად მიხოს ზომა, უფრო დიდი არჩილასი, მერე კიდევ უფრო დიდები: ორ-ორი წყვილი, კიდევ უფრო დიდები და მერე მთლად დიდი კაცის სარგონი. ბიჭებს უკვირდათ, თუმცა, უფრო არჩილას. მიხო ათი წლისა თუ იქნებოდა და ასეთ რამეებზე არც კი ფიქრობდა.

დედას თავისი გადაეწყვიტა. იცოდა, წაიყვანდნენ და ისიც იცოდა, რომ თუ დაბრუნდებოდა, ძალიან დიდი ხნის შემდეგ. ეგებ საერთოდაც ვერ დაბრუნებულიყო და წინდებსაც ამიტომ ქსოვდა მეტი და მეტი ზომისას, დრო გავა, იზრდებიან და მერე ვინლა მოუქსოვს რამეს, წინდები კი კარგახანს ეყოფათო. სადღაც ეშოვნა მატყლის ძაფის ოთხი მოზრდილი გორგალი, რომელთაც მიხო სიხარულით ამოჰკრავდა ხოლმე ფეხს. სწორედ ის დრო იყო, ბასკები რომ ჩამოვიდნენ. ბიჭები რასაც დაგდებულს დაინახავდნენ, ყველაფერს ფეხს ურტყამდნენ.

მაგრამ დედა ცდებოდა. წინდები იქვე დარჩა, ბუფეტის თაროზე. უფრო სწორად, დედამ თითო წყვილის ჩატენვა მოასწრო. დედას ეგონა, რომ მას წაიყვანდნენ, ბავშვებს კი დედამთილის დას მიაბარებდნენ, როგორც ყველაზე ახლო ნათესავს. ეს ქალი, ქალბატონი კესო, ხშირად მოდიოდა მათთან და მიხოს სიმკაცრითა და გერმანულად წამოსროლილი ფრაზებით აკრთობდა. მიხო ვერ ხვდებოდა, რომ მამამისის დეიდა კესო, გერმანულზე მაშინ გადადიოდა, როცა თავის დისშვილზე ჩამოაგდებდა სიტყვას.

მიხოს და არჩილას მამა, კოტე მაჭავარიანი, რუსეთის არმიის როტმისტრი იყო, როცა ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადადგა და რუსეთმა რღვევა დაიწყო. თურქეთის ფრონტზე მებრძოლმა, ჯერაც უცოლშვილო ოფიცერმა ის გაწელილი და თითქოს დაუსრულებელი პირველი მსოფლიო ომი ამ ამბის შეტყობიდან ზუსტად ერთ თვეში დაამთავრა და იქიდან პირდაპირ თბილისისკენ გამოსწია, როგორც თავის პოლკოვნიკს უთხრა, საქართველოს გამოსახსნელად რუსული ჰიდრას კლანჭებისაგან. დეზერტირი როტმისტრი თბილისის საბჭოში გამოცხადდა და იქ ჩამომსხდარ ოდნავ დაბნეულ და დაქანცულ რევოლუციონერებს თავისი მისამართი დაუტოვა, თუ სროლა იყოს საჭირო, დამიძახეთო. თავად კი ქართველ ოფიცერთა კავშირის ჩამოყალიბებაში ჩართულ სამხედროებს შეუერთდა. საქართველო კარგახნის შემდეგ, ლამის ერთი წლის თავზე შეიქნა რუსეთისგან დამოუკიდებელი რესპუბლიკა, კოტე მაჭავარიანი კი, რომელიც მთელს ამ წელიწადს ებრძოდა ოსმალებს, გალეშილ ჯარისკაცთა ეშელონებს, ბოლშევიკ აგიტატორებსა და ტერორისტებს, გზის ყაჩაღებს, ხაზინის და ჯიბის ქურდებს საზოგადო ასპარეზზე, ხოლო შიშშილს, უქონლობას და გულგატეხილობას საკუთარ თავში, კაპიტნის ჩინით შევიდა ახალშექმნილ ქართულ ჯარში.

ორ წელიწადს და ცხრა თვეს ის იგივეს აკეთებდა, რასაც მეფის გადადგომიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. ეგ არის, რომ ცოლის შერთვა მოახერხა, თუმცა სად მოასწრო ამ ქალის შეყვარება, ყველასთვის საიდუმლოდ დარჩა. 1920 წლის გაზაფხულზე არჩილა დაიბადა. არჩილა რომ წლისა მოიყარა, ქვეყანა კვლავ რუსებმა დაიპყრეს და ისე გამოვიდა, რომ კოტე, რომელიც დამპყრობლებს ებრძოდა, ერთ იტალიურ გემზე მოხვდა სხვა ოფიცრებთან ერთად. გემს "ფერენ ჯუზენე მიროლა" ერქვა და გეზი მარსელისკენ ეჭირა სიცილიის თუ კრეტის გავლით. ოჯახში უკვე გამოტირებულ კოტეს ახალი, ბოლშევიკური მთავრობის საგანგებო კომისიის მუშაკები ეძებდნენ და გვარიანადაც აწვალეს მისი დედა და დეიდა, ცოლზე რომ აღარაფერი ეთქვათ. ეს საბრალო ქალი, არჩილაატატებული დაჰყავდათ. ხან დაკითხვებზე, ხანაც მეტეხის ციხეში, სადაც ორი-სამი კვირით გააჩერებდნენ ხოლმე, აქაოდა, კოტე გაიგებს, გული მოუკვდება და ჩაგვბარდებაო. ბევრი იყო მაშინ ასე, ქმრების მაგივრად ცოლებს იჭერდნენ და მძევლებად ჰყავდათ, თუ ქმარი ტყედ გასულიყო და იქიდან ებრძოდა ხელისუფლებას, უეჭველად ხელ-ფეხი დაებორკებოდა, რადგან გაზეთებშიაც კი აცხადებდნენ, ესენი და ესენი მძევლებად გვყავსო.

მაგრამ კოტე ტყეში არ იყო, პარიზის ახლო, კლერმონში ბინადრობდა ამხანაგებთან ერთად, შემთხვევითი სამუშაოთი მოიპოვებდა გროშებს და აქტიურად ჩართულიყო ემიგრაციის საპოლიტიკო ინტრიგებსა და ნაირგვარ საიდუმლო გეგმათა დამუშავებაში.

არჩილას არ ახსოვდა, მაგრამ ერთხელ დაიჩემა, მამა მახსოვსო, რამაც კინაღამ გულყრა დამართა ქალბატონ კესოს, დედა კი ათრთოლებულ, ცივ ხელს აფარებდა ტუჩებზე არჩილას, არჩილა კი გაჯიუტებულიყო და ჯიუტად იმეორებდა: "ნინა, ნინა!.. ასე იძახდა. შენ ხომ გქვია ნინა? ასე იძახდა, ბრტყელი ქამარი ეკეთა. აი, ამსისქე... მაჩვენეთ მამაჩემის სურათები..."

მიხოს, რომელიც მაშინ შვიდი წლისა თუ იქნებოდა, ეს ამბავი სამუდამოდ დაამახსოვრდა. არადა, არჩილა მართალი იყო. ნინას გული წაუვიდა იმ ღამეს, როცა სამზარეულოში შესულმა იქ სკამზე ჩამომჯდარი, მოკლე პალტოში სახეჩარგული გამხდარი კაცი დაინახა.

"როგორ შემოხვედი?" ამოიკნავლა დედამ.

"მაგის მეტი რა ვიცი, ნინა?"

დედა ჩაიკეცა.

იქით არჩილას ეძინა.

კოტე საიდუმლოდ, სხვისი სახელითა და გვარით შემოსულიყო ქვეყანაში, დაერღვია იატაკქვეშელის განაწესი საგანგებო სიფრთხილის შესახებ და შინ მოსულიყო. პალტოს მარჯვენა ჯიბეში პარაბელუმი ედო, მარცხენაში - ნაგანი. ნინა გონს კი მოსულიყო, მაგრამ ახლა შიშს დაერია ხელი. კოტეს თავის გეგმებზე არაფერი ეთქვა, დავალებით ჩამოვედიო, პარიზში ვცხოვრობდიო, ამ საქართველოს მაინც წავართმევ კომუნისტებსო და ორ საათში წასულიყო, გამქრალიყო სამზარეულოს ფანჯრიდან.

არჩილა მაშინ სამი წლისა იყო და დიდად არ ეხსომებოდა, ვინ ჰკოცნიდა მძინარეს, ამიტომ, მისი აჩემება უფრო გვიანდელი უნდა ყოფილიყო.

სამ თვეში კი მთელს ქვეყანაში აჯანყება დაიწყო, რომელიც სამ დღეში დამარცხდა და სამკვირიანი დახვრეტები მოჰყვა. ყველგან სისხლი იყო. ნინა კვლავ დაიჭირეს. თითქმის რვა თვეს ჰყავდათ საგანგებო კომისიის ახლად გამართულ სარდაფში. ყოველდღე გაჰყავდათ დაკითხვაზე და ერთსა და იმავეს ცდილობდნენ: "ქალო, სად არის შენი ქმარი?" ნინამ არ იცოდა. ამბობდა, 1921 წლის 10 თებერვლის შემდეგ აღარ მინახავსო. სამწელიწადნახევარი არ გინახავსო?- ბრაზობდა გამომძიებელი და იმ ღამის ამბავს მოუთხრობდა ზუსტად, სამზარეულოში რომ დაგიხვდა, ის როგორ იყოო. ნინა უარობდა. მერე გამომძიებელი დაიწყებდა, ახლა გაგაუპატიურებენ ყაჩაღებიო, არჩილას მოვაყვანინებ და ფანჯრიდან გადავაგდებო. და ასე დაუსრულებლად. ნინას ძალიან ეშინოდა, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ გამომძიებელი მუქარას არ ასრულებდა და თუ ძალიან გაბრაზდებოდა, სილას გააწნიდა ხოლმე, რაც სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ქალს გული წასვლოდა.

რვა თვის თავზე გამოუშვეს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი




# პერსონაჟები რომანისთვის

ფოტოატელიეს იატაკზე მოკალათებული ახალგაზრდა კაცი ირაკლი აფხაზია, ივანე აფხაზის, კარდენახული წარაფის ავტორისა და პედაგოგ ქეთევან ვახვახიშვილის ვაჟი, აგრარულ მეცნიერებათა შესასწავლად საფრანგეთში, ჯერ ქალაქ ბონესა და შემდეგ მონპელიეში ჩასული.

1913 წელია, სამშობლოში დაბრუნებამდე მთელი ხუთი წელიწადია წინ...

ხუთი წელიწადი სამშობლოში დაბრუნებამდე და ათი - დაჭერამდე...

ირაკლი ალალი ბიძაშვილია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებულთა ერთ-ერთი წინამძღოლის კოტე აფხაზისა, ვისაც 1923-ის მარტში აპატიმრებენ და მაისში ხვრეტენ ბოლშევიკები...

ირაკლიც დასახვრეტთა სიაშია, მაგრამ მის "საქმეს" "გუბერსკის" ზედამხედველი მალავს დროებით. გადამმალავი მათი, აფხაზების ყოფილი მოჯამაგირეა, ეროვნებით ოსი, ვისთვისაც ცხენი უჩუქებია ოდესღაც ირაკლის...

"წითელი ტერორი" რომ ჩაცხრება, დახვრეტას პატიმრობით უცვლიან და ციხიდან გამოსული, როგორც კი მუშაობის ნებართვას იღებს, სიცოცხლის ბოლომდე არ ღალატობს საყვარელ საქმეს...

მსახურობს შირაქის, დუშეთის, ახმეტის, მცხეთის მთავარ აგრონომად...

1938 წელს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს აარსებს ზუგდიდში...

საფრანგეთიდან ჩამოტანილ უძვირფასეს ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს...

აღესრულება 1968 წელს თბილისში, კრძალავენ საბურთალოს სასაფლაოზე...

მაგრამ ფოტოზე ჯერ 1913 წელია...

სულ ცოტა ხანში, ირაკლიმ ველოსიპედით უნდა მოიაროს მთელი Cote d'azure (ლაჟვარდოვანის სანაპირო), გოლფსა და კეპში გამოწყობილ ცხრამეტი წლის სპორტსმენს მომხიბლავი მზერები უნდა დაადევნონ სენ-რაფაელის, ანტიბისა და მონტე-კარლოს პლაჟებზე მონებივრე ფრანგმა ლამაზმანებმა...

ერთი სახლის ისტორია

გია ბუღაძე

# ინგოროყვას ქ. № 14

რაც უფრო მეტი დრო გადის და რაც უფრო ასაკში შევდივარ, მით უფრო ძვირფასი ხდება ჩემი ძველი ქალაქი, ჩემი ძველი ქუჩა, ჩემი ძველი სახლი. საკუთარი და შეჩვეული რამ დროთა განმავლობაში ან თავს გაბეზრებს, ან საერთოდ უსაშველოდ გაყვარებს თავს. ისიც ფაქტია, რომ რასაც ჰკარგავ, ან რაც ხელიდან გეცლება, უფრო მეტად ხვდები მის ფასს.

ახალგაზრდა იოლად ელევა წარსულს, რადგანაც შეიძლება ნაკლებად გრძნობდეს წარსულის მნიშვნელობის ძალას, მაგრამ დროთა განმავლობაში, ასაკის მატებასთან ერთად, უფრო მნიშვნელოვანი ხდება წარსულის "ლანდებთან" შეხება.

დაახლოებით ასე დამემართა მეც. წლები გადის და გული მწყდება - როგორ ვკარგავთ ჩემს ძვირფას სახლს, შენობას, ტრადიციას, როგორ ვკარგავთ თბილისის არქიტექტურის ისტორიისა და ჩვენი კულტურის ისტორიის ცოცხალ ძეგლს.

პავლე ინგოროყვას ქუჩის ისტორია საინტერესო და მრავალფეროვანია. რამდენადაც ვიცი, თავდაპირველად მას ლაბორატორიის ქუჩა ერქვა. თვით ქუჩაზე კი განლაგებული იყო მხოლოდ რამდენიმე შენობა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყოფილი მეცნიერებათა აკადემიის და ახლა კი "ქართუ ბანკის" შენობის ადგილზე იქნებოდა რაღაც სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების, სამედიცინო-ფარმაცევტული კაბინეტ-ლაბორატორია.

შემდგომ წლებში ამ ქუჩას პეტრე დიდის - ე.ი. რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის სახელი ეწოდა.

სწორედ ამ პერიოდში აშენდა ჩვენი სახლიც, რომელიც კარგად ჩანს ძველ ფოტოზე. წინა პლანზე სობორის სამხედრო ტაძარია აღბეჭდილი. ამ ფოტოზე ჩემი სახლი თითქმის ერთადერთია, რომელიც ფონად ჩანს.

ეს შენობა თბილისში მცხოვრებმა არქიტექტორებმა შექმნეს; მისი ქტიტორები, დამფინანსებლები და ამშენებლები სწორედ ზუბალაშვილები გახდნენ.

თვით შენობა, რომელიც აგერ თითქმის საუკუნენახევრის ქმნილებაა, არქიტექტურული თვალსაზრისით მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს თბილისური არქიტექტურული ეკლექტიზმისა. მასში არის ელემენტები, უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, იმიტირებები კლასიციზმისა, არტნუვო-მოდერნისა და თვით ორიენტალისტური სამყაროსიც კი. თუმცა კი არტ-ნუვოს ან იგივე იუგენდშტილს ელემენტთა ნაკლებობა, თვით შენობის დეკორირებისას იმასაც მიუთითებს, რომ იგი დაპროექტდა იუგენდ-შტილის საერთაშორისო, საყოველთაო სტილად ჩამოყალიბებამდე, თუმცა ხაზი იმას უნდა გაესვას, რომ თვით ეზოს ტერასულ წყობაში, ერთგვარად მის ხაზობრივ რიტმში "იუგენდის" სუნთქვაც ნაწილობრივ იგრძნობა. ფაქტობრივად, ჩვენს სახლში არ არის გამოკვეთილი "იუგენდური" - "მათრახის მოქნევის" მცენარეულ-იზომორფული თითქმის არც ერთი ელემენტი, თუმცა კი არის კლასიცისტური ევოლუციის ან იგივე მეცნიერული, "ვარდის" დეკორირებული რელიეფები. ფასადი მონუმენტური და საზეიმოა, ცრუ კოლონები საკმაოდ კარგად ნაძერწი ოთხი "ატლანტის" მხრებს ეყრდნობა და ისინი შენობის ფასადის გვერდითა ფლიგელებშია სიმეტრიულად განლაგებული, თვით ცენტრალური თაღი და მთავარი შესასვლელი მკვეთრად აღმოსავლური ხასიათის ხისჩარჩოიანი ვიტრაჟითა და ხის დეკორითაა მორთული, რომლის მსგავსი თბილისში სხვაგან არ მეგულება.

ეზო სამ ტერასადაა დაყოფილი. ულამაზესადაა განაწილებული კიბეთა სიმეტრიულ-რკალური წყობა, გათვლილია ყოველი მოძრაობა და ბრუნი თუ რკალი. საფეხურები მარაოსავით შემორტყმიან თაღით დამშვენებული მეორე ტერასის დამამშვენებელ ფრონტალურ, ნახევრად რკალურ კედელს. ასევე მარაოსებრი განშლით იხსნება ქვედა ტერასისკენ დიდი ეზოს კიბე.

ულამაზესად იყო ჩამწკრივებული აივანთა კოლონები და მათი რიგი. მთავარი და ძირითადი აქცენტი გახლდათ სწორედ მეორე საპარადო, დიდებული სართულის ფასადზე გამავალი ფანჯრები და ძირითადი, მშვენიერი თუჯის აივანი. ამ აივანს ამშვენებდა კარიატი და ბიუსტები, რომელიც ფაქიზი ორნამენტირებით ორგანულად ერწყმოდა საერთო მხატვრულ ანსამბლს.

ეზოს ამშვენებდა თაღები, მცირე ზომის აუზი მარტივი კლასიცისტურ-მოდერნისტული გეგმარებით და ხის დეკორატიული კარები. სადარბაზო მორთული იყო დეკორთან ერთად სარკეებით და ვიტრაჟებით. თვით მთავარ, მეორე სართულზე, სადაც ჭერის სიმაღლე 5 მეტრზე მეტია, ახლაცაა შემორჩენილი ულამაზესი თეთრი მარმარილოს და მეტალის ბუხრები და ა.შ.

ნამდვილად დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო ჩემს სახლზე, მის სილამაზესა და მხატვრულ დახვეწილობაზე. და მაინც ვერ გამოვხატავ ჩემს სიყვარულს მის მიმართ.

კომუნისტების პერიოდში ჩვენს ქუჩას ფელიქს ძერჟინსკის სახელი ეწოდა და ჩემი სახლი ძერჟინსკის №14 სახლი გახდა.

ბერიას დროს, ე.წ. "ცეკას ბაღის" სიღრმეში და განაპირას, ჯერ გვიანი კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი საუკეთესო თბილისური ქმნილება - ყოფილი "ცეკა" - დღევანდელი უშიშროების სამინისტრო აშენდა, შემდგომ კი, ახალი კომუნისტების დროს, ქუჩის ინტიმი სრულიად მოსპო "ახალი ცეკას" დღევანდელი "კანცელარიის" შენობამ.

ასე რომ, დღესაც ნელ-ნელა ვეგუები, რომ ვცხოვრობ პავლე ინგოროყვას № 14-ში და არა ძერჟინსკის № 14-ში. ალბათ მალე შევეჩვევი.

ახლა ორიოდ სიტყვა იმაზე, თუ ვინ ცხოვრობდა პეტრე დიდის - ძერჟინსკის 14-ის და ინგოროყვას 14-ის - კედლებსა და ბინებში.

მახსოვს, ამ 3-4 წლის წინ ერთ-ერთ ვიცე-მერს ვუთხარი, სახლი მძიმე მდგომარეობაშია-მეთქი. ხუმრობით მიპასუხა, - "მემორიალურ დაფებს ხომ ვაკეთებთ!"

მას შემდეგ საკითხი არც გადაჭრილა და ადგილიდან არც დაძრულა.

ჩვენს სახლში - პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდამდე და მის დროსაც, ცხოვრობდნენ ოლივერ და მარჯორი უორდროპები. აქვე იყო ბრიტანეთის პირველი ოფიციალური წარმომადგენლობა და საკონსულო ამიერკავკასიაში 1921 წლამდე. ასევე რამდენიმე თვის განმავლობაში ამ სახლში ფუნქციონირებდა გერმანიის საკონსულო, თითქმის 1922 წლამდე.

ჩვენს შენობაში ცხოვრობდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი იუსტიციის მინისტრი შალვა ალექსი-მესხიშვილი. აქვე დაიბადა მისი სახელოვანი ვაჟი, არქიტექტორი ლადო ალექსი-მესხიშვილი.

ჩვენს სახლში ცხოვრობდა ათწლეულების განმავლობაში, დიდი ქართველი სცენოგრაფი სოლიკო ვირსალაძე.

ჩვენს სახლში ცხოვრობდა ირაკლი გამრეკელი. აქ ახლაც არის მისი მემორიალური მუზეუმი. ბატონი ირაკლი იყო ყველაზე სერიოზული, მე ვიტყოდი, პირველი კუბისტ-ფუტურისტი ქართული მხატვრობისა. იგი გახლდათ უდიდესი მასშტაბის სცენოგრაფი, რომელიც ქმნიდა ახალი ქართული თეატრის სამხატვრო სახეს. იგი მარჯანიშვილთან და ახმეტელთან მუშაობდა. დღესაც აქ ინახება მისი გენიალური ესკიზები და დეკორაციის მაკეტები. ამ რამდენიმე წლის წინ ეს მუზეუმი გაქურდეს. წაიღეს ფიროსმანის ორი შედევრი, ესპანური და ვენეციური მხატვრობის შესანიშნავი ქმნილებები, რომელთაც ორგანული კავშირი ჰქონდათ მურილიოსა და ტინტორეტო-შარანოს სკოლებთან. გუდიაშვილის, ალბათ გენიალური, პარიზული პერიოდის კომპოზიცია, ბაჟბეუქ-მელიქოვის, ქეთევან მაღალაშვილის, ელენე ახვლედიანის ქმნილებები და ა.შ.

მემორიალურ მუზეუმში ინახება უამრავი დოკუმენტი, ფოტო, ჩანაწერი, ჩანახატი თუ სამახსოვრო ნივთი, რომელთაც ისტორიული მოვლენების დამღა ეტყობა. ამ ნივთებს რუდუნებით უვლიდნენ თითქმის 70 წლის განმავლობაში ბატონი ირაკლის აწ გარდაცვლილი მეუღლე, ელენე ვაჩნაძე და მისი ძმა, ცნობილი ფსიქოლოგი ერასტ ვაჩნაძე. სხვათაშორის, მისი აღზრდილი გახლავთ მრავალი მოაზროვნე ქართველი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე.

წარმოუდგენელი სიხარული იყო ჩემთვის ბავშვობისას ამ ჯადოსნურ გარემოში მოხვედრა, ხის დეკორატიულ მამალზე ჩამოჯდომა და ამ საოცარი ნივთების თვალიერება. ახლაც სასიამოვნო სითბოთი მავსებს იმ შორეული დღეების გახსენება, როდესაც ცოცხლები იყვნენ ნატა ბებო, დედა და მამა, ჩვენი საყვარელი მეზობლები, ძვირფასი ადამიანები...

ჩვენს სახლში ცხოვრობდა ბატონი პავლე ინგოროყვა - ვის სახელსაც ახლა ჩვენი ქუჩა ატარებს. აქ, მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში, ცხოვრობდა ბატონი პავლე, თავის მეუღლესთან, ქალბატონ ქეთევანთან ერთად. აქ, ჩვენს სახლში, შეიქმნა მისი უნიკალური ქმნილებები, აქ შექმნა ბატონმა პავლემ გრანდიოზული ისტორიულ-ფილოლოგიური ეპოპეა "გიორგი მერჩულე". აქ, ჩვენს სახლში იკვლევდა ბატონი პავლე "ვეფხისტყაოსნის" იდუმალებით მოცულ სიღრმეებს - აქ ფიქრობდა და ქმედებდა მისი გენია და ამ ფაქტის დავიწყება არ შეიძლება.

ჩვენს სახლში დაიბადა და აღიზარდა პოპულარული რუსი კომპოზიტორი მიქაელ ტარივერდიევი. დეიდაჩემი, ქეთინო ჭანტურია, რომელიც დღესდღეობით უფროსი თაობის ერთადერთი წარმომადგენელია ჩვენი სახლის ბინადართაგან, და მიშა ტარივერდიევი - მეტსახელად "მაკარონას" რომ უძახდნენ, ერთად გაიზარდნენ ამ უცნაურ ეზოში.

აქ ცხოვრობდნენ ალშიბაიები და იმათთან მოდიოდა სტუმრად კონსტანტინე გამსახურდია. ისიც კი მახსოვს, ქალბატონი Тамара Тарасиевна ალშიბაია იხსენებდა, რომ "მთვარის მოტაცების" არცთუ ისე პოზიტიური პერსონა ალშიბაია პროტოტიპად მის მეუღლეს, რეპრესირებულ იურისტს, ეპიფანე ალშიბაიას გულისხმობდა.

ჩვენს სახლში ცხოვრობდა ცაბაძეების ოჯახი, რომლებთანაც ხშირად სტუმრობდა ჩვენი ძვირფასი კომპოზიტორი გიორგი ცაბაძე. აქ ცხოვრობდა გენერალი გიორგი ყურაშვილი და მისი ოჯახი. ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ სხვადასხვა პროფესიისა და დიდი ღირსების ადამიანები. ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ ერთგვარად დროის ტალღაზე ამოტივტივებული მედროვენი თუ კარიერისტებიც. ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ "კგბ"-ს ინფორმატორებიც და ა.შ.

ჩვენს სახლში ცხოვრობდა ბაბუაჩემიც, გიორგი ჭანტურია, რომელიც თბილისის ტელეფონების ქსელის ერთ-ერთი პირველი მთავარი ინჟინერი გახლდათ. იგი სულ ახალგაზრდა, 38 წლისა გარდაიცვალა - 37-იანი წლების დასმენების შედეგად ინფარქტი დაემართა.

ჩვენს სახლში გადაღებულია რამდენიმე მხატვრული ფილმი. თუნდაც "ლაზარეს" ის კადრი რად ღირს, როდესაც კიბეზე ჩამომჯდარი პატარა გეგა კობახიძე, მსახიობ ვასილ ჩხაიძის პერსონაჟს ხვდება.

ჩვენთანვე გადაიღო რამდენიმე ლამაზი კადრი გიორგი შენგელაიამ თავისი "ვერის უბნის მელოდიებისათვის". გადაღებას ფანჯრიდან ვადევნებდი თვალყურს და შემდგომ ზეთის საღებავით იქვე, "მალულად", ეტიუდიც კი გავაკეთე ამ გადაღების პროცესისა. ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ იყო.

ჩვენს სახლში იყო ერთი შესანიშნავი წესი. როგორც ზემოთ ვამბობდი, ეზო ტერასული გახლდათ და ქუჩის მხარე ორმაგი დეკორირებული კარით იკეტებოდა. ეზოში დეკორატიული მცენარეები და ეგზოტიკური ფრინველები "ნებივრობდნენ". ყოველ დღეს ოჯახების ერთ-ერთი უფროსი რიგრიგობით უვლიდა ეზოსა და ფრინველებს - ვთქვათ, ორშაბათს მორიგეობდა ირაკლი გამრეკელი, სამშაბათს - შალვა ალშიბაია, ოთხშაბათს - გიორგი ჭანტურია, ხუთშაბათს - ერასტ ვაჩნაძე, პარასკევს - პავლე ინგოროყვა და ა.შ. სამწუხაროდ, ეს ურთიერთთანადგომა, წარსულისა და სილამაზის მოვლა-მოფრთხილების სურვილი და ალბათ უნარიც, თითქმის უკვალოდ გაქრა.

მე 8 წლისა ვიყავი, როდესაც მე-2-დან მე-3 ტერასაზე ამავალი სიმეტრიის შემქმნელი ულამაზესი ქვის კიბე მოშალეს, მოანგრიეს, დაარღვიეს, რადგანაც თურმე იგი ადამიანებს უსახური შუშაბანდების მიშენებაში უშლიდა ხელს. ამის შემდეგ ეზოს თითქოს ფრთა მოტეხეს, დაასახიჩრეს. ამოიძირკვა და მოითხარა ეგზოტიკური მცენარეები, ეზოს შიდა ნაწილში 40-იან წლებში დააშენეს მე-3 სართული და ამით მთლიანობაც დაარღვიეს.

მაგრამ მაინც - ეზოს შერჩა უცნობი, მომხიბვლელი სიმშვიდე, თითქოს მიკროკლიმატი. ზაფხულის ხვატის დროს შიგნით, ეზოში რომ შემოხვალ, უცნაურ სიმშვიდეს იგრძნობ, აქ მანქანები ვერ შემოდის, ეზო ქალაქის ცენტრში უცნაური სიმშვიდის ოაზისს ქმნის. აქ ბავშვები მშვიდად შეგიძლია გაუშვა სათამაშოდ. სწორედ, ამ ეზოში გავიზარდე მეც. აქ, ამ სახლში და ეზოში გაიზარდნენ ჩემი შვილები - ლაშა და ნინო.

სადაც არ უნდა ვიყო, მაინც ამ სახლში დაბრუნება მინდა, რადგანაც აქ უცნაური მიმზიდველობა და სურნელი, თუნდაც სიძველის, ნესტის სურნელი ტრიალებს.

ძალიან მიყვარდა ჩვენს სახლში მცხოვრები ქალბატონი ნელი შერვაშიძე. არაჩვეულებრივი ქართველი არისტოკრატი, ჩემი მეორე დედა. ასეთი მხარდამჭერი და უფროსი გულშემატკივარი მე არ მყოლია, და სხვათა შორის მარტო მე კი არა, ყველას, ვინც ჩვენს ეზოში რაღაც იდეალებს ეპოტინებოდა. ამიტომაც აღზარდა ქალბატონმა ნელიმ შესანიშნავი შვილები - ჩემი მეგობარია ფიზიკოსი მურმან მარგველაშვილი.

აქ, ჩემს სახლში ვცხოვრობთ დღესაც და სამწუხაროდ იგი თავზე გვენგრევა, მიწისძვრის შემდეგ ბზარები უფრო გაიხსნა, ახალი ბზარები შემზარავ მუქარას ასხივებს, ეზოს თაღოვანი ტერასა მთლიანად ჩამოინგრა. კომუნიკაციები დასკდა, მზიდი კედლები გადაბმებზე გაიხსნა და ჩვენ ვკარგავთ შენობას, სიცოცხლეს, ისტორიას, მახსოვრობას, კულტურას.

მგონია, ამის დაშვება არ შეიძლება. თუმცა კი, არაფერი გამიკვირდება ამ უპასუხისმგებლობის, განუკითხაობისა და არაპროფესიონალიზმის, უკულტურობის პერიოდში.

კულტურა, პირველ რიგში, სტაბილურ, გეგმაზომიერ, სისტემატიზებულ ზრუნვას ნიშნავს კულტურული მემკვიდრეობისა და გამოცდილების მიმართ. ჩვენ ამას არ ვაკეთებთ და ალბათ ვერც ვაკეთებთ, იმიტომ, რომ ეს ყოველივე დიდ ძალისხმევას, რუდუნებას, პროფესიონალიზმს და პრინციპულობას მოითხოვს.

დროებითი შთაბეჭდილების მოხდენა მხოლოდ გაელვებაა, სტაბილური ქმედება კი გეგმაზომიერ, სისტემატიზებულ და მეთოდოლოგიურად დამუშავებულ პრინციპულობას ნიშნავს. არტისტიზმი ბევრი გვაქვს - უბრალოდ, კულტურა გვაკლია.

დრო კი არ ითმენს. ჩვენ ქალაქს ვკარგავთ, ჩვენს ქუჩებს ვკარგავთ, ჩვენს შენობებს ვკარგავთ და საერთოდ, ჩვენს ისტორიას და კულტურასაც ვკარგავთ.












ბესო გულაშვილის ფოტოები

# S O S !



ანანო ასათიანის ფოტო



ანანო ასათიანის ფოტო



ანი ერისთავის ფოტო